




ახალი ეპოქის
ენერგიები

ახალი ეპოქის ენერგიები

მამა აბსოლუტი
გზავნილების კრებული

ახალი ეპოქის ენერგიები

მართას მიერ მიღებული მამა აბსოლუტის
გზავნილების კრებული
2016 წლიდან 2021 წლის ჩათვლით

სარჩევი

რა არის ენერგია.....	5
ახალი დროის ენერგიები.....	8
ამაღლების ენერგიები	9
ამაღლების ენერგიების სამეზა	11
ამაღლების ენერგიის ტალღის წვერზე	13
ამაღლების ენერგიებში ცხოვრება.....	14
ამაღლების ტალღა.....	15
ამაღლების ტალღის ზეგავლენა ადამიანებზე.....	17
ნათელი იზიდავს ნათელს, ხოლო წყვედიადი უარჰყოფს მას	18
ამაღლების ენერგიის კასკადი.....	20
ჰკვიანი ენერგიები	21
რეიკის ენერგია	23
სინათლისა და სიყვარულის ენერგია	24
შემოქმედის ენერგია.....	26
სამყაროს პირველშემოქმედის ენერგია.....	27
პირველშემოქმედის სამყაროსეული ენერგია.....	29
ამაღლების ენერგია.....	30
დიდებული ცენტრალური მზის ენერგია	32
სამყაროს სიყვარულის ცეცხლი	33
სიყვარულის კრისტალი	35
ღვთაებრივი შემოქმედებითობა.....	36
ზეციური დახმარება და დაცვა.....	38
სამყაროს შექმნის კოდი.....	39
ბუნებრივი გადარჩევა	40
ამაღლების სპირალი.....	42
ახალი ენერგიების დედამიწასთან ურთიერთქმედება.....	43
დედამიწასთან სინათლისა და სიყვარულის ენერგიის ურთიერთქმედება.....	45
დედამიწა და შემოქმედის ენერგია.....	47
დედამიწა და სამყაროს პირველშემოქმედის ენერგია	48

დედამიწა და პირველშემოქმედის სამყაროსეული ენერგია	49
დედამიწა და ამაღლების ენერგია.....	51
ენერგეტიკული არეულობა	52
პრაქტიკები	54
დედამიწის სინათლისა და ღვთაებრივი სიყვარულით აღვსების მედიტაცია	54
თქვენი ენერგიებთან მუშაობის შესახებ	55
თქვენი ენერგიებთან მუშაობის შესახებ – გაგრძელება	57
თქვენი სურვილების ასრულების ბურთი.....	58
ენერგეტიკული დაცვა.....	59
სამყაროს პირველშემოქმედის ენერგიის სფეროთი დაცვა	60
მზის ბატარეა.....	62
სიყვარულის დაცვითი სფერო.....	63
რატომ არ მუშაობს ენერგეტიკული დაცვა.....	65
ამაღლების ენერგიის ნათელი.....	67
სამყაროს სიყვარულის ცეცხლის ფილტრი.....	68
ენერგეტიკული კასკადი	69
ენერგეტიკული დამუხტვა	71
სამყაროსეული პლაზმის ენერგია.....	72
პლაზმური სხივი.....	74
რეალობის შეცვლა.....	76
სამყაროსეული პლაზმის ენერგია უცხოპლანეტურ ტექნოლოგიებში.....	78
პლაზმური სხეული	79
ჯადოსნური პლედი.....	81
ახალი ენერგიების ფიზიკურ დონეზე გამოვლინება	83
ვატიკანი – ქრისტიანული ეგრეგორი განეიტრალება.....	94
2021 წლის აგვისტოს ენერგიები.....	99
2021 წლის სექტემბრის ენერგია	108
ენერგიები ვიდეოზე	119
წყაორები	119

რა არის ენერგია

მამა აბსოლუტის გზავნილი 13 თებერვალი 2016წ.

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო შვილებო!

დღეს ჩვენ გვექნება სერიოზული საუბარი, რადგანაც მე მსურს მოგიყვებო, თუ როგორ არის მოწყობილი სამყარო, რისგან შედგება ის, და რა არის ენერგია და ნატიფი ენერგო-ინფორმაციული სტრუქტურა. მე შევეცდები აგიხსნათ ეს რაც შეიძლება მარტივად, რადგანაც მსურს, რომ ყველასათვის გასაგები იყოს, იმისდა მიუხედავად, თუ როგორია თქვენი ცოდნა მეცნიერების კუთხით.

და ასე, დავიწყით იმით, რომ ყველაფერი თქვენს სამყაროში ენერგიაა. მეცნიერები ამას საკუთარ განსაზღვრებას აძლევენ, მაგრამ რეალურად ყველაფერი ბევრად მარტივია, ვიდრე მათ ჰგონიათ, და ამასთან ერთად უფრო რთულადაცაა, რადგანაც ამ სუბსტანციას საზღვრები არ აქვს – ის უსასრულოა დროსა და სივრცეში.

თუ ვისაუბრებთ სრულიად მარტივი ენით, მაშინ ენერგია – ეს არის ის, რასაც აქვს უნარი სახეცვლილებისა, ეს ყველა არსებულის პირველსაწყისია, გამშვები წერტილია აბსოლუტურად ყველაფერის: აზრების, გრძნობების, მოქმედებების, ემოციების.

ენერგია არსებობს დადებითი და უარყოფითი, რაც გავს სხვადასხვანაირად დამუხტულ ნაწილაკებს, და ისინი ასევე განიზიდებიან ერთმანეთისგან პირველივე შეხებისას.

ენერგია არსებობს ცნობიერების მქონე და ცნობიერების არმქონე. ცნობიერების არმქონე ენერგიები ძალიან მცირე ნაწილს მოიცავს. მაგალითად: მიზიდულობის ენერგია, რომელიც დედამიწის გრავიტაციულ ველთანაა კავშირში და კიდევ რამოდენიმე მისი მსგავსი ენერგია როგორიცაა გადანაწილების და ერთიან მთლიანთან მიკუთვნების ენერგია.

ვრცლად განვიხილავთ იმ ენერგიებს, რომლებიც გხვდებათ ყოველდღიურ ცხოვრებაში და რომლებსაც თქვენთვის პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

მე შევეცდები აგიხსნათ, როგორ წარმოიქმნება მატერია და რისგან შედგება ადამიანი. ყველაფერი რაც დედამიწაზე არსებობს – ეს არის კონცენტრაცია სხვადასხვა სახის ენერგიებისა, რომელიც საშუალებას იძლევა მოცემული ობიექტის (მათ შორის ადამიანის) მატერიალიზირებისა. როგორ ხდება ეს?

თავდაპირველად ეს ხდება ნატიფ დონეზე. გაგიკვირდებათ, მაგრამ უსულო ნივთებსაც კი აქვთ საკუთარი ენერგო-ინფორმაციული სტრუქტურა, ანუ ნატიფი სხეულები, ანუ საკუთარი ენერგეტიკა.

მაგრამ ჯერ გავჩერდეთ ადამიანის ენერგეტიკულ შემადგენლობაზე. და დავიწყებთ ჩვენ ჩასახვის მომენტიდან, როდესაც ხდება ძლიერი ენერგეტიკული გამობრქვევა და კაცური და ქალური ენერგიების შეერთება. ის რაც ხდება შემდგომში გავს ენერგეტიკულ ადაპტაციას იმ განზომილებისა, რომლიდანაც სული აპირებს ინკარნირებას მესამე განზომილებაში, რომელშიც მას ცხოვრება მოუწევს.

ეს ძალიან რთული, შეიძლება ითქვას საკრალური პროცესია, რადგანაც ხშირად დედამიწაზე ეშვება ძალიან მაღალი სული, რომელმაც მისიად მსახურება აირჩია ადამიანების გადარჩენის მოტივით. ზოგჯერ პირიქითაც ხდება, აქ მოდიან სულები უფრო დაბალი განზომილებებიდან, რათა საკუთარი სულიერი განვითარების ახალ საფეხურზე გადავიდნენ.

ზოგჯერ ენერგიების განსხვავებულობა კოლოსალურია, და რათა მსგავსმა მიიზიდოს მსგავსი, ანუ რათა დედის საშვილოსნომ, რომელიც მესამე განზომილებაშია, შეძლოს მიიღოს არსება ასე განსხვავებული ვიბრაციისა, ამისთვისაა მოცემული ბავშვის გასაჩენად ასეთი დიდი ვადები. ეს იმიტომ ხდება, რათა სულმა მაღალი განზომილებებიდან შეძლოს მესამე განზომილებამდე “გამკვრივება” და პირიქით. ამგვარად ხდება დედისა და შვილის ენერგო კავშირი.

ახლა განვიხილოთ, თუ როგორ ფორმირდება ადამიანის ენერგო-ინფორმაციული სტრუქტურა. ამ პროცესის ახსნა უფრო რთულია, რადგანაც თქვენი ნატიფი სხეულები უკვე ეკუთვნის ღვთაებრივ ასპექტს და საკუთარ თავში ღმერთის ნაწილს მოიცავენ, ეს ნაწილი ყოველ თქვენგანშია ჩადებული.

ესეც ენერგიაა, მაგრამ მესამე განზომილებამდე არ არის გამკვრივებული. შეიძლება ითქვას, რომ ნაწილობრივ ის მეოთხე განზომილებაში იმყოფება, ხოლო ზოგიერთი ადამიანის შემთხვევაში, რომლებიც სულიერი განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურზე იმყოფებიან, ნატიფი სხეულები მეოთხე განზომილებაზე მაღლა გვხვდება. მაგრამ ასეთ ადამიანების რაოდენობა საკმაოდ მცირეა და წესებიდან გამონაკლისს უფრო შეადგენენ. უმრავლესობას კი ნატიფი სხეულები გამკვრივებული აქვთ მაქსიმალურ შესაძლო დონემდე და პრაქტიკულად კარგავენ საკუთარ კავშირს სამყაროს ღვთაებრივ დონესთან.

თუ ვისაუბრებთ უფრო მარტივი ენით, ადამიანების ნატიფი სხეულები – ეს არის გაიშვიათებული ენერგია სხვადასხვა კონცენტრაციით. რაც უფრო სულიერია ადამიანი, მით უფრო გავრცობილია მისი ნატიფი სხეულები. ანუ ისინი მოცულობით უფრო დიდებია და უფრო მეტ ღვთაებრივ ენერგიას იტევენ. ხოლო სულიერად ნაკლებად განვითარებულ ადამიანებს, ზედმეტად მიწიერ და მატერიალურებს, ნატიფი სხეულები “შეპრესილი” აქვთ და თითქმის ფიზიკურს ერწყმინან.

ახლა მსურს გავჩერდე იმაზე, თუ როგორ შეუძლია ადამიანს მართოს საკუთარი ენერგო სუბსტანციები. რადგანაც დადებით და უარყოფითი ემოციებს აქვთ განსხვავებული ენერგოაღვსება, ადამიანს შეუძლია შეცვალოს საკუთარი ენერგია აზრის ძალის მერმეოებით.

ყველაზე ძლიერი სამყაროში არის სიყვარულის ენერგია. და მას შეუძლია ნამდვილი სასწაულების ჩადენა. ზუსტად მას შეუძლია შეცვალოს ადამიანის ენერგეტიკული სტრუქტურა და გაავრცოს ის ღვთაებრივ დონემდე.

აგრეთვე პირიქითაც, ნეგატიური ენერგია ისეთი, როგორიცაა: ბრაზი, შური, სიძულვილი და ასე შემდეგ, ამკვრივებენ ადამიანის ნატიფ სხეულებს ართმევენ მას თავდაპირველად არსებულ ღვთაებრივ ენერგიებს.

ახლა კი აგიხსნით, თუ როგორ ფორმირდება ენერგო-ინფორმაციული სტრუქტურები უსულო ნივთებისა. რადატქმუნდა მე ვგულისხმობ იმას, რაც ადამიანის ხელითაა შექმნილი, რადგანაც ყველა დანარჩენი თავდაპირველადვე

ცოცხალია და აქვს საკუთარი ენერგეტიკა. ნებისმიერი ნივთი, რომელიც ადამიანის ხელითაა შექმნილი – უბრალო კერძიდან დაწყებული ყველაზე რთული მექანიზმით დამთავრებული – ყოველთვის მოიცავს იმ ადამიანს ან ადამიანების ენერგიას, რომლებმაც ის შექმნეს. და ზუსტად ეს ენერგია ქმნის მოცემული ნივთის ენერგო-ინფორმაციულ ველს. და ზუსტად ამიტომაც, რომ ნივთები, რომლებიც გაკეთებულია სიყვარულით, ატარებენ მაღალ ვიბრაციებს და ადამიანებს ჩუქნიან ბედნიერებას, ხოლო რაც ნაჩქარევად, უემოციოდ, “უნიჭოდ”-უსულოდაა გაკეთებული, რჩებიანი ასეთივე ცივი, უსულო ნივთებად და ადამიანის გაბედნიერება არ შეუძლიათ. თუმცა აქ კიდევ ბევრია იმაზე დამოკიდებული, თუ როგორი ადამიანის ხელებში ხვდება ასეთი ნივთი. ადამიანი, ვინც ამ ნივთს იყენებს, შეაქვს გარკვეული კორექტირება ანუ საკუთარი ენერგია. და თუ ეს სიყვარულის ენერგიაა მას შეუძლია ადავსოს ეს ნივთი და პირიქით, “ცუდ ხელებს” შეუძლია გააცივოს ის.

ამიტომაც ყოველთვის გახსოვდეთ, ჩემო ძვირფასებო, რამდენად დიდ პასუხისმგებლობას ატარებთ ყველაფრის მიმართ, რაც თქვენს ხელთ გხვდებათ, ყველაფრის მიმართ, რასაც აკეთებთ: ამ ყველაფერს სამყაროში თქვენი ერგია შეაქვს. რაღატქმაუნდა ყველაზე ადვილია იგრძნოთ ენერგია ისეთი ქმნილებებისა, როგორიცაა მუსიკა, ლიტერატურა, პოეზია, მხატვრული შემოქმედება – ერთი სიტყვით, ყველა სახის ხელოვნება, რადგანაც ისინი ყოველი ადამიანის სულზე აისახება გარკვეული ვიბრაციებით. და სწორედ ეს ვიბრაციებია ამა თუ იმ ენერგიის ინდიკატორი.

განსაკუთრებულად ვლინდება ეს თქვენს ურთიერთქმედებაში ტექნიკის სხვადასხვა სახესთან – კომპიუტერთან, მანქანასთან, ტელეფონთან. ნურასოდეს იწუწუნებთ მათზე და ნუ ეჩხუბებით მათ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მსგავსად გიპასუხებენ: თქვენ მათგან მიიზიდავთ იმავე ენერგიას, რომლითაც “დასაჩუქრეთ” და ისინი დაიწყებენ გაფჭებას, კაპრიზულობას და მოგიტანენ ბევრ პრობლემას. თქვენ ალბათ უკვე შეხვედრილხართ ასეთ სიტუაციას ცხოვრებაში, ასე არაა ჩემო ძვირფასებო? და თქვენ უკვე იცით, რომ გარეგანი ყოველთვის ასახავს შინაგანს. ხოლო ამ კანონის არსი ენერგო გაცვლაში მდგომარეობს.

და ბოლოს რისი მოყოლაც მსურდა მე დღეს ეხება თქვენი პლანეტის ენერგოსტრუქტურას. მას, მსგავსად ადამიანისა, აქვს როგორც ფიზიკური, ასევე ნატიფი სხეულები. მაგრამ თქვენგან განსხვავებით მისი ნატიფი სხეულები უცვლელია, რადგანაც მდებარეობენ უკვე ღვთაებრივ გარემოში, მაგრამ ამასთან ერთად მასზე ადამიანები ცხოვრობენ, რომლებიც მასზე ძალიან დიდ გავლენას ახდენენ.

თქვენი ნეგატიური აზრები, ემოციები და მოქმედებები ამახინჯებენ და აჭუჭყიანებენ მის ენერგო-ინფორმაციულ გარემოს. და რათა განიწმინდოს, მას უწევს გიპასუხოთ იმავეთი: სტიქიური უბედურებებითა და ტექნოგენური კატასტროფებით, რადგანაც სამყაროს კანონები უცვლელია და ყველგან მოქმედებს: გარეგანი ყოველთვის ასახავს შინაგანს – როგორც მცირე ასევე მსხვილ მამტაბებში. გახსოვდეთ ეს სულ, ჩემო ძვირფასებო!

გლოცავთ და მიყვარხართ განუზომლად!

მამა აბსოლუტი საუბრობდა თქვენთან.

ახალი დროის ენერგიები მამა აბსოლუტის გზავნილი 26 აპრილი 2019წ.

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

დღეს მე მსურს ცოტათი გადავუხვიო ჩვენი თემიდან და მოგიყვებ ამ ბოლო დღეების ენერგეტიკული თავისებურებების შესახებ.

ალბათ ბევრმა თქვენგანმა შეამჩნია, რომ აპრილის მეორე ნახევრიდან დედამიწაზე მოდის საკმაოდ უჩვეულო ენერგიები.

ისინი არა მხოლოდ ძლიერები, არამედ განსკუთრებით გაჯერებული არიან.

შეიძლება ითქვას, რომ დედამიწაზე დიდი რაოდენობით ჩამოსული მაღალვიბრაციული ენერგიების ნაკადმა ახლა ახალი სახე მიიღო.

დღეს კი მე მსურს, რომ აგიხსნათ, თუ რაში მდგომარეობს ამ ენერგიებს შორის განსხვავება.

ადრე ყველა ზეციური ძალის უპირველესი დავალება იყო დედამიწის ახალი მაღალვიბრაციული ენერგიებით აღვსება, რომლებიც თანდათანობით ანეიტრალდნენ საუკუნეების განმავლობაში დაგროვილ ნეგატივს, როგორც დედამიწის ირგვლივ სივრცეში, ასევე მის ფიზიკურ დონეზე.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიმდინარეობდა პირველადი გაწმენდა – ახალი ენერგიების ნაკადი დედამიწიდან წმენდდა ჭუჭყის პირველ ფენას.

იგივე ხდებოდა კაცობრიობის ცნობიერებასთან მიმართებითაც: ამ ენერგიების წყალობით მესამე განზომილებისა და უფრო მაღალი ვიბრაციების სამყაროს შორის ფარდა გაიხსნა.

ახლა კი მოვიდა დრო ამ ორივეს უფრო ღრმად და ხარისხიანად გაწმენდისა.

ამისათვის კი საჭიროა უკვე სხვა – უფრო ყოვლისშემძლე და მიზანმიმართული ენერგიები.

სინათლისა და ღვთაებრივი სიყვარულის ენერგიის პირველი ნაკადები მიმართული იყო იმაზე, რომ ადამიანებს გაეცნობიერებინათ, რომ ასე ცხოვრება უკვე აღარ შეიძლება.

მათ ასევე მიეცათ ისეთი “ბონუსები”, როგორიცაა ამაღლების სასწაულები, რათა ადამიანებს არ დარჩენოდათ ეჭვი დედამიწის მეუთე განზომილებაში გადასვლის ჭეშმარიტების შესახებ. ამან მრავალჯერ გააძლიერა გამოღვიძებული სულების მისწრაფება წასულიყვენ უფრო წინ და ნახევარ გზაზე არ გაჩერებულებოდნენ.

ახლა კი, იმისათვის, რომ ეს პროცესი არ შეწყდეს და არც რუტინად გადაიქცეს, მოვიდნენ ახალი მაღალვიბრაციული ენერგიები, რომლებიც თქვენზე ზემოქმედებენ იმგვარად, რომ გამოიღვიძოს თქვენმა სარეზერვო შესაძლებლობებმა, რაც დაგეხმარებათ არა მხოლოდ თქვენი ცნობიერების გადაღვთაებრივებაში, არამედ თქვენი სხეულების სინათლისებურ კრისტალურად ტრანსფორმაციაში.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, “კოსმეტიკური რემონტი” დამთავრდა და დაიწყო ნამდვილი “გენერალური დალაგება” თქვენს ცნობიერებასა და თქვენს სხეულებში.

რომლებია ეს ახალი ენერგიები და როგორ უნდა გამოიყენოთ ისინი?

ბერ თქვენმგანს უკვე სმენია განმკურნელი იისფერი ალის ენერგიის შესახებ და ზოგს საკუთარ მედიტაციებში ნანახიც გაქვთ ის.

თუმცა, ახლა მან მიიღო ახალი თვისება და წმენდავს ადამიანის ორგანიზმს უკვე დნმ-ს დონეზე.

ის აღწევს თქვენი სხეულის ყოველ უჯრედში, მის ყოველ ატომში და გარდაქმნის მას ღვთაებრივ კრისტალებად.

ის ავსებს ყველა თქვენს ნატიფ სხეულს და მაქსიმალურად აიშვიათებს მათ.

რაც შეიძლება ხშირად მოუხმეთ ამ ენერგიას თქვენი მედიტაციების დროს და თქვენ აუცილებლად იგრძნობთ, თუ როგორ რბილად, ნაზად და მზრუნველად მუშაობს ის თქვენს სხეულებთან.

ახალ დონეზე გადადის კიდევ ერთი ენერგია, რომელთანაც მუშაობას უკვე შეეჩვიეთ.

ის არის **სამყაროს პირველშემოქმედის ენერგია**, რომლის “სპეციალობაცაა” თქვენი ცნობიერებისა და ქვეცნობიერის მესამე განზომილების პროგრამებისგან განწმენდა.

მოუხმეთ ამ ენერგიას ყოველ ჯერზე, როდესაც იგრძნობთ, რომ აზროვნებით სტერეოტიპულად, მოქმედებთ ინერციით, იქცევით ისე, როგორც ეგო გკარნახობთ და არა სული და თქვენ იგრძნობთ, თუ როგორ იცვლება თქვენი აზრებისა და ქმედებების სვლა.

დაიწყეთ ამით ჩემო ძვირფასო და იგრძნობთ, თუ როგორ გარდაიქმნება თქვენს გარშემო ცხვრება, რადგანაც ის გაჰყვება თქვენს შიგნით მომხდარ ცვლილებებს.

გლოცავთ და მიყვარხართ განუზომლად!

მამა აბსოლუტი საუბრობდა თქვენთან.

ამაღლების ენერგიები

მამა აბსოლუტის გზავნილები მიღებული 2020 წლის 7-დან 14 იანვრამდე.

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

დღეს მე მსურს შევაჯამო ჩემი გზავნილების სერია კოლექტიური ცნობიერების შესახებ.

დედამიწის ყველა მაცხოვრებლის კოლექტიური ცნობიერება შეიძლება შევადაროთ მასზე გადაფარებულ პლედს, რომელიც შედგება დიდი ოდენობით განსხვავებული ვიბრაციის მქონე ენერგიებისგან, რომლებიც მუდმივად იცვლება.

ჩემს წინა გზავნილში მე გიამბუთ თქვენი პლანეტის მხოლოდ ყველაზე მრავალრიცხოვანი არსებების კოლექტიური ცნობიერების შესახებ.

რეალურად, ამ არსებების რაოდენობა საკმაოდ დიდია, რადგანაც ათალსწლეულების განმავლობაში ადამიანის სხეულში მცხოვრები მრავალი სიცოცხლის ფორმის გამო ის და ასევე დედამიწის “სხეული” გახდა ერთგვარი “გამოსაცდელი პოლიგონი” მრავალი რასისა და ცივილიზაციისათვის.

დაწვრილებით მე მოგიყევით რეფტილოიდების შესახებ, რომლებიც თითქმის “შეეზარდნენ” ადამიანებს და სრულიად ან ნაწილობრივ იგდეს ხელთ მათი სხეულები ან ცნობიერება.

თუმცა არსებობს კიდევ მრავალი სხვა ადამიანური “ჰიბრიდი”. მაგალითად, ადამიანის სხეულში შეიძლება ცხოვრობდეს ორი სული: ადამიანისა და ორიონელის, ადამიანისა და ალფა ცენტურის წარმომადგენლის ან რეფტილოიდისა და ორიონელის.

რეალურად დედამიწაზე დადის საკმაოდ ბევრი “არაადამიანი”, რომლებსაც საერთოდ არ აქვთ ადამიანური-ღვთაებრივი სული და ეს მალე თვალსაჩინო გახდება იმათთვის, რომელთა ვიბრაციებიც გადალახავს მესამე განზომილების საზღვრებს.

თუმცა მე მსრუს, რომ თქვენ კარგად გაიაზროთ, რომ ადამიანის სხეულის “დაბყრობა” შეუძლიათ მხოლოდ თქვენთვის მტრულად განწყობილ რასებსა და ცივილიზაციებს, რომლებსაც არც თუ ისე კეთილი მიზნები აქვთ.

მაღალვიბრაციული ცივილიზაციების წარმომადგენლები დედამიწაზე ყოველთვის ინკარნირდებოდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ დახმარებოდნენ ადამიანებს შეენარჩუნებინათ ის სულიერი სიმაღლე, რომელიც დაიცავდა მათ მესამე განზომილებაში საბოლოო დაცემისგან, რაც გამოიწვევდა ღვთაებრივი არსის საბოლოო დაკარგვას. აგრეთვე ამ ცივილიზაციების წარმომადგენლები არასოდეს ინაწილებენ თავიანთ სხეულებს სხვა სულებთან.

თქვენი პლანეტის განვითარების მოცემულ ეტაპზე ისინი მოვიდნენ აქ იმისათვის, რომ დახმარებოდნენ ადამიანებს მეხუთე განზომილებაში გადასვლაში.

რატომ არის მნიშვნელოვანი თქვენი პლანეტის ყველა მრავალრიცხოვანი მაცხოვრებლის ყველა კოლექტიური ცნობიერება?

უპიველეს ყოვლისა იმიტომ, რომ მათი ერთობლიობა განსაზღვრავს დედამიწის ზოგად ენერგეტიკულ ფონს, რომელიც ან ეხმარება მას ამაღლებაში, ან მძიმე ტვირთის მსგავსად ექაჩება დაბლა.

ყველა კოლექტიური ცნობიერების მუდმივი და გრდაუვალი ურთიერთკავშირი იწვევს იმას, რომ ეს ენერგეტიკული ფონი მუდმივად იცვლება: ხან აიმაღლებს ვიბრაციებს, ხანაც კი დაიდაბლებს.

ამ ფონის ერთიან ვიბრაციებამდე მიყვანა პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგანაც ყოველ კოლექტიურ ცნობიერებას აქვს თავისი ვიბრაციული ზღვარი, რომლის გადალახვაც დედამიწის ზოგიერთ მაცხოვრებელს არ შეუძლია თავიანთი ენერგეტიკული აგებულებისდა გამო.

ხოლო, რადგანაც დედამიწასთან ერთად მეხუთე განზომილებაში გადასვლისათვის ადამიანისათვის აუცილებელია ვიბრაციების მინიმუმ მეექვსე ჩაკრამდე აწევა, თქვენ ამაში უნდა დაეხმაროთ საკუთარ თავსაც და სხვებსაც.

ამისათვის კი თქვენ შეგიძლიათ გააკეთოთ შემდეგი:

წარმოიდგინეთ კაცობრიობის კოლექტიური ცნობიერების სილუეტი ვარდისფერი, ლურჯი და იისფერი ფერებით.

ესენი ამაღლების ფერებია.

ვარდისფერი – სიყვარულის ენერგიის ფერია, რომელიც სამყაროში ყველაზე მაღალვიბრაციულია.

ლურჯი და იისფერი - თქვენი ღვთაებრივი ჩაკრების ფერებია (მეექვსესა და მეშვიდესი)

თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ისინი ნებისმიერი კომბინაციით, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამასთან ერთად იგრძნოთ ეს ენერგიები, რითიც დაამიწებთ მათ და აავსებთ ამ ენერგიებით კაცობრიობის კოლექტიურ ცნობიერებას.

გააკეთეთ ეს რაც შეიძლება ხშირად ჩემო ძვირფასო.

ეს დაგეხმარებათ არა მხოლოდ თქვენ ვიბრაციების აწევასა და ზედა ჩაკრების სწრაფად გააქტიურებაში, არამედ მნიშვნელოვნად აწევს კაცობრიობის კოლექტიური ცნობიერების ვიბრაციულ ფონს, რომელიც ამაღლების ავანგარდს წარმოადგენს.

გლოცავთ და მიყვარხართ განუზომლად!

მამა აბსოლუტი საუბრობდა თქვენთან.

ამაღლების ენერგიების სამება

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

დღეს ჩვენ გავაგრძელებთ საუბარს იმის შესახებ, თუ როგორ შეინარჩუნოთ ამაღლებისათვის საჭირო ვიბრაციების დონე, რაც ახლა არის აუცილებელი ყოველი თქვენგანისათვის.

როგორც უკვე ითქვა ჩემს ერთ-ერთ წინა გზავნილში, ამაღლების ენერგია წარმოადგენს სამი ფერის მაღალვიბრაციული ენერგიების ერთობას.

ვარდისფერი – ეს არის სიყვარულის ენერგია, რომელიც სამყაროში მთელს სივრცეს ავსებს.

ამ ენერგიასთან რეზონანსში შესვლა შეუძლია იმას, ვინც როგორც მინიმუმ მეექვსე ჩაკრა გააქტიურა (რომელიც თავისი ვიბრაციებით ამ ღვთაებრივ ენერგიას უახლოვდება) და ვისაც შეუძლია იგრძნოს ერთობა დედამიწაზე მყოფ ყველა არსებასთან.

აგრეთვე, მე მსურს შეგახსენოთ, რომ ამ სიყვარულს არაფერი აქვს საერთო იმასთან, რასაც ადამიანები მესამე განზომილებაში აღიქვამენ სიყვარულად.

სამწუხაროდ, ადამიანს ჭეშმარიტი ღვთაებრივი სიყვარულის შეგრძნება შეუძლია მხოლოდ ეპიზოდურად – მედიტაციის ან უეცარი “გასხივოსნების” დროს.

ამ ენერგიის ნაკადში ყოფნა შეუძლიათ მხოლოდ ერთეულებს, ვისაც თქვენ უწოდებთ გასხივოსნებულებს.

ლურჯი – ეს ენერგია ადამიანის ღვთაებრივობის “პირველი საფეხურია”.

ეს არის თქვენი მეექვსე ჩაკრის ფერი, რომლის გააქტიურებაც გიღებთ კარებს ახალ სამყაროში.

მხოლოდ მექვსე ჩაკრის აქტივაციის შემდგომ თქვენი სხეულის “ჭურჭელი” ხდება ჭეშმარიტად ღვთაებრივი.

საკუთარ სულთან შეერთება ადამიანს ჩუქნის შეუზღუდავ შესაძლებლობებს და აი რატომ:

როდესაც ადამიანი თავის ვიბრაციებს მეექვსე ჩაკრამდე აწევს, მას შეუძლია თავის სხეულთან იურთიერთქმედოს უკვე ნატიფ დონეზე.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მას შეეძლება საკუთარი ფიზიოლოგიური პროცესების მართვა ფიქრის ძალით, რადგანაც მისი ცნობიერება გადანაცვლებული იქნება უკვე სხვა სიბრტყეში – მეხუთე განზომილების სამყაროში, სადაც მას ყველაფერი შეეძლება.

სული და სხეული ხდება ერთი და განუყოფელი მთლიანობა – ჭეშმარიტად ღვთაებრივი შემოქმედება.

მესამე განზომილების სამყაროში ყველა უბედურება ადამიანს ამ დაყოფის გამო მოსდის, რადგანაც ის გამოყოფილია ჭეშმარიტებისგან, საკუთარი ზედა ასპექტებისგან და თავისი ღვთაებრივი არსისგან.

ხოლო, მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანის სული სრულიად შეერთდება სხეულთან, ხდება მისი სულიერი განვითარების შემდგომი ეტაპი – მისი შემოქმედთან შეერთება.

ისიფერი – ეს არის შემოქმედის ენერგია, რომლის ნაწილიც არის ყოველი ადამიანის სული.

როდესაც თქვენს ვიბრაციებს მეშვიდე ჩაკრის დონემდე აწევთ, თქვენ შეერწყმებით მას (შემოქმედს) და ენერგიულად ხდებით მოუწვდომელ დაბალი ვიბრაციის მქონე არსებების მხრიდან.

პრაქტიკაში ეს გამოვლინდება შემდეგნაირად.

როდესაც ყველა თქვენს სხეულს გარდაქმნით სინათლისებურ კრისტალურად, თქვენ შეგეძლება მათი გაიშვიათება იმ დონემდე, რომ ისინი უხილავი გახებიან მესამე განზომილებიში.

ისინი მიიღებენ სრულიად სხვა ენერგეტიკულ სტრუქტურას, რომელზედაც უკვე აღარ იმოქმედებს მმართველი ელიტის არცერთი ხრიკი, რომელიც ცდილობს დაიმორჩილოს ადამიანის ცნობიერება და სხეული.

ველარავითარი ვაქცინაცია, ჩიპები და ელექტრომაგნიტური გამოსხივება ვეღარ შეძლებს თქვენზე ზმოქმედების მოხდენას, რადგანაც ისინი მიმართულია სრულიად სხვა ვიბრაციების ენერგეტიკულ სტრუქტურაზე.

ახლა კი, ჩემო ძვირფასებო, მოვიდა დრო სრულიად კონცენტრირდეთ იმაზე, რომ მუდმივად იცხოვროთ ამაღლების ენერგიებში და არ მისცეთ ნება თქვენს ვიბრაციებს, რომ დაეშვას მესამე განზომილების სამყაროს დონემდე.

გოცავთ ჩომო ძვირფასებო!

მამა აბსოლუტი, რომელსაც განუზომლად უყვარხართ, საუბრობდა თქვენთან.

ამაღლების ენერგიის ტალღის წვერზე

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

ახლა მე მსურს პრაქტიკაში განახოთ, თუ როგორ შეგიძლიათ შეინარჩუნოთ თქვენი ვიბრაციები საჭირო სიმაღლეზე კრიტიკულ სიტუაციებშიც კი.

თუმცა, თავდაპირველად მე მსურს მოგცეთ ერთი მარტივი პრაქტიკა, რომელიც დაგეხმარებათ გაამყაროთ ამაღლების ენერგია თქვენ საკუთარ ნატიფმატერიალურ სტრუქტურაში.

რაც შეიძლება ხშირად წარმოიდგინეთ, რომ ეს ენერგია ავსებს თქვენს ზედა ჩაკრებს.

ამისათვის თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ ოქროს სამკუთხედი (<https://vozrojdieniesveta.com/perekhod-v-pyatoe-izmerenie-zolotoy-treugolnik/>)

თუმცა მოცემულ შემთხვევაში ეს იქნება სამფერა სამკუთხედი: ლურჯი ენერგია შეეწყობა მეექვსე ჩაკრას, იისფერი – მეშვიდეს, ხოლო ვარდისფერი გირჩისებრივ ჯირკვალს (pineal gland)

დაე ეს ენერგიები მუდმივად მოძრაობდნენ და ქმნიდნენ სპირალური მოძრაობის ლამაზ სურათს.

თანდათანობით ჩაუშვით ისინი ქვემოთ, რათა მათ მოიცვან უკვე ყველა თქვენი სხეული და აავსონ თქვენი ქვედა ჩაკრები მეხუთედან პირველის ჩათვლით.

მიდით იქამდე, რომ მთელი თქვენი ნატიფმატერიალური სტრუქტურა ავსებული იყოს ამ ფერებით და აზრობრივად შეინარჩუნეთ ეს მდგომარეობა.

მსგავსადვე შეგიძლიათ აავსოთ ამ ენერგიებით კაცობრიობის კოლექტიური ცნობიერება.

დაიწყეთ მისი ზედა ჩაკრებით და თანდათანობით ჩაუშვით ქვემოთ ეს ღვთაებრივი ენერგიების მშვენიერი “სამება” სულ უფრო და უფრო ქვემოთ, გაანეიტლალეთ ამ ენერგიებით კაცობრიობის კოლექტიურ ცნობიერებაში დანერგილი მესამე განზომილების პროგრამები.

ძალიან კარგი იქნება, თუ ეს ენერგიები იბრუნებენ, რაც მოძრაობაში მოიყვანს კაცობრიობის ქვეცნობიერში დალექილ მძიმე ფენებს, რომლებშიცაა გამყარებული ეს პროგრამები.

გამოიჩინეთ შემოქმედებითობა ჩემო ძვირფასებო!

შეიგრძენით ენ ენერიები და იგრძენით თქვენთვის ამ ენერგიებთან მუშაობის ოპტიმალური საშუალება.

თუ თქვენ ისწავლით ამ ენერგიებში მუდმივად ცხოვრებას, თქვენ უნებლიედ გაუნაწილებთ მათ გარემომცველ ადამიანებსაც. ამგვარად თქვენ ამაღლების ენერგიებით აავსებთ კაცობრიობის კოლექტიურ ცნობიერებასაც.

ეს გამყარდება თქვენს ქვეცნობიერში და გახდება ახალი გაუცნობიერებელი რეაქცია თქვენს ცხოვრებაში მომხდარ მოვლენებთან მიმართებით.

თუმცა, იმისათვის, რომ რაც შეიძლება მალე მიხვიდეთ ამ მდგომარეობამდე, ნუ დაკარგავთ ფუჭად დროს და ყოველდღიურად გამოიმუშავეთ ადამიანებისა და თქვენს

ცხოვრებაში განსხვავებული მოვლენების მიმართ (როგორც მსოფლიო დონის ასევე თქვენი ყოველდღიური საქმეების მიმართ) არასტანდარტული რეაქციის უნარები.

მერწმუნეთ ჩემო ძვირფასებო, თქვენს ცხოვრებაში არ არსებობს წვრილმანები.

ყოველი დღე არის ზეცისგან ნაჩუქარი განძი, რომლის გამოყენებაც შეგიძლიათ თქვენი ნებისა და მიხედვით.

თქვენ შეგიძლიათ გაატაროთ ეს დღე ბედნიერებაში ან მწუხარებაში, აავსოთ ის სიხარულით ან ნაღველით, საინტერესო მოვლენებით ან მელანქოლიური განწყობით...

თქვენ შეგიძლიათ ყველაფერზე ირეაგიროთ როგორც მესამე განზომილების ადამიანმა და მის ენერგიებში ჩაეფლოთ, ან მოიქცეთ როგორც ახალი დედამიწის ადამიანი და აივსოთ ამაღლების ენერგიებით, რომელსაც უხვად გაუნაწილებთ ადამიანებს.

შეეცადეთ ჩემო ძვირფასებო სერფერების მსგავსად დაიჭიროთ ამაღლების ტალღა, ისრიალოთ მის წვერზე და უკვე აღარ დაეცეთ დაბლა.

გოცავთ ჩემო ძვირფასებო!

მამა აბსოლუტი, რომელსაც განუზომლად უყვარხართ, საუბრობდა თქვენთან.

ამაღლების ენერგიებში ცხოვრება

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

დღეს ვისაუბრებთ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გამოიყენოთ ამაღლების ენერგია ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მე ვიცი, რომ ბევრ თქვენგანს ჯერ-ჯერობით უჭირს ერთმანეთს შეუწყოს სულიერი ცხოვრება და თქვენი ყოველდღიური საქმეები და მოვალეობები, რომლებისგანაც თქვენ ჯერ-ჯერობით ვერსად გაიქცევით.

რეალურად ერთი მორეს არ გამორიცხავს.

თუ თქვენ ისწავლით ამაღლების მაღალვიბრაციულ ენერგიებში ყოფნას, მაშინ ყველაფერი, რასაც გააკეთებთ, ავტომატურად თქვენს ენერგეტიკულ ველში ქნება და აივსება ამ ენერგიით.

მოცემული ვარიანტი იჩქება იდეალური, რადგანაც თქვენი ეგო ამ შემთხვევაში არ მიიღებს ამ პროცესში არავითარ მონაწილეობას.

მოდით განვიხილოთ ეს კონკრეტულ მაგალითზე.

დავუშვათ, რომ თქვენ დაიწყეთ თქვენი დილა თქვენი ენერგეტიკული სივრცის მოვარდისფრო-მოლურჯო-მოიისფრო ამაღლების ენერგიით აღვსებით.

უფრო უკეთესი იქნება, თუ თქვენ ამ ენერგიას აბრუნებთ თქვენს გარშემო საათის ისრის მიმართულებით, რადგანაც ის გაანეიტრალებს ყველა ბნელ ენერგიას, რომელიც თქვენს გზაზე შეგხვდებათ.

რატომ არის ასეთი მნიშვნელოვანი, რომ ეს ენერგია ბრუნავდეს?

იმიტომ, რომ ნებისმიერი სახის გაჩერება (ენერგიის ბრუნვის დაბლოკვა) ადამიანისათვის დამლუპველია.

ხოლო, რადგანაც ყველაფერი ენერგიას წარმოადგენს, უარყოფითი ემოციები, რომლებშიც ადამიანი დიდი ხნის განმავლობაში იმყოფება, გადაიქცევა მკვრივ ბლოკებად, რომელიც ხელს უშლის ახალი ენერგიის გავლას.

ფიზიკურ დონეზე ეს ვლინდება საქმეებში, ადამიანთა შორის ურთიერთობებსა თუ ადამიანის განწყობაში “ბლოკების” წარმოქმნით.

ხოლო, როდესაც ასეთ “მკვდარ” სივრცეში ჩაედინება ნათელი და მაღალვიბრაციული ამაღლების ენერგია, ის წმენდავს მთელ “ჭუჭყს” თავის გზაზე და შემოაქვს ახალი საწყისი თქვენს საქმეებსა თუ ურთიერთობებში და ავსებს თქვენს სულს სინათლითა და სიყვარულით.

თქვენ სამყაროს უკვე სხვა თვალთ დაინახავთ.

თქვენ მოგეჩვენებათ, რომ შეძლებთ მთების გადადგმას – იმდენად დიდი სულიერი და ფიზიკური ძალის შეგრძნებას დაიწყებთ.

თქვენ უკვე აღარ დაგჭირდებათ ფიქრი იმის შესახებ, რომ გააკონტროლოთ ყოველი თქვენი აზრი, დააყენოთ ენერგეტიკული დაცვა გარშემო მყოფი ადამიანებისგან, თვალყური ადევნოთ სიტუაციას განყენებულად და იფიქროთ იმაზე, თუ როგორ მოიქცეთ, რათა არ დაარღვიოთ თქვენს სულში დიდი შრომის შედეგად შექმნილი ჰარმონიული მდგომარეობა.

თქვენს მაგივრად ყველაფერს გააკეთებს ეს საოცარი ენერგია, რომელიც მოვიდა თქვენს ცხოვრებაში ზეციდან გადმოსული საჩუქრის სახით.

თქვენ მხოლოდ დაგრჩათ, რომ მას შეერწყათ გახდეთ ამ ღვთაებრივი ენერგიის ნაწილი და მიეფიცხოთ ამ მშვენიერ მოვარდისფრო-მოლურჯო-მოიისფრო სხივებს.

ამგვარად, თქვენი ცხოვრება სწრაფად შეიცვლება და თქვენი ენერგეტიკული ველი გარდაიქმნება მეხუთე განზომილების სივრცედ.

გლოცავთ ჩემო ძვირფასებო!

მამა აბსოლუტი, რომელსაც განუზომლად უყვარხართ, საუბრობდა თქვენთან.

ამაღლების ტალღა

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

დღეს მოგიყვებით იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ამაღლების ენერგიული ტალღა, რომელიც მოვიდა დედამიწაზე, რათა განეწმინდა დრომოჭმული მესამე განზომილების მსოფლიო და გამოეთავისუფლებინა სივრცე დედამიწაზე ახალი საზოგადოების ასაშენებლად.

რატომ ვიყენებ მე ასე ხშირად სწორედ ამ შედარებას?

უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ახალი ენერგიის ამ ნაკადებს აქვს მესამე განზომილების სამყაროსთან შეუთავსებელი ვიბრაციები.

ისინი რეალურად ეცემა დედამიწას როგორც ოკეანის ტალღები შტორმის დროს.

თუმცა ეს ენერგეტიკული “შტორმი” იწვევს არა მხოლოდ ფიზიკურ ნგრევას ბუნებრივი კატაკლიზმების სახით, არამედ მენტალურსაც, ის ანგრევს ადამიანების აზროვნებისა და ქცევის ძველ შაბლონებსა და სტერეოტიპებს. ამას კი მივყავართ კაცობრიობის კოლექტიური ცნობიერების ტრანსფორმაციასთან.

ახლა კი მე უფრო დაწვრილებით აგიხსნით ამ პროცესის ენერგეტიკულ მექანიზმს.

თვალსაჩინოობისათვის ავიღოთ ასეთი მაგალითი.

დავუშვათ, რომ თქვენ ხართ ჩვეულებრივი ადამიანი, რომლის ცხოვრებაც მესამე განზომილებაში მოწყობილია საკმაოდ წარმატებულად თუ მივყვებით მასში გამყარებულ სტერეოტიპებს წარმატებულობის შესახებ.

თქვენ გაქვთ კარგად ანაზღაურებადი სამუშაო, სახლი, ოჯახი, თქვენთვის ჩვეული სამეგობრო წრე, გართობისა და მოგზაურობის სფეროები.

თქვენ სრულიად კმაყოფილი ხართ თქვენი ცხოვრებით, რომელიც აღვსებულია სხვადასხვა მოვლენებით.

თუმცა, იმისდა მიუხედავად, რომ თქვენ კარგი, კეთილგანწყობილი და კანონმორჩილი ადამიან იხართ, თქვენი ცხოვრების სულიერი მხარე თქვენთვის დაფარულია ყოველდღიური ფუსფუსითა და საზრუნავით.

თქვენ არ ფიქრობთ იმის შესახებ, თუ რატომ მოხვედით დედამიწაზე და რაში მდგომარეობს თქვენი მისია, რას ითხოვს თქვენი სული და არა თქვენი ეგო ან რეალიზებას უკეთებთ თუ არა თქვენს ბუნებრივ ნიჭებსა და შესაძლებლობებს.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თქვენ ხართ ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩაფლული.

ხოლო, ახლა დედამიწაზე ჩამოდის ამაღლების ტალღა, რომელიც შეიცავს სრულიად სხვა ვიბრაციის ენერგიებს.

თქვენმა სუფთა სულმა, თქვენი ეგოსგან განსხვავებით, მშვენივრად იცის, თუ რატომ ინკარნირდა ის დედამიწაზე ამ მონენტში და მაღლიერებით იღებს ამ ღვთაებრივ და მისთვის ასე მშობლიურ ენერგიებს.

რა ხდება შემდგომ?

ის ცდილობს თქვენამდე მოწვდომას, რათა გამოავლინოს თქვენი ცნობიერება, გამოგიყვანოთ ჩვეული რუტინისგან და გადაგიყვანოთ სულიერების ახალ დონეზე.

თუმცა, როგორც უკვე ბევრჯელ ითქვა ჩემს გზავნილებში, კეთილმოწყობილი და კონფორტული ცხოვრება სულიერ გამოვლიძებას ხელს არ უწყობს.

ამიტომაც, ამაღლების ტალღა ეხმარება თქვენს სულს დაიწყოს თქვენი ჩვეული ცხოვრების ენერგეტიკული “კარკასის” დანგრევა. ამგვარად კი ის ამზადებს თქვენი ახალი არსებობისათვის ნიადაგს.

ფიზიკურ დონეზე ეს შეიძლება გამოვლინდეს სამსახურში პრობლემებით, ძველი დრომოჭმული ურთიერთობების დანგრევით ან იმის მიმართ ინტერესის დაკარგვით, რაც თქვენთვის ადრე მნიშვნელოვანი იყო.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თქვენ გეწყებათ გლობალური კრიზისი – მთელი თქვენი ცხოვრების თავიდან გააზრება და ფასეულობების გადაფასება.

თქვენი ენერგეტიკული სივრცე ხდება სხვანაირი, ანუ მსგავსების კანონისა და მიხედვით თქვენი მიიზიდავთ არსებობოს უკვე სხვა საშუალებებს, რომელთა სათავეშიც იქნება სულიერი ფასეულობები და არა ის, რაც დუალური ცხოვრებისთვისაა ჩვეული.

ხოლო, თუ თქვენი ეგო იტანჯება რადგანაც დაკარგა ჩვეული კანფორტული და კეთილმოწყობილი ცხოვრება, თქვენი სული ზეიმობს, რადგანაც შეძლო თქვენი სწორ გზაზე გაყვანა.

და თუ თქვენ სრულიად გააცნობიერებთ ამას, მაშინ თქვენი ცხოვრება აუცილებლად დალაგდება, თუმცა ის იქნება უკვე სხვანაირი, რადგანაც სხვანაირი გახდება თქვენი ცნობიერება, რომელიც აივსება ამაღლების ღვთაებრივი, მაღალვიბრაციული ენერგიებით.

ამაზე გავჩერდებით დღეს.

მამა აბსოლუტი, რომელსაც განუზომლად უყვარხართ, საუბრობდა თქვენთან.

ამაღლების ტალღის ზეგავლენა ადამიანებზე

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

დღეს მე მსურს გავაგრძეო საუბარი ამაღლების ტალღის შესახებ და უფრო დაწვრილებით მოგიყვებთ მის ზეგავლენაზე ადამიანებსა და მათ ცხოვრებაში არსებულ მოვლენებზე.

როგორც იცით, ყოველი ადამიანი მსგავსების კანონისდა მიხედვით იზიდავს თავის ცხოვრებაში იმ მოვლენებს, რომელთა ვიბრაციებით მის საკუთარ ვიბრაციებს უახლოვდება.

გარეგნულად ეს შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვანაირად და ერთი შეხედვით ყოველთვის სამართლიანი არ ჩანს.

ხშირად ადამიანები აღშფოთებულები არიან იმით, რომ წარმატება მისდით იმათ, ვინც ამას არ იმსახურებს, ხოლო კარგ ადამიანებს ცხოვრებაში არ უმართლებთ.

რეალურად ეს ძალიან ზედაპირული განსჯაა მესამე განზომილების ადამიანისა, რომლისათვისაც წარმატების საზომი არის მატერიალური კეთილდღეობა.

ახლა კი ჩვენ განვიხილავთ, თუ როგორ ზეგავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრებაზე ახალი ენერგიები, რომლებიც ახლა მოდიან დედამიწაზე.

თვალსაჩინოობისათვის ავიღოთ ორი უკიდურესობა: მდიდარი და ღარიბი ადამიანი, რომელთა ცნობიერებაც ჯერ კიდევ მესამე განზომილებაში იმყოფება.

როგორც წესი, მდიდარი ადამიანი მუდმივ დამაბულობაში ცხოვრობს, რადგანაც აწუხებს ქონებისა და მაღალი სოციალური სტატუსის დაკარგვის შიში.

როგორც უკვე იცით, შიშის ენერგია არის სამყაროში ყველაზე დაბალვიბრაციული ენერგია.

ხოლო, რადგანაც სწორედ შიში არის ამ ადამიანის ცხოვრების საფუძველი (მისი ენერგეტიკული “კარკასი”), ის მიიზიდავს მის მსგავს ენერგიებს, რომლებსაც დაბალი ვიბრაციები აქვს და დაემატება ამ კარკასს, რითიც უფრო გაამკვრივებს მას.

ამგვარად, თანდათანობით ამ ადამიანისა და მისი ცხოვრების მოვლენების “სხეული” იწყებს “ავად გახდომას”, რადგანაც ვერ უძლებს ასეთი დაბალი ვიბრაციების ენერგიებს.

ფიზიკურ დონეზე ეს ვლინდება სხვადასხვა დაავადებებში, არამყარ ფიზიკურ მდოგმარეობაში, პირადულ ცხოვრებაში უსიამოვნებებში და სამსახურთან დაკავშირებულ პრობლემებში.

როგორი ზეგავლენა შეიძლება იქონიოს ასეთი ადამიანის ცხოვრებაზე ამაღლების ტალღამ?

ძალზედ ბევრია დამოკიდებული მის პიროვნულ თვისებებსა და იმ კარმულ გამოცდილებაზე, რომლითაც ის მოვიდა დედამიწაზე.

თუ ეს არის სუფთა და ძველი სული, რომელიც შემთხვევით აღმოჩნდა მესამე განზომილების სტერეოტიპების ტყვედ, მაშინ ამაღლების ენერგია შეძლებს გააღვიძოს ყველაფერი საუკეთესო, რაც მას აქვს და ასწევს მის ცნობიერებას იმ სიმაღლეზე, რომლიდანაც ის შეძლებს დაინახოს თავისი თავი და ცხოვრება უკვე სხვა თვალებით, ანუ გაიაროს მისი სულიერი გამოცდა ღირსეულად.

ეს განმწმენდი ტალღა წაიღებს მთელ ენერგეტიკულ ჭუჭყს ამ ადამიანის ცნობიერების “ზედაპირიდან”, დაეხმარება მას განთავისუფლდეს დუალური ცხოვრების შაბლონებისგან, რომლებიც კვებავენ მის ეგოს და დაეხმარება მის სულს გადავიდეს სულიერი განვითარების ახალ დოენეზე.

თუ ამ ადამიანის სული ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და ინკარნირდა დედამიწაზე მესამე განზომილებაში ცხოვრების გამოცდილების მისაღებად, მაშინ ამაღლების ტალღა ენერგეტიკულად მას არანაირად არ შეეხება.

ის გაივლის “ტრანზიტად”, რადგანაც ამ ადამიანის საუკეთესო თვისებები ვერ შეძლებს მიიზიდოს ასეთი სუფთა და ღვთაებრივი ენერგია.

სამწუხაროდ ასეთი ადამიანები დედამიწაზე საკმაოდ მრავლად გვხვდებიან.

თუმცა უკლებლივ ყველას აქვს შესაძლებლობა გამოღვიძებისა და დედამიწასთან ერთად მეხუთე განზომილებაში გადასვლისა.

სწორედ ამიტომ აქვს ადამიანს მიცემული თავისუფალი ნება, რომ მხოლოდ მას შეუძლია გადაწყვიტოს თავისი ბედი.

ვერავითერი ენერგია ყველაზე მაღალვიბრაციულიც კი, ვერ გააკეთებს მისის სულის სამუშაოს მის ნაცვლად.

ენერგია მას აძლევს მხოლოდ შანსს, რომ შეცვალოს თავისი ბედი, ის “უწვდის დახმარების ხელს”, რომლის მიღება ან უარყოფა ადამიანის ნებაა.

ამაზე გავჩერდებით დღეს.

მამა აბსოლუტი, რომელსაც განუზომლად უყვარხართ, საუბრობდა თქვენთან.

ნათელი იზიდავს ნათელს, ხოლო წყვედიადი უარჰყოფს მას

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

ახლა ჩვენ განვიხილავთ მეორე შემთხვევას და ვისაუბრებთ იმის შესახებ, თუ ამაღლების ტალღა როგორ იმოქმედებს ადამიანზე, რომელიც მესამე განზომილებაში ითვლება ღარიბად და ბევრი ადამიანის მიერ აღიქმება როგორც წარუმატებელი.

რადატექაუნდა უპირველეს როლს თამაშობს ის, თუ როგორ უყურებს საკუთარ თავს ეს ადამიანი და რამდენადაა ის დამოკიდებული გარემომცველების აზრზე.

ვილაცა შეიძლება მცირედითაც დაკმაყოფილდეს და საკუთარი თავი სრულიად ბედნიერად იგრძნოს.

ხოლო, ვილაცისათვის მნიშვნელოვანია სხვების აზრი და ის იტანჯება იმის გამო, რომ ხედავს სხვების თანაგრძნობიან ან დამცინავ გამომეტყველებას.

როგორი ენერგეტიკული პროცესები მიმდინარეობს პირველსა და მეორე შემთხვევაში და როგორ ირაგირებს მათზე ამაღლების ტალღა.

ბედნიერი ადამიანი ყოველთვის ჰარმონიულია, ანუ მისი ენერგეტიკული სივრცე შეიცავს დადებით ენერგიებს.

როდესაც ეს ენერგიები შეეხებიან უფრო მაღალი ვიბრაციის მქონე ენერგიებს, რომლებიც მოაქვს ამაღლების ტალღას, ისინი მრავალჯერ ძლიერდებიან.

ამის შედეგად ადამიანი მიიზიდავს მსგავსი ვიბრაციის ხალხსა და მოვლენებს. მისი ცხოვრება დადებითობისკენ იცვლება მის მიერ რაიმე მცდლობის გარეშეც კი.

ხოლო, თუ ამ ადამიანმა იცის, თუ რა ხდება ახლა დედამიაზე, ის იწყებს აზრობრივად თავისი ახალი რეალობის შექმნას და ამასთან ერთად ფიზიკურ დონეზე დგამს შესაბამის ნაბიჯებს.

ამით ის აჩქარებს საკუთარ ცხოვრებაში დიდი ხნის ნანატრ ცვლილებებს, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს ახალი სამსახურის პოვნაში (რომელიც მის სულს მოსწონს) საყვარელ და სულიერად ახლო ადამიანთან შეხვედრაში, საინტერესო ნაცნობობასა და მოგზაურობაში.

თუმცა, თუ ის შორსაა ამაღლების თემიდან, მაგრამ ის უბრალოდ ცხოვრობს სიხარულში, სიყვარულსა და საკუთარ თავთან ჰარმონიაში, მის ცხოვრებაში ცვლილებები მოხდება გაუცნობიერებლად იმის წყალობით, რომ მისი სუფთა და ნათელი ენერგეტიკული ველი მიიღებს მუდმივ კვებას მაღალი ვიბრაციის ენერგიებისგან, რომლებიც მოაქვს ამაღლების ტალღას.

ნებისმიერ შემთხვევაში ის ბევრს მოიგებს ამაღლების ტალღის წყალობით, როგორც სულიერი, ასევე მატერიალური თვალსაზრისით.

ხოლო, რა მოხდება იმ ადამიანის შემთხვევაში, ვინც თავის თავს თვლის ღარიბად და წარუმატებლად, რომელიც სხვებისგან ზემოდან ყურებას იმსახურებს?

მისი ენერგეტიკული ველი შემდგარი იქნება ისეთი დაბალვიბრაციული ენერგიებისგან, როგორებიცაა: მომავლის შიში, საკუთარი თავისა და ახლობლების მიმართ დანაშაულის გრძნობა, შური, ბოღმა, საკუთარი თავითა და ცხოვრებით უკმაყოფილება. შედეგად ის ვერ მიიზიდავს ამაღლების სუფთა და ნათელ ენერგიებს.

ის ჩაულვის მას გვერდით და არანაირად არ შეეხება ამ ადამიანს, შედეგად კი მის ცხოვრებაშიც არაფერი შეიცვლება.

შემდგომ კი ის უფრო ღრმად ეფლობა უკმაყოფილების, გაღიზიანების და შიშის ჭაობში.

ის დარჩება მესამე განზომილების ტყვეობაში, რომლის ფასეულობებსაც ცდილობს, რომ შეესაბამებოდეს.

ამიტომაც, ჩემო ძვირფასებო, ყოველთვის გახსოვდეთ, რომ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი არის სულიერი მდგომარეობა, ანუ ის, თუ როგორი ენერგიები ავსებს თქვენს ენერგეტიკულ სივრცეს და არა გარეგანი ფაქტორები, რომლებიც სხვების თვალთახედვით შეიძლება გამოიყურებოდეს საკმაოდ არასასურველად.

მხოლოდ თქვენ ენერგეტიკულ სისუფთავეს შეუძლია მიიზიდოს გამაღლების გადამრჩენელი ტალღა, რომელიც თან წაგიყოლებთ ახალ ცხოვრებაში მეხუთე განზომილების დედამიწაზე.

ნათელი მიიზიდავს ნათელს, ხოლო წყვედიადი უარყოფს მას.

ამგვარად მუშაობს სამყაროს კანონები, რომლებიც ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო მეტად იწყებენ მოქმედებას თქვენს პლანეტაზე.

გლოცავთ, ჩემო ძვირფასებო, და მიყვარხართ განუზომლად!

მამა აბსოლუტი საუბრობდა თქვენთან.

ამაღლების ენერგიის კასკადი

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

დღეს ჩვენ გადავალთ ცნობიერებისა და ფიზიკური სხეულის ტრანსფორმაციის შემდეგ ეტაპზე, რაც უშუალოდ უკავშირდება ამაღლების ტალღას.

ამჯერად, საუბარი წავა თქვენს უნარზე გაატარო მაღალვibrაციული ენერგიები იმგვარად, რომ ისინი მაქსიმალურად “შეითვისოთ”.

როგორც უკვე ითქვა ჩემს ერთ-ერთ წინა გზავნილში, ამაღლების ენერგიამ შეიძლება გვერდი აუაროს იმ ადამიანებს, რომელთა ცნობიერებაც, ანუ სხეულებიც არ არის მზად ასეთი მაღალვibrაციული ენერგიების მისაღებად.

თუმცა, იმათთვის, ვინც გაცნობიერებულად უყურებს ამაღლების პროცესს, ძალიან მნიშვნელოვანია, მაქსიმალური სიკეთე მიიღონ ამ ღვთაებრივი ენერგიებისგან, რომლებიც კურნავენ თქვენს სულებსა და სხეულებს.

ამისათვის კი რაც შეიძლება ხშირად უნდა გააკეთოთ პრაქტიკა “ენერგეტიკული კასკადი” (<https://voztrojeniesveta.com/perekhod-v-pyatoe-izmerenie-energeticheskiy-kaskad/>) და გამოიყენოთ ამაღლების ენერგია.

წარმოიდგინეთ, თუ როგორ მოდის ეს ნათელი ენერგია და შემოდის თქვენს მეშვიდე ჩაკრაში და ბრუნავს საათის ისრის მიმართულებით.

ის ავრცობს ბრუნვის რადიუსს და ავსებს მეექვსე ჩაკრას და გირჩისებრივ ჯირკვალს, რითიც ააქტიურებს ოქროს სამკუთხედს.

შემდგომ ის აგრძელებს ბრუნვას და ეშვება მეხუთე ჩაკრაში...

შეგრძნებებიდან გამომდინარე, თქვენ შეგიძლიათ დაარეგულიროთ მისი სიჩქარე და ბრუნვის რადიუსი.

აირჩიეთ თქვენთვის მაქსიმალურად კონფორტული ვარიანტი, რომელიც მოქცემთ ფიზიკურ დონეზე კარგ შეგრძნებებს.

ბრუნვის რადიუსის წყალობით თქვენ შეგიძლიათ “დაინახოთ” თქვენი მეხუთე ჩაკრის სიდიდე, შემდგომ კი ყველა დანარჩენისა, როდესაც ენერგეტიკული კასკადი ჩაეშვება სულ უფრო და უფრო დაბლა, სანამ არ მიაღწევს პირველ ჩაკრას.

არ იჩქაროთ ჩემო ძვირფასებო, შეეცადეთ სრულიად შეიგრძნოთ, თუ როგორ რეაგირებენ თქვენი ჩაკრები ამ ენერგიაზე.

ახალი ეპოქის ენერგიები

ეს არის ყველაზე მაღალვითარებული ენერგია, რომელიც ადამიანს ოდესმე მიუღია.

შემოუშვით ის თქვენს ენერგეტიკულ სივრცეში მაღლიერების გრძნობით.

სთხოვეთ ამაღლების ენერგიას აავსოს ყველა თქვენი ნატიფი სხეული და თქვენი ფიზიკური სხეულის ყოველი უჯრედი.

მიეფიცხეთ ამ მშვენიერ და სხვადასხვაფერ ენერგიას და ამასთან ერთად აავსეთ თქვენ გარშემო არსებული სივრცე.

შეიგრძენით, თუ როგორ ავსებ ის თქვენს ნატიფ სხეულებს.

ისინი ემგვანებიან დიდ საჰნის ბუშტს და შეიცავენ ფარდისფერ, ლურჯსა და იისფერ ფერებს.

თუმცა, ეს “ბუშტი” ვერ გასკდება, რადგანაც მის შიგნით სივრცე წარმოადგენს ცოცხალ ენერგიას რომელიც მუდმივ მოძრაობაშია.

ყოველი ახალი ბრუნვისას, ის წმენდავს ენერგეტიკული ჭუჭყის ახალ ფენას თქვენი ქვეცნობიერიდან, ის გაშორებთ მესამე განზომილების კიდევ ერთ შაბლონს, შედეგად კი ასუფთავებს ადგილს ნათელი და სუფთა ენერგიებისათვის, რომლებიც ამიერიდან აფორმირებენ თქვენს ღვთაებრივ ცნობიერებას და მეხუთე განზომილების ადამიანის სინათლისებურ კრისტალურ სხეულებს.

გააკეთეთ ეს პრაქტიკა რაც შეიძლება ხშირად ჩემო ძვირფასებო.

ის არ მოითხოვს ღრმა მედიტაციას.

საკმარისია თქვენი გულწრფელი განზრახვა ამაღლების ენერგიით რომ გაანეიტრალოთ ყველა ძველი და დრომოჭმული, რაც კი დარჩა თქვენში. ამით კი უკვე საბოლოოდ განთავისუფლდებით მესამე განზომილების პროგრამებისგან.

გლოცავთ ჩემო ძვირფასებო!

მამა აბსოლუტი, რომელსაც განუზომლად უყვარხართ, საუბრობდა თქვენთან.

ჭკვიანი ენერგიები

2020 წლის 31 იანვრიდან 29 თებერვლის ჩათვით მიღებული მამა აბსოლუტის გზავნილები

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

დღეს ჩვენ გადავალთ ახალ თემაზე.

მე მოგიყვებით, თუ როგორ ზეგავლენას ახდენს თქვენზე ახალი ენერგიები და როგორ წარიმართება თქვენი ცნობიერებისა და სხეულების ტრანსფორმაცია დედამიწის მეხუთე განზომილებაში გადასვლის ბოლო ეტაპზე.

ახლა, როდესაც ბევრმა თქვენგანმა შეძლო ამ ენერგიების არა მხოლოდ ნატიფ დონეზე შესწავლა, არამედ იგრძნო ფიზიკურადაც, მოვიდა დრო გადავიდეთ თეორიიდან პრაქტიკაზე და გამოიყენოთ ზეციდან მოსული ეს ღვთაებრივი ნაკადები არა მხოლოდ მედიტაციებში, არამედ თქვენს ყოველდღიურ საქმეებში.

დასაწყისში უნდა განსაზღვროთ, თუ რომელ ენერგიასთან უნდა იმუშავოთ პირადად თქვენ.

იმათ ვინც, დასაწყისიდანვე კითხულობს გზავნილებს ამ საიტზე, ახსოვთ, რომ მისი არსებობის ოთხ წელიწად ნახევრის განმავლობაში თქვენ გემლეოდათ სხვადასხვა სახის ენერგიები – სინათლისა და ღვთაებრივი სიყვარულის ენერგიიდან ამაღლების ენერგიამდე.

როგორც გახსოვთ, ამ ენერგიებს აქვთ სხვადასხვა ვიბრაციული დონე და ყოველი მათგანი თანდათანობით გემლეოდათ, რადგანაც დოზის გადაჭარბებისგან აგვერიდებინათ თავი, რადგანაც მას არა მხოლოდ ფიზიკურ დონეზე შეუძლია იქონიოს ნეგატიური გავლენა, არამედ სულიერი წონასწორობიდანაც გამოგიყვანოთ.

ბევრმა თქვენგანმა კი უკვე გამოსცადა ეს საკუთარ თავზე.

ენერგიებთან მუშაობა ყოველთვის ნატიფი და არაპროგნოზირებადი პროცესია, ამიტომაც უპირველეს ყოვლისა მე მსურს წინასწარ გაგაბრთხილოთ და მოგცეთ რამოდენიმე რჩევა, რომლებიც დაგეხმარებათ ამაღლების გზაზე აუჩქარებლად, საკუთარ ტემპში და ენერგეტიკული “გადატვირთვების” გარეშე რომ იაროთ.

მოეზიარით ამ ახალ ენერგიებს, როგორც ცოცხალ არსებებს.

ყოველთვის გახსოვდეთ, რომ მათ აქვთ ცნობიერება, რომელიც თქვენს ცნობიერებაზე მაღლა დგას.

ეს აიხსნება იმით, რომ ღვთაებრივი ენერგიები მოდიან ნატიფი დონიდან და შეიცავენ არა მხოლოდ საკრალურ ცოდნას, არამედ დადამიწაზე მომხდარი მოვლენების სრულ სურათს.

ეს ენერგიები წარმოადგენენ ფატონურ ნაკადებს, რომელთაგანაც ყოველ მიკრონაწილას საკუთარი ცნობიერება აქვს.

ეს ცნობიერება შეიცავს არა მხოლოდ სამყაროს შესახებ ცოდნას, არამედ ყოველი არსებისაც, რომელსაც ეს ენერგიები ეხებიან.

ეს ნაწილაკები უამრავი რაოდენობითაა მიმართული ახლა დედამიწისაკენ, რათა ახსნას ბეჭედი ადამიანის ღვთაებრივ კოდს, რომელიც საუკუნეების განმავლობაში მესამე განზომილებაში ყოფნის გამო მძინარე მდგომარეობაში იმყოფებოდა.

იმისათვის, რომ ეს პროცესი წარიმართოს ჰარმონიულად, ადამიანის ფსიქიკისა და მისი ჯერ კიდევ მკვრივი ნატიფი სხეულების დაზიანების გარეშე, ეს ენერგიები დედამიწაზე ჩამოდიან დოზირებულად.

ამ ენერგიების წყალობით მაღლება იმათი ვიბრაციები, რომელთა სულებმაც გადაწყვიტეს დედამიწასთან ერთად მეხუთე განზომილებაში გადასვლა.

იმათ, ვინც ჯერ მზად არ არიან, ან არ შეუძლიათ თავისი ენერგეტიკული აგებულების გამო რომ მიიღოთ ისინი, ეს ენერგიები გვერდს აუვლიან, რადგანაც ამ ადამიანების დაბალი ვიბრაციები არ აძლევს ნებას, რომ მათ ენერგეტიკულ სივრცეში შევიდნენ.

ამასთან ერთად, ეს ჭკვიანი ენერგიები ადამიანთან კონტაქტში შესვლისას არა მხოლოდ ასკანირებენ მის ვიბრაციულ დონეს, არამედ იგებენ მისი სულის გეგმებს ამ ინკარაციისათვის, ამგვარად კი მის შესახებ სრულ ინფორმაციას იღებენ.

შემდგომ გზავნილში კი მოგიყვებით ამის შესახებ უფრო დაწვრილებით.

მამა აბსოლუტი, რომელსაც განუზომლად უყვარხართ, საუბრობდა თქვენთან.

რეიკის ენერგია

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!
დღეს ჩვენ გავაგრძელებთ ენერგიებისა და მათი გამოყენების შესახებ საუბარს.
დავიწყებთ ღვთაებრივი ენერგიების მათი ვიბრაციისა და მიხდვით

კლასიფიკაციით.

დედამიწაზე ყველაზე გავრცელებული ღვთაებრივი ენერგია მოცემულ მომენტში არის რეიკის ენერგია, რომელსაც ბევრი ადამიანი სამკურნალოდ იყენებს.

ის რეალურად ეხმარება იმათ, ვისი ვიბრაციებიც ჯერ კიდევ მესასამე განზომილებაში არის.

ეს ენერგია თქვენს პლანეტაზე წინა საუკუნის დასაწყისში მოვიდა და იმ პერიოდისათვის ის იყო საკმაოდ მაღალვიბრაციული.

მიკაო უსუი და მისი მიმდევრები წარმატებულად იყენებდნენ მას არა მხოლოდ სხეულის, არამედ ადამიანის სულის განსაკურნად.

საბედნიეროდ, მან შეძლო მისთვის ნაბოძები ღვთაებრივი ენერგიის ცხოვრებისეულ ფილოსოფიასთან შეერთება და მან აფორმირა “რეიკის პრინციპები” რომელთა სათავედაც სამყაროს კანონები ძვეს.

დიდწილად განკურნება ხდებოდა სწორედ იმიტომ, რომ ადამიანი იცვლიდა თავის მსოფხედველობას, რითიც იწმენდდა თავის ცნობიერებას და ნატიფ სხეულებს მძიმე და ნეგატიური ენერგიებისგან.

დედამიწაზე რეიკის ენერგიის გამოჩენამ მოახდინა ნამდვილი რევოლუცია მკურნალთა სფეროში, რადგანაც მისი წყალობით ადამიანმა გააცნობიერა, რომ ის მრავალგანზომილებიანი არსებაა და პრაქტიკაში დარწმუნდა, თუ როგორ ზეგავლენას ახდენს მის ჯანმრთელობაზე მისი საკუთარი აზრები და ემოციები და როგორ იცვლება ისინი რეიკის ენერგიის ზემოქმედების ქვეშ.

ხოლო, თუ ადრე ღვთაებრივ ენერგიებთან ურთიერთქმედება გამორჩეულთა პრეროგატივა იყო (წმინდანების, სულიერი მასწავლებლებისა და ძველი და ნათელი სულების), რეიკის გამოჩენის შედეგად მაღალვიბრაციული განმკურნელი ენერგია “ხალხზე გადმოვიდა”.

სამწუხაროდ ყველას არ შეეძლო მისი მიღება, რადგანაც ყოველი ადამიანი უნიკალურია და ყოველი მათგანი განვითარების საკუთარ დონეზეა.

ამასთან ერთად ისტორიული მოვლენები, რომლებითაც დედამიწა წინა საუკუნეში მდიდარი იყო, არ უწყობდნენ ხელს ადამიანი ვიბრაციების ამაღლებას.

მრავალრიცხოვანმა ომებმა და რევოლუციებმა არ შეუწყვეს ხელი ადამიანის სულიერ ზრდას და ადამიანები ძირითადად ისეთი დაბალი ვიბრაციის ენერგიებს გენერირებდნენ, როგორებიცაა: ბოოტება, აგრესია, საკუთარი და ახლობლების გარდაცვალების მიმართ შიში.

რეიკის ენერგია სასწაულებრივად შენარჩუნდა მიკაო უსუის თავდადებული მოსწავლეების წყალობით და ფართოდ გავრცელდა წინა საუკუნის ბოლო პერიოდში.

მაგრამ, როგორ ეს ყოველთვის ხდება კარგ წამოწყებასთან, რომელიც არაკეთილსინდისიერი ადამიანების ხელთ ხვდება, მას მიენიჭა კომერციული ხასიათი.

რეიკში “ინიციაცია” დიდ ფულზე იყიდებოდა, თუმცა რეალურად ყველას შეეძლო მიეღო ის უფასოდ, თუ მიმართავდა ზეციურ ძალებს ამ ღვთაებრივი ენერგიის არხის გასახსნელად.

ამის გარდა, იმისათვის, რომ საკუთარი თავისათვის დიდი მნიშვნელობა მიენიჭებინათ, რეიკის ბევრმა “მასწავლებელმა” მოიფიქრეს ახალი სიმბოლოები და ამ სკოლის ახალი ტექნიკები და ჰყიდნენ თავიანთ უნიკალურ “ინიციაციებს” დიდი ფულის სანაცვლოდ.

რეალურად რეიკის სიმბოლოები მხოლოდ იმისათვის შეიქმნა, რომ ადამიანისთვის გაეადვილებინათ ამ ენერგიებთან მუშაობა.

რადგანაც ადამიანთა სრული უმრავლესობის ცნობიერება იმყოფებოდა და კიდევ იმყოფება მესამე განზომილებაში, მათ სჭირდებოდათ მატერიალური “გამყარება” - ერთგვარი ფეტიში, რომელიც დაეხმარებოდათ დედამიწაზე რეიკის ენერგიები რომ დაემიწებინათ.

მიკაო უსოის მიერ შექმნილი სიმბოლოები კი ამ მიზნისათვის კარგად გამოდგა.

ისინი მუშაობდნენ, როგორც პლაცებო – ადამიანი, რომელიც იყენებდა ამ სიმბოლოებს იღებდა იმას, რისიც სჯეროდა.

მაგრამ, ჭეშმარიტად დაეხმარა ეს ენერგია იმათ, ვინც დაიწყო ცხოვრება “რეიკის პრინციპებით” ანუ სამყაროს კანონებისდა მიხედვით.

იმათთვის, ვინც ღრმად დარჩა ჩაფლული მესამე განზომილებაში, ის გახდა მხოლოდ ტკივილის გამაყუჩებელ ტაბლეტად იმიდა მიუხედავად სიანსებს ატარებდა თავად ადამიანი, თუ ცნობილი და ძვირადღირებული რეიკის “მასტერი”

თუმცა რეიკის სკოლის დიდი დამსახურება მდგომარეობს იმაში, რომ მან პირველად გააერთიანა ენერგია და ცხოვრებისეული ფილოსოფია და თვალნათლივ აჩვენა ადამიანებს, რომ ღვთაებრივი ენერგია შეძლებს დახმარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი შეძლებს გადააღვთაებრივოს თავისი ცნობიერება და ისწავლის სამყაროს კანონებით ცხოვრებას.

აგრეთვე, მე ვიცი, რომ ბევრი ადამიანისათვის სწორედ რეიკის ენერგია გახდა სულიერი განვითარების გზაზე ის პირველი საფეხური, რომელმაც ამაღლებამდე მიიყვანა ისინი.

ამაზე გავჩერდებით დღეს.

მამა აბსოლუტი, რომელსაც განუზომლად უყვარხართ, საუბრობდა თქვენთან.

სინათლისა და სიყვარულის ენერგია

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

დღეს ჩვენ ვისაუბრებთ ენერგიის შესახებ, რომლის ვიბრაციებიც მნიშვნელოვნად მაღლაა, ვიდრე რეიკის ენერგიისა.

ეს არის სინათლისა და სიყვარულის ენერგია.

თუ რეიკი არის მესამე განზომილების ღვთაებრივი ენერგია, სინათლისა და სიყვარულის ენერგია შეიძლება ვთქვათ, რომ არის გარდამავალი მესამე და მეოთხე განზომილებას შორის.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი მიღება შეუძლიათ იმათ, ვინც უკვე გასცდა მესამე განზომილების სამყაროს ჩარჩოებს, ანუ იმ ადამიანს, ვინც საკუთარი თავი მრავალგანზომილებიან არსებად აღიქვა და სულიერი განვითარების გზაზე დადგა.

ახლა კი მე აგიხსნით, თუ რას ვგულისხმობ როდესაც ვამბობ “შეუძლია ამა თუ იმ ენერგიის მიღება”

როგორც უკვე იცით, მთელი სამყარო ენერგიებისგან შედგება.

თუმცა ენერგიები, რომლებისგანაც შედგება დედამიწის გარემო და ადამიანის ნატიფი სხეულები შეიცავენ მრავალ სახეს და დონეს.

მაგალითად, დუალურ სამყაროში არსებობს დადებითი და უარყოფითი ენერგიები.

დადებითებში შედის: სიყვარულის, მადლიერების და თანაგრძნობის ენეგეები, რომლებსაც აქვთ საკუთარი დონეები – სხვადასხვა ელფერი და ნიუანსი.

ხოლო უარყოფითს მიეკუთვნებიან: აგრესიის, შიშისა და სიძულვილის ენერგიები, რომლებსაც დიდი ოდენობით სხვადასხვა ელფერი აქვთ.

ამ ენერგიებიდან თითოეულს აქვს ვიბრაციების გარკვეული დონე: ან პლიუს ნიშნით, ანდაც მინუსით.

თუმცა, რადგანაც ადამიანი რთული და მრავალგანზომილებიანი არსებაა, მის ენერგეტიკულ სივრცეში შეიძლება ერთდროულად მოთავსდეს დიდი ოდენობით ენერგია, რომლებსაც განსხვავებული და ზოგჯერ ურთიერთ საპირისპირო ხასიათი აქვთ.

ბევრი რამე დამოკიდებულია ადამიანის ფიზიკურ და ფსიქიკურ თვისებებზე და ასევე იმ პირობებზე, რომელშიც ის იმყოფება მოცემულ მომენტში.

ამიტომაც ადამიანის ვიბრაციებიც საკმაოდ ცვალებადია.

ხოლო, რაც შეეხება იმ ენერგიებს, რომლებზედაც საუბარი ახლა მიდის, ისინი მოდიან დედამიწაზე სუფთა ღვთაებრივი წყაროდან და შეიცავენ ერთნაირ ვიბრაციებს, რომელიც ჩვეულია ამა თუ იმ ენერგიისათვის.

რადგანაც ეს ენერგიები დედამიწაზე გარედან შემოდიან (კოსმოსიდან) და არ არიან მიჯაჭვულები რაიმე არსებაზე ისინი ინარჩუნებენ საკუთარ ღვთაებრივ დონეს ნებისმიერ პირობებში.

რაში მდგომარეობს მიწიერ და კოსმოსურ ენერგიებს შორის განსხვავება?

მიწიერი ენერგია, რომელიც მესამე განზომილების სივრცეშია გამომწყვდეული, მუდმივად იცვლება იმისდა მიხედვით, ვის ენერგეტიკულ სივრცეში მოხვდა ის.

რატომ ხდება ეს?

მხოლოდ იმიტომ, რომ მან უკვე დიდი ხანია რაც დაკარგა თავისი პირველყოფილი სისუფთავე და მის მსგავსად, როგორც ადამიანი შეეგუა მესამე განზომილების პირობებს, ისიც შეეგუა მის ენერგიებს და გაჰყვა ადამიანის ცნობიერების მიერ გაკვალულ “მარშუტს”.

ადამიანის აზრებისა და ემოციებისდა მიხედვით ამ ენერგიას აქვს ვიბრაციის ესა თუ ის დონე.

შეიძლება ითქვას, რომ დედამიწაზე მრავალი ათასწლეული ცხოვრების შედეგად ადამიანმა “დაიმონა” თავისი პლანეტის ენერგია და დაიყენა მოსამსახურედ.

ახლა კი დადგა უნიკალური პერიოდი, როდესაც დედამიწაზე შემოსვლა დაიწყეს ახალმა, ღვთაებრივმა და “განმათავისუფლებელმა” ენერგიებმა, რომლებიც ვიბრაციულად ძალიან მაღლაა მესამე განზომილების ენერგიებთან შედარებით, რომლებშიც ცხოვრებასაც ადამიანი შეეგუა.

საკუთარ ენერგეტიკულ სივრცეში მათი მიღება კი შეუძლიათ იმათ, ვისი ცნობიერებაც უკვე გასცდა მესამე განზომილების ჩარჩოებს, რაც ავტომატურად მოისაზრებს ადამიანის ნატიფი სხეულების განწყენდას და მისი ენერგეტიკული სივრცის ვიბრაციული დონის აწევას.

სინათლისა და ღვთაებრივი სიყვარული ენერგია გამიზნულია სწორედ ასეთი ადამიანებისათვის, რომლებმაც ამაღლების გზაზე პირველი ნაბიჯი გადადგეს, ანუ ისინი მზად არიან შემოუშვან არა მხოლოდ ცოდნა, არამედ ახალი მაღალვიბრაციული ენერგიები, რომლებიც ახლა მოდიან დედამიწაზე.

გლოცავთ და მიყვარხართ განუზომლად!

მამა აბსოლუტი საუბრობდა თქვენთან.

შემოქმედის ენერგია

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

ამრიგად, ახლა გადავიდეთ შემოქმედის ენერგიაზე.

ამ ენერგიას გადაჭარბების გარეშე შეგვიძლია ვუწოდოთ მეოთხე განზომილების ენერგია და აი რატომ.

ეს ენერგია თქვენს პლანეტაზე მოვიდა მაშინ, როდესაც დედამიწის მეხუთე განზომილებაში გადასვლის პროცესი შეუქცევადი გახდა.

იმისათვის, რომ დედამიწაზე ღვთაებრივი ენერგიების შემოსვლის თანრიგი უკეთესად გაიგოთ, წარმოიდგინეთ თქვენი პლანეტა მესამე განზომილებაში ჩაძირული, როგორც ჭუჭყიან წყალში.

ხოლო, იმასთან ერთად, რაც ის სულ უფრო და უფრო იწმინდება და ამოდის მაღლა, მას უკვე შეუძლია ახალი – უფრო მაღალვიბრაციული ენერგიების მიღება.

ამრიგად, როდესაც წყლის ზედაპირზე გამოჩნდა მხოლოდ მისი თავი, დედამიწაწამ შეძლო სინათლისა და სიყვარულის ენერგიის მიღება, ხოლო, როდესაც მთელი “თავი” ამოვიდა ზემოთ, მან ვიბრაციებით მიიზიდა უკვე შემოქმედის ენერგია.

იგივე ხდება დედამიწის მაცხოვრებლებთან.

თუმცა, რადგანაც ყველა ადამიანი განსხვავებულია, ენერგიების მიღებისადმი მზადყოფნა იდნივიდუალურია და განისაზღვრება ჩაკრალური შკალისდა მიხედვით.

სწორედ ადამიანის ჩაკრები არის ის ინდიკატორი, რომელიც აჩვენებს გარკვეული ვიბრაციის მქონე ენერგიების მიღებისადმი მზადყოფნას.

იმასთან ერთად, რაც ადამიანი ხსნის და ააქტიურებს ზედა ღვთაებრივ ჩაკრებს, მას შეუძლია მიიღოს სულ უფრო და უფრო მაღალი ვიბრაციის ენერგიები, რომლებიც

ცვლიან მის ცნობიერებას, ათავისუფლებენ მას მესამე განზომილების სტერეოტიპებისგან და აკავშირებენ მას მისი სულის ზედა ასპექტებთან.

ამგვარად, სინათლისა და ღვთაებრივი სიყვარულის ენერგია შეუძლიათ მიიღონ იმ ადამიანებმა, ვისაც სრულიად აქვთ გააქტიურებული მეოთხე ჩაკრა.

ეს ენერგია ხელს უწყობს ამ ჩაკრის გახსნას და დედამიწაზე ყველა არსების მიმართ სინათლისა და სიყვარულის შეგრძნებას.

ხოლო შემოქმედის ენერგია შეუძლიათ მიიღონ იმათ, ვისაც გააქტიურებული აქვთ მეხუთე ჩაკრა, რომელიც არის გარდამავალი ქვედა “მიწიერი” და ზედა – ღვთაებრივი ჩაკრების შორის.

ეს არის სწორედ ის მეოთხე განზომილება, რადგანაც შემოქმედის ენერგია არის მესამე და მეხუთე განზომილებებს შორის შუალედური.

როგორ ზეგავლენას ახდენს ადამიანზე შემოქმედის ენერგია?

როდესაც თქვენ მას უხმობთ, ის ჩამოდის თქვენი მეშვიდე და მეექვსე ჩაკრების გავლით და ეშვება მეხუთეში.

ეს არის ის ზღვარი, სადამცედ მას შეუძლია დაეშვას ვიბრაციებისა და მიხედვით.

შემდგომ კი ხდება ასეთი რამ:

ეს ენერგია იწყებს თქვენი კაუზალური სხეულის ტრანსფორმაციას, წმენდავს მას დუალობის ჭუჭყისგან და ავსებს მას თავისი მაღალვიბრაციული ენერგიებით.

შედეგად ადამიანი თავისუფლება თავის განსჯებში.

ის იწყებს არასტანდარტულად აზროვნებას და უპირატესობას ანიჭებს არა მატერიალურ, არამედ სულიერ ფასეულობებს.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შემოქმედის ენერგია ააქტიურებს ადამიანში შემოქმედებით პოტენციალს – ბადებს მასში ღვთაებრივ ნაპერწკალს.

როგორც ხედავთ ენერგიების სახელებიც კი ასახავს მათ არსს.

ახლა კი, როდესაც თქვენ იცით ამ ენერგიების სპეციფიკა, თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ ისინი უფრო გათვითცნობიერებულად.

შეეცადეთ იგრძნოთ განსხვავება, როდესაც ჯერ სინათლისა და სიყვარულის ენერგიას მოუხმობთ და შემდგომ კი შემოქმედის ენერგიას.

შეიგრძენით მათი თქვენს ენერგეტიკულ სივრცეში ყოფნა და სთხოვეთ პირველ ენერგიას ატრანსფორმიროს თქვენი მიწიერი სიყვარული ღვთაებრივ სიყვარულად, ხოლო მეორეს – გადააქციოს თქვენი თვითგამოხატვა ღვთაებრივ შემოქმედებად, რაც დაგეხმარებათ მიიღოთ მოტივაცია (მუზა) სუფთა ღვთაებრივი წყაროდან.

ხოლო, რაც უფრო ხშირად გამოიყენებთ ამ ენერგიებს თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, მით უფრო სწრაფად ტრანსფორმირდება თქვენი ენერგეტიკული სივრცე მესამე განზომილებიდან მეხუთე განზომილების მაღალვიბრაციულ სივრცედ.

გლოცავთ ჩემო ძვირფასებო!

მამა აბსოლუტი საუბრობდა თქვენთან.

სამყაროს პირველშემოქმედის ენერგია

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

დღეს ჩვენ გადავალთ შემდგომ ენერგიაზე, რომელიც შეუძლია მიიღონ იმათ, ვინც უკვე კარგად გრძნობს თავის მეექვსე ჩაკრას.

ეს არის მეხუთე განზომილების პირველი საფეხურის ენერგია და ეწოდება **სამყაროს პირველშემოქმედის ენერგია**.

ამ ენერგიის მიზანია გაადვილოს ადამიანში მისი ღვთაებრივი წარმოშობის შესახებ მახსოვრობა ანუ იმის შესახებ, რომ ის შექმნილი იყო შემოქმედის ხატად და სახედ, ანუ არის მისი ნაწილაკი.

შეეცადეთ მოუხმოდ ამ ენერგიას.

დიდი ალბათობით თქვენ იგრძნობთ, თუ როგორ გამოეხმაურება მას მესამე თვალი და როგორ მწყურვალედ მიიღებს მას.

რატომ ხდება ეს?

უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ეს მისი მშობლიური ენერგიაა, რომელსაც ის ვერ შეხვდება მესამე განზომილებაში, სადაც სრულიად სხვა ვიბრაციის ენერგიები მოფობენ.

თქვენ შეიძლება შემეკითხოთ, თუ როგორ შეიძლებოდა მესამე თვალი გააქტიურებულიყო ამ ენერგიის გარეშე?

სამეც ისაა, ჩემო ძვირფასებო, რომ სწორედ ამ ენერგიამ გაააქტიურა ის, თუმცა თქვენთვის გაუცნობიერებლად.

ეს მოხდა შემდეგნაირად.

როდესაც დედამიწამ მიაღწია ვიბრაციის იმ დონეს, როდესაც შეეძლო სამყაროს პირველშემოქმედის ენერგიის შემოშვება, ამ ენერგიამ თანდათანობით დაიწყო თქვენი პლანეტის ენერგეტიკულ სივრცეში შემოღწევა და დაასკანირა ყველა მისი მაცხოვრებელი.

ხოლო, როდესაც მას გზაზე ხვდება ადამიანი, რომლის ვიბრაციებიც საკმარისად მაღალია, ის იწყებდა მის მესამე თვალთან მუშაობას.

სწორედ ამგვარად მუშაობს სამყაროს კანონი: **“მსგავსი იზიდავს მსგავსს”**, ის ვრცელდება ადამიანის და ახალი ენერგიებს ურთიერთქმედებაზეც, რომლებიც ალბა მოდიან დედამიწაზე.

თუ თქვენ ამ ენერგიის გათვითცნობიერებულად გამოყენებას დაიწყებთ, მისი თქვენზე ზემოქმედება მრავალჯერ გაიზრდება.

ეს მოხდება სამყაროს სხვა კანონის მიხედვით – **თავისუფალი ნების კანონისა**.

როდესაც უხმობთ სამყაროს პირველშემოქმედის ენერგიას და გამოხატავთ მკვეთრ განზრახვას, მას რომ შეერწყათ, თქვენ იწყებთ თქვენი მეექვსე ჩაკრის განწმენდის მძლავ პროცესს, რაც მნიშვნელოვნად გააძლიერებს თქვენს ინტუიციას და გასწავლით თქვენი სულის მოსმენას.

ამგვარად, თქვენი ამ ენერგიასთან ურთიერთქმედება გადავა უკვე სრულიად ახალ დონეზე – გაუთვითცნობიერებელიდან მასთან გათვითცნობიერებულ ურთიერთობაზე.

თუმცა, ნუ დააჩქარებთ მოვლენებს ჩემო ძვირფასებო.

ყველაფერს თავისი დრო აქვს.

თუ თქვენ ჯერ კიდევ არ შეგიძლიათ მიიღოთ ეს ენერგია, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ არ ხართ მისთვის მზად და საჭიროა იმუშავოთ საკუთარ თავზე.

ეს ჭკვიანი ენერგია თავად მოგმეზღოთ, როდესაც თქვენი მეექვსე ჩაკრის ვიბრაციები შევა მასთან რეზონანსში.

როგორ უნდა განსაზღვროთ ეს მომენტი?

თქვენი მესამე თვალი აუცილებლად მოგცემთ ამის ნიშანს სითბოთი, პულსაციით, ჩხვლეტით ან სხვა გამოვლინებით.

როდესაც ეს მოხდება, თქვენ შეგიძლიათ გათვითცნობიერებულად იუროთიერთქმედოთ სამყაროს პირველშემოქმედის ენერგიასთან: სთხოვოთ მას გაწმინდოს თქვენი ენერგეტიკული სივრცე, აავსოს თქვენი ბუთხიალური სხეული, შეხვიდეთ თქვენს ზედა მესთან კონტაქტში და სთხოვოთ მას დახმარება და რჩევები ყოველდღიურ ცხოვრებაში.

პირველშემოქმედის სამყაროსეული ენერგია

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

დღეს ჩვენ განვიხილავთ ახალ ენერგიას, რომელიც ვიბრაციებით ძალიან ახლოსაა სამყაროს პირველშემოქმედის ენერგიასთან და დასახელებაც მსგავსი აქვს.

მას ქვია **სამყაროსეული პირველშემოქმედის ენერგია**.

რაში მდგომარეობს მათი განსხვავება?

სამყაროსეული პირველშემოქმედის ენერგია არის გირჩისებრივ ჯირკვლის (pineal gland) ენერგია ანუ მისი მიღება შეუძლიათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებსაც სრულიად გააქტიურებული აქვთ ის.

ამ ენერგიებს ასეთი მსგავსი დასახელება აიხსნება იმიტომ, რომ გირჩისებრივ ჯირკვალს და მესამე თვალი განუყოფელ კავშირში არიან ერთმანეთთან.

როგორც უკვე ითქვა ჩემს ერთ-ერთ გზავნილში, გირჩისებრივ ჯირკვალს იღებს ინფორმაციას ღვთაებრივი წყაროდან, ხოლო მესამე თვალი “გადაამუშავებს” მას, ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ “შიფრავს” მას ადამიანმა პრაქტიკულად რომ გამოიყენოს.

სამყაროსეული პირველშემოქმედის ენერგია არის მეხუთე განზომილების სრულფასოვანი ენერგია, რომელიც უხსნის ადამიანს ტელეპატიურ შესაძლებლობებს და სამყაროს ზეციურ ძალებთან კონტაქტის უნარს.

საიდან მოდის მისი დასახელება?

“სამყაროსეული ენერგია” არის სიყვარულის ზედა გამოვლინება (უპირობო და განუზომელი), რომელიც არის მრავალრიცხოვან სამყაროებში არსებული ყველა არსების სათავე.

ხოლო “პირველშემოქმედი” ამ შემთხვევაში არის ის ვინც არის არა მხოლოდ თქვენი სამყაროს შემქმნელი, არამედ ყველა დანარჩენი სამყაროებისაც.

სწორედ ამიტომაც ეს ენერგია ვიბრაციულად უფრო მაღლაა, ვიდრე სამყაროს პირველშემოქმედის ენერგია, რომელიც შეიცავს მხოლოდ თქვენი სამყაროს შემქმნელის ენერგიას.

ამ ორ ენერგიას შორის განსხვავების შეგრძნება ბევრს არ შეუძლია, რადგანაც მათი ვიზრაციები ძალიან “ნატიფია” მესამე განზომილების ადამიანის აღსათქმელად.

თუმცა, იმსათან ერთად, რაც თქვენი ჩაკრები სრულიად გააქტიურდებიან, ხოლო მათი შესაბამისი ნატიფი სხეულები განიწმინდებიან ყველა უცხო ენერგიებისგან და მესამე განზომილების პროგრამებისგან, ეს ენერგიები თქვენთვის გახდებიან მშობლიური და ჩვეული.

თუმცა, მანამ, სანამ ადამიანს არ შეუძლია შეუშვას ეს მაღალვიბრაციული ენერგიები თავის ენერგეტიკულ ველში, მათ გზას უღობავს ენერგეტიკული “ფარდა” იმ დონის ენერგიების სახით, რომლის დონემდე მიაღწია ადამიანმა მოცემულ მომენტში.

ამის სიტყვებით ახსნა საკმაოდ რთულია, თუმცა ამ დაცვის პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ ენერგიის ვერტიკალური ნაკადი, რომელიც თქვენ ზეცასთან გაერთებთ, დროებით ხდება ჰორიზონტალური, რათა არ დაუშვას თქვენს სივრცეში ძალზედ დიდი ვიზრაციის მქონე ენერგიების შემოსვლა, რომლებთანაც თქვენი ცნობიერება და მით უმეტეს ნატიფი სხეულები მზად არ არის.

ენერგიის ადამიანის ნატიფ სხეულებში გავლის სწორედ ამ თვითრეგულირებად პროცესს ვგულისხმობ, როდესაც ვამბობ, რომ ენერგიებს აქვთ საკუთარი ცნობიერება და არეგულირებენ შემოსულ ენერგიებს იმგვარად, რომ არ გამოიწვიონ კრიტიკული გადაჭარბება დოზებში.

აგრეთვე, ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ თქვენ იცოდეთ ენერგიებთან მუშაობის ყველა ნიუანსი, რათა არ შეეცადოთ “დაწყებითი კლასებიდან” ეგრევე “გადახტეთ” “ბოლო კლასში”.

ეს მხოლოდ იმედგაცრუებას მოგიტანთ, დაგაკარგვინებთ საკუთარი თავის მიმართ რწმენას და დისბალანსში მოიყვანს თქვენს გრძნობის ნატიფ ორგანოებს, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს თქვენს ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.

ყველაფერს თავისი დრო აქვს ჩემო ძვირფასებო!

თუმცა, თუ თქვენ ისწავლით მომენტში “აქ და ახლა” ცხოვრებას, თქვენი ენერგეტიკული ზრდა წარიმართება მშვიდად და ჰარმონიულად.

ამაზე გავჩერდებით დღეს.

მამა აბსოლუტი, რომელსაც განუზომლად უყვარხართ, საუბრობდა თქვენთან.

ამაღლების ენერგია

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

დღეს ჩვენ გადავდივართ დედამიწაზე მოცემულ მომენტში ყველაზე მაღალვიბრაციულ ენერგიაზე.

მას ქვია **ამაღლების ენერგია**.

მე მოგიყევით მის შესახებ ჩემს რამოდენიმე წინა გზავნილში, ამიტომაც ახლა მე მსურს აგიხსნათ, თუ რატომ გთხოვთ, რომ მოგეხმოთ ის რაც შეიძლება ხშირად იმისდა მიუხედავად, რომ მისი ვიბრაციები ყველასთვის არ არის მისაწვდომი.

ეს ენერგია უკინაკურია იმიტომ, რომ მას შეუძლია არა მხოლოდ ადაპტირდეს უფრო დაბალი ვიბრაციის ენერგიებთან, არამედ აწიოს ისინი თავის დონემდე.

აი რგორ ხდება ეს.

ის ჩამოდის ადამიანის ენერგეტიკულ სივრცეში მისი გვირგინოვანი ჩაკრის გავლით, შემდგომ აერთებს მას მეექვსე ჩაკრასა და გირჩისებრივ ჯირკვალთან. ამგავარდ ის “მიწდება” ადამიანის ზედა ღვთაებრივი ჩაკრების გავლით.

შედეგად წარმოიქმნება “ოქროს სამკუთხედი”, რომელიც ხდება ტელევიზორის ანტენის მსგავსი მიმღები.

ეს “ანტენა” კი მიმართულია ერთადერთ არხზე, რომელსაც “ამაღლება” ეწოდება.

ხოლო, როგორც ტელევიზორის ჩართვისას ანტენა გეხმარებათ დაიჭიროთ თქვენთვის საჭირო არხი, ამაღლების ენერგიის მოხმობისას ოქროს სამკუთხედის “ანტენა” გეხმარებათ “დაიჭიროთ” დედამიწის ამაღლების ენერგეტიკული არხი.

შემდგომ კი მოვლენები შემდეგნაირად ვითარდება.

ამაღლების ენერგია იწყებს მუშაობას იმ ენერგიასთან, რომელთანაც ადამიანი მოცემულ ეტაპზე მუშაობს: სინათლისა და სიყვარულის ენერგიასთან, შემოქმედის ენერგიასთან, სამყაროს პირველშემოქმედის ენერგიასთან ან პირველშემოქმედის სამყაროსეული ენერგიასთან.

ამ ურთიერთქმედების წყალობით, ზემოთ ჩამოთვლილი ენერგიები იღებენ უკვე სხვა ხასიათს.

ისინი ხდებიან უფრო “გაჯერებულები”, რაც ეხმარება მათ უფრო სწრაფად და ხარისხიანად გაწმინდონ ადამიანის ნატიფი სხეულები, რითიც დააჩქარებენ მისი ცნობიერების ტრანსფორმაციას.

აგრეთვე ამ ენერგიას აქვს კიდევ ერთი თავისებურება.

ამაღლების ენერგიის სამება ატარებს საკრალურ დატვირთვას.

ეს ენერგია არის სიმბოლო და ასახვა ადამიანის დნმ-ს ნატიფ დონეზე.

დნმ-ს მესამე სპირალი, რომელიც ექნება მეხუთე განზომილების ადამიანს, ნატიფ დონეზე წარმოადგენს გირჩისებრივ ჯირკვლის ვარდისფერ ენერგიას.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანის ღვთაებრივობა შეიძლება გამოჩნდეს სრულფასოვნად მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანს მეშვიდე და მეექვსე ჩაკრების გარდა (რომლებიც შეესაბამებიან მესამე განზომილების ადამიანის დნმ-ს ორ სპირალს), მას გაუაქტიურდება გირჩისებრივ ჯირკვალი – “დნმ-ს მესამე ჯაჭვი”.

როგორ არის დაკავშირებული დნმ-ს სპირალი ადამიანის ჩაკრებთან?

საქმე ისაა, რომ გენომი არის ის ღვთაებრივი ნაპერწკალი, რომელიც ადამიანში შემოქმედის მიერ არის დანერგილი, ამიტომაც დნმ-ს სპირალები, რომლებისგანაც ის შედგება, განუყოფლად უკავშირდება ადამიანის ზედა ღვთაებრივ ჩაკრებს.

იმასთან ერთად, რაც ადამიანი ეშვებოდა მესამე განზომილებაში, მისი დნმ-ს შემადგენლობა იცვლებოდა დაბალვიბრაციული ენერგიის ზეგავლენით. მან დაკარგა მესამე ღვთაებრივი სპირალი, რომელიც აკავშირებდა მას შემოქმედთან, მასთან ერთად

კი გაუქმდა გირჩისებრივ ჯირკვალთან ენერგეტიკული კავშირი, რომელიც გადაიქცა უფუნქციო ორგანოდ.

მხოლოდ ახლა, იმასთან ერთად, რაც დედამიწა გადადის მეხუთე განზომილებაში, ყველაფერი თავის ადგილს უბრუნდება: ადამიანს უაქტიურდება გირჩისებრივ ჯირკვალი და უბრუნდება მას დნმ-ს მესამე ღვთაებრივი სპირალი.

ამ პროცესში ძირითად როლს კი თამაშობს ამაღლების ენერგია.

გლოცავთ ჩემო ძვირფასებო!

მამა აბსოლუტი საუბრობდა თქვენთან.

დიდებული ცენტრალური მზის ენერგია

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

დღეს მე მსურს უფრო დაწვრილებით მოგიყვებ დიდებული ცენტრალური მზის ენერგიის შესახებ, რომელსაც ბევრი თქვენგანი უკვე წარმატებით იყენებს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

დიდებული ცენტრალური მზე წარმოადგენს თქვენს სამყაროში მთავარი მნათობს.

მან შეითვისა მთელი ცეცხლოვანი სიმძლავრე, რომლის მიზანიცაა არა მოლოდ გაათბოს გალაქტიკები და მათი მცხოვრებლები, არამედ გაწმინდოს ისინი ჭუჭყისგან – მძიმე დაბალვიბრაციული ენერიებისგან.

ცეხლით განწმენდის ასეთი საშუალება ყველაზე მოქმედია, რადგანაც არცერთ ნეგატიურ ენერგიას არ შეუძლია გაუძლოს ისეთი მაღალი ვიბრაციის ენერგიებს, როგორიც დიდებულ ცენტრალურ მზეს აქვს.

რა ხდება მაშინ, როდესაც დასახმარებლად უხმობთ ამ ენერგიას?

თქვენ უერთდებით დიდებული ცენტრალური მზის არხს, ხდებით მისი გამტარი დედამიწაზე და ამასთან ერთად თქვენ “უკვალავთ გზას” მას ობიექტამდე ან დედამიწაზე მისი მოქმედების სხვა სფეროსაკენ.

მაგალითად, როდესაც თქვენ უხმობთ დიდებული ცენტრალური მზის ენერგიას დედმიწის რეფტილოიდების ზეგავლენისაგან განსაწმენდად, თქვენ უშვებთ ამ ენერგიის ამ არსებებთან ურთიერთქმედების პროცესს.

შემდგომ კი მოვლენები ასე ვითარდება.

უამრავი სხივი, რომელიც დიდებული ცენტრალური მზიდან მოდის და რომლებსაც საკუთარი ცნობიერბა აქვთ, ეხმაურებიან თქვენს სუფთა განზრახვას და იწყებენ დედამიწის მთელი ზედაპირის სკანირებას.

ისინი მშვენივრად ხედავენ რეფტილოიდური პროგრამების მთელ ენერგეტიკულ სტრუქტურას, რომელმაც ობობის ქსელის მსგავსად მოიცვა მთელი დედამიწა.

შემდგომ კი ისინი იწყებენ ამ სტრუქტურის დაშლას, წვავენ ამ “ქსელის” ენერგეტიკულ ძაფებს, რასაც შეაქვს ქაოსი რეფტილოიდების კოლექტიურ ცნობიერებაში, რადგანაც ისინი შეეჩვივნენ კონკრეტული პროგრამების მიხედვით ცხოვრებას, რომლებსაც ზემოდან მათი პატრონები უგზავნიდნენ.

იგივე ხდება მაშინ, როდესაც თქვენ უხმოთ დიდებული ცენტრალური მზის ენერგიას, რათა გაწმინდოს თქვენი ენერგეტიკული სივრცე დაბალვიბრაციული ენერგიებისგან.

ეს შეიძლება იყო როგორც თქვენი საკუთარი ნეგატიური აზრები და ემოციები, რომლებიც ქმნიან ენერგეტიკულ ბლოკებს თქვენს ნატივ სხეულებში, ასევე თქვენზე მომართული უცხო ნეგატიური ენერგიები.

დიდებული ცენტრალური მზის სხივები უშეცდომოდ პოულობენ მძიმე ენერგიის გროვებს, რომლებიც წამლავს თქვენს ენერგეტიკულ სივრცეს, და იწყებენ მათ დაწვას, რითიც ათავისუფლებენ თქვენს ნატივ სხეულებს უსიამოვნო “ტვირთისგან”.

თუმცა, ჩემო ძვირფასო, უნდა გახსოვდეთ იმის შესახებ, რომ როდესაც ამგვარად განთავისუფლდებით ნეგატივისგან, თქვენ იღებთ ზეცისგან ერთჯერად დახმარებას.

ხოლო, თუ თქვენი ცნობიერება არ შეიცვლება, თქვენ ისევ აავსებთ თქვენს ნატივ სხეულებს უცხო ენერგიებით, რომლებიც გარდაიქმნიან ენერგეტიკულ ბლოკებად და ქვების მსგავსად ჩაგითრევენ ბსკერზე – მესამე განზომილებაში, რომლიდანაც ამოსვლას ასე ოცნებობდით.

ნეგატივისგან თქვენი დაცვა თქვენი თავისვე გარდ სხვას არავის შეუძლია.

ხოლო ყველა მაღალვიბრაციული ენერგია, რომლის შესახებაც ჩემს გზავნილებშია საუბარი, გემლევით დასახმარებლად, რადგანაც მათ აწიონ თქვენი ვიბრაციები და დაგეხმარონ საბოლოოდ გამოხვიდეთ დუალობისგან და მიაღწიოთ დიდი ხნის ნანატრ სულიერ სიმშვიდესა და ჰარმონიას.

დიდებული ცენტრალური მზის ენერგია კი არის ერთ-ერთი ასეთ ენერგია – ძლიერი და მოქმედი.

მოუხმეთ მას რაც შეიძლება ხშირად და არ დაგავიწყდეთ მაღლობის გადახდა მისი სიბრძნისა და სიყვარულისათვის.

თუმცა, მაღლიერების ყვეალზე დიდი გამოვლინება ინჰოდა თქვენი ცნობიერების შეცვლა და საკუთარი ენერგეტიკული ველის სუფთად და ჰარმონიულად შენარჩუნების უნარის გამომუშავება.

მამა აბსოლუტი, რომელსაც განუზომლად უყვარხართ, საუბრობდა თქვენთან.

სამყაროს სიყვარულის ცეცხლი

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

დღეს მოგიყვებით კიდევ ერთი ენერგიის შესახებ, რომელსაც მოქმედების ძალიან დიდი სპექტრი აქვს.

მას ქვია **სამყაროს სიყვარულის ცეცხლი**.

როგორც უკვე ითქვა ჩემს ბევრ გზავნილში, სიყვარულის ენერგია არის პირველსაწყისი და სამყაროში ყველა არსების სიცოცხლის სათავე.

სიყვარული – ეს არის ყველაზე მაღალვიბრაციული ენერგია, რაც კი არსებობს. ხოლო სამყაროსეული სიყვარული არის მისი წმინდა წყარო.

რას წარმოადგენს სამყაროს სიყვარულის ცეცხლი?

ეს არის უპირობო სიყვარულის უმძლავრიესი კონცენტრაცია.

რატომ “ცეცხლი”?

იმიტომ, რომ ცეცხლი არის ჭუჭყისგან განწმენდის სიმბოლო.

მის ალში იწვის ყველაფერი, რისგანაც ადამიანს სურს რომ განთავისუფლდეს.

ხოლო, თუ თქვენს რეალურ ცხოვრებაში თქვენ წვავთ ცეცხლზე თქვენთვის არასაჭირო ძველ ნივთებს, ნატიფ დონეზე თქვენ შეგიძლიათ დაწვათ სამყაროს სიყვარულის ცეცხლში ყველა ძველი, დრომოჭმული და უკვე არასაჭირო ნეგატიური ემოციები, მენტალური შაბლონები და რეაქციის სტანდარტები.

ამგვარად როდესაც თქვენს ცნობიერებას მესამე განზომილების “ნაგისგან” წმენდავთ, თქვენ ადგილს უთმობთ ახალ ცოდნას, ახალ ენერგიას და ცხოვრების ახალ აღქმას.

თქვენი ახალი მსოფხედველობის სათავედ უკვე იქნება სამყაროს კანონები, და არა დუალური მსოფლიოსი, რომლების მიხედვითაც ცხოვრობდით ამდენი საუკუნის განმავლობაში და რომლებმაც კაცობრიობა გადაშენების პირას მიიყვანა.

სამყაროს სიყვარულის ცეცხლი არის ძალიან მაღალი ვიბრაციების ენერგია და მისი გამოყენება შეუძლიათ მხოლოდ იმათ, ვინც უკვე სრულიად გააქტიურა მეექვსე და მეშვიდე ჩაკრები და ასევე გირჩისებრივ ჯირკვალი.

ნებისმიერ შემთხვევაში, ის მოხმობაზე მხოლოდ ასეთ ადამიანებს გამოეხმაურება. რადგანაც სხვებთან, რომლებიც ჯერ მზად არ არიან ამ ენერგიის მისაღებად, ის ვერ შეძლებს მიზიდვას ვიბრაციული განსხვავებისდა გამო.

სხვა ენერგიებისგან განსხვავებით, რომლების შესახებაც ჩემს წინა გზავნილებში მოგიყევით, ის არ ჩამოდის რომელიმე კონკრეტულ ჩაკრაზე, არამედ მოიცავს თქვენს არსს ძლიერი და ამასთან ერთად ნაზი და მოსიყვარულე ნაკადით.

რა შემთხვევებში უნდა მოუხმოდ ამ ენერგიას?

უპირველეს ყოვლისა თქვენი ენერგეტიკული სივრცის მესამე განზომილების ემოციონალური და მენტალური ნარჩენებისგან განწმენდისათვის.

ამისდა გარდა, თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ ის თქვენი და დედამიწის დაცვისათვის მაშინ, როდესაც განსაკუთრებულ საბრთხეს გრძნობთ: თუ თქვენზე მოდის ძლიერი ენერგეტიკული ზემოქმედება დესტრუქციული ძალებისგან ან თქვენ გასურთ განათავისფულოთ თქვენი პლანეტა თქვენთვის არამეგობრული ცივილიზაციების ზეგავლენისგან.

ამ შემთხვევებში სამყაროს სიყვარულის ცეცხლი იქნება უფრო მოქმედი, ვიდრე დიდებული ცენტრალური მზის ენერგია, რომლის მუშაობის პრინციპიც წერტილოვანია.

მისგან განსხვავებით, სამყაროს სიყვარულის ცეცხლი მუშაობს დიდ სივრცეზე, “წვავს” თავისი ძლიერი მაღალვიბრაციული ენერგიების ნაკადით ყველა სახის დაბალ დესტრუქციულ ენერგიებს.

ამიტომაც, ჩემო ძვირფასებო გამოიყენეთ ის უკიდურეს შემთხვევებში, როდესაც იგრძნობთ, რომ ის თქვენთვის აუცილებელია.

ამაზე გავჩერდებით დღეს.

მამა აბსოლუტი, რომელსაც განუზომლად უყვარხართ, საუბრობდა თქვენთან

სიყვარულის კრისტალი

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

ახლა კი მე მსურს გესაუბროთ უფრო დაწვრილებით იმ ენერგიებთან მუშაობის პრინციპებზე, რომელთა შესახებაც საუბარი იყო ჩემს წინა გზავნილებში.

დავიწყეთ **სინათლისა და სიყვარულის ენერგიით**, რომელიც არის ამაღლების გზაზე პირველი საფეხური.

ამ ენერგიას გადაჭარბების გარშე შეგვიძლია ვუწოდოთ მეოთხე ჩაკრის ენერგია, რადგანაც მასთან ურთიერთქმედებისას ადამიანის მეოთხე ჩაკრა სრულიად იხსნება.

ამისდა გარდა, სწორედ ეს ენერგია ააქტიურებს მის **სიყვარულის კრისტალს**.

რას წარმოადგენს სიყვარულის კრისტალი და რა არის მისი არსებობის მიზანი?

რადგანაც კრისტალებს აქვთ უნარი გაამძიერონ მათი გავლით გასული ენერგია, ადამიანის გულის ჩაკრაში კონცენტრირებულ სიყვარულის ენერგიას პირობითად შეგვიძლია ვუწოდოთ სიყვარულის კრისტალი.

სწორედ ასეთ აზრს ატარებს ეს გამონათქვამი.

ხოლო, აი რა ხდება ნატი დონეზე, როდესაც თქვენ უხმობთ სინათლისა და სიყვარულის ენერგიას.

როდესაც ის თქვენს მეშვიდე ჩაკრაში ჩამოდის, ის “ტრანზიტად” გადის მეექვსე და მეხუთე ჩაკრებს და ჩერდება მეოთხეში.

ეს ის ვიბრაციული ზღვარია, რომლის ქვევითაც მას არ შეუძლია რომ დაეშვას.

თანდათანობით, ის იწყებს მეოთხე ჩაკრის ვიბრაციების თავის დონემდე აწევას, წმენდს მას და ცვლის მის ენერგეტიკულ სტრუქტურას.

ყოველ ადამიანს ის განსხვავებული აქავს.

როგორც ბუნებაში შეუძლებელია ვიპოვოთ ორი აბსოლუტურად ერთნაირი კრისტალი, ასევე ადამიანებსაც ვერ ექნებათ იდენტური სიყვარულის კრისტალები.

რაც უფრო მაღალია ადამიანის ვიბრაციები, მით უფრო სრულყოფილია მისი გულის კრისტალის ენერგეტიკული სტრუქტურა.

თუმცა, რადგანაც ადამიანს უჭირს შეინარჩუნოს თავისი ვიბრაციები ყოველთვის ერთსა და იმავე დონეზე, მისი სიყვარულის კრისტალის ფორმაც მუდმივად იცვლება, თუმცა ის მაინც კრისტალისებური რჩება.

აგრეთვე ამ კრისტალს აქვს ერთი გასაოცარი თავისებურება.

რაც უფრო ხშირად იყენებთ სინათლსა და სიყვარულის ენერგიას თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში და უნაწილებთ მას სხვებს, მით უფრო სრულყოფილი ფორმის ხდება თქვენის სიყვარულის კრისტალი და მით უფრო მეტ მოცულობას იძენს ის.

ამგვარად, როდესაც სხვებს უნაწილებთ თქვენს სიყვარულს, სანაცვლოდ თქვენ იღებთ უფრო მეტ სიყვარულს და თქვენი სიყვარულის კრისტალი იზრდება და თქვენს გარშემო ქმნის სინათლისა და სიყვარულის მძლავრ ენერგეტიკულ ველს, რომელსაც შეუძლია მოიცვას დიდი ტერიტორია და მრავალი ადამიანი.

ხოლო, ცალკე აღებული მარტო ეს ღვთაებრივი ენერგიის ველი ჯადოსნურ ზემოქმედებას ახდენს გარემომცველ ხალხზე.

ადამიანები მშვიდდებიან, მათი სულებიდან მიდის შიში, მღელვარება, აგრესია, მათი ცნობიერება ნათდება და ისინი იწყებენ მომხდარი მოვლენების უკვე სხვა თვალთ დანახვას.

ყველა ეს საოცრება ხდება თქვენი სიყვარულის კრისტალი წყალობით, რომელიც გააქტიურდა დედამიწაზე ახლა მოსული სინათლისა და სიყვარულის ენერგიის წყალობით.

ამიტომაც, ჩემო ძვირფასებო, მოუხმეთ ამ ენერგიას რაც შეიძლება ხშირად.

ნუ უგულვებელყოფთ მას მაშინაც კი თუ თქვენ უკვე იყენებთ უფრო მაღალი ვიბრაციის ენერგიებს.

ყოველ მათგანს აქვს თავისი გამორჩეული თავისებურებები და შეაქვს თავისი წვლილი თქვენი ღვთაებრივი ცნობიერებისა და ახალი სინათლისებურ კრისტალური სხეულების შექმნაში.

მამა აბსოლუტი, რომელსაც განუზომლად უყვარხართ, საუბრობდა თქვენთან.

ღვთაებრივი შემოქმედებითობა

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

დღეს მე მსურს უფრო დაწვრილებით გესაუბროთ **შემოქმედის ენერგიაზე**.

ამ ენერგიას ვიბრაციებით არ შეუძლია მეხუთე ჩაკრაზე დაბლა რომ ჩავიდეს.

მისი მთავარი მისიაა ადამიანში შემოქმედებითი პოტენციალი რომ გამოვლიდოს.

აი როგორ ხდება ეს ნატიფ დონეზე.

როდესაც თქვენ უხმოთ ამ ენერგიას, ის ჩამოდის თქვენთან მეშვიდე და მეექვსე ჩაკრების გავლით, შემდგომ ეშვება მეხუთეში და იწყებს მუშაობას ხორხის ჩაკრასთან და კაუზალურ სხეულთან.

რაში მდგომარეობს მისი მუშაობა.

უპირველეს ყოვლისა მეხუთე ჩაკრის მესამე განზომილების “ნაგვისგან” განწმენდაში.

სიტყვა “ნაგავში” ვგულისხმობ ყველა შაბლონურ მცნებას, რომელიც გარედან გაქვთ თავსმოხვეული, ანუ ის მცნებები, რომლების მიხედვითაც მიეჩვიეთ ცხოვრებას მესამე განზომილებაში მრავალი საუკუნის განმავლობაში ცხოვრებისას.

ამგვარად მიმდინარეობს თქვენი მთავარი შემოქმედებითი “ინსტრუმენტი” ღრმა განწმენდა იმისგან, რაც არ არის თქვენი ინდივიდუალურობა, რაც ხელს უშლის თქვენს თვითგამოხატვას, რომელიც დაფუძნებულია თქვენ პირად გამოცდილებაზე და

რაც ხელს უშლის გამოვლინდეს თქვენი შესაძლებლობები და ნიჭები, რომლებიც აბსოლუტურად ყოველ ადამიანს აქვს.

ეს გასაოცარი ენერგია ფენა-ფენა წმენდავს მესამე განზომილების “ჭვარტლს”, მისი პირობებსა და ყოველი ადამიანის ინდივიდუალურობის დათრგუნვას.

ის ააშკარავებს ადამიანის ჭეშმარიტ არსს, რომელიც სუფთა, ღვთაებრივი და განუმეორებელია.

ამის წყალობით თქვენი მეხუთე ჩაკრა იხსნება მშვენიერი ლოტოსის ყვავილის მსგავსად, ხოლო თქვენი კაუზალური სხეული სამყაროს სულ სხვანაირად აღქმას იწყებს.

როცა ის განიწმინდება და გამშვენიერდება, ის შეითვისებს ყველაფერს, რაც საუკეთესო არის თქვენს გარშემო.

თქვენ იწყებთ ბუნების შეგრძნებას, როგორც ცოცხალი არსებისა, მშვენივრად დაიჭერთ მის ყველა ნიუანსს, ფერსა და ხმას.

თქვენ დაიწყებთ ადამიანებში მათი დადებითი მხარის დანახვას, რომელიც ზოგჯერ ნიღბების მიღმა იმალება.

თქვენ შეიგრძნობთ მათ მშვენიერ სულებს, რომლებიც იმალებიან “ბრონის ჟილეტში” დუალური სამყაროსაგან დასაცავად.

ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, თქვენ დაიწყებთ გარემომცველი ხალხისა და რეალობის დანახვას უკვე თქვენი სულიერი ხედვის სიმაღლიდან.

ყველაფერს, რასაც გააკეთებთ წამოვა უკვე არა ეგოსგან, არამედ სულის სიღრმედან: ახლა უკვე იფიქრებთ და იმოქმედებთ არა შაბლონურად, არამედ ინტუიციურ დონეზე, მოუსმენთ საკუთარ თავებს და არა იმათ, ვინც ცდილობს თავს მოგახვიოთ უცხო მცნებები და აზროვნებისა და ქმედების სტერეოტიპები.

შეიძლება ითქვას, რომ შემოქმედის ენერგია თქვენგან ხსნის მესამე განზომილების მიერ დადებულ “ბეჭედს”.

ამიტომაც, ჩემო ძვირფასებო, მოუხმეთ ამ ენერგიას რაც შეიძლება ხშირად და სთხოვეთ მას დაგეხმაროთ უბრალო ყოველდღიურ საქმეებშიც კი.

შედეგად კი დაინახავთ, თუ როგორ გარდაიქმნება თქვენი ცხოვრება.

თქვენ გამოიჩენთ შემოქმედებითობას მცირეში და დიდშიც.

ნებისმიერი წვრილმანი თქვენთვის გადაიქცევა შემოქმედებითობად, სიხარულად და თვითგამოხატვად.

თქვენ დაივიწყებთ, თუ რა არის რუტია, მოწყენილობა და ვალდებულება.

ამიერიდან თქვენი ცხოვრება აივსება ნათელი ფერებით, საინტერესო და ზოგჯერ თქვენთვის მოულოდნელი იდეებით.

ეს იდეები ცხოვრებაში განხორციელდება გასაოცრად ადვილად, რადგანაც ისინი დაიბადება თქვენს სულში, ანუ ყველა ნათელი ძალა მოვა თქვენ დასახმარებლად.

დაე ამიერიდან სიხარული და უსასრულო შემოქმედებითობა გახდეს თქვენი ცხოვრების გზის მთავარი მეგზურები.

გლოცავთ, ჩემო ძვირფასებო, და მიყვარხართ განუზომლად!

მამა აბსოლუტი საუბრობდა თქვენთან.

ზეციური დახმარება და დაცვა

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

დღეს ჩვენ ვისაუბრებთ სამყაროს პირველშემოქმედის ენერგიაზე და იმაზე, თუ რა ხდება ნატიფ დონეზე, როდესაც თქვენ მას უხმობთ.

სწორედ ეს ენერგია გეხმარებათ გადააბიჯოთ ბარიერს, რომელიც ყოფს მეოთხე განზომილებას მეხუთესგან.

თუმცა, იმისათვის, რომ გაჩერდეთ ამ სიმაღლეზე, თქვენ უნდა გაისარჯოთ საკმარისად.

რადგანაც სამყაროს პირველშემოქმედის ენერგიას მეექვსე ჩაკრა იღებს, რომელიც არის ღვთაებრივი დამაკავშირებელ თქვენს ზედა ასპექტებთან, თავისი სუფთა სახით ის პირდაპირ არ უკავშირდება თქვენს ქვედა ჩაკრებს და მათ შესაბამის ნატიფ სხეულებს.

მისი როლი მდგომარეობს იმაში, რომ მაქსიმალურად გახსნას თქვენსა და თქვენს ზედა ასპექტებთან საუბრის არხი - თქვენს ზედა მესთან, ღვთაებრივ მესთან და დედობრივ სულთან.

ეს ხდება შემდეგნაირად.

როდესაც ამ ენერგიას იღებს, თქვენი მესამე თვალი იწყებს თანდათანობით “გახსნას”, რაც ფიზიკურ დონეზე ვლინდება უცარი გამონათებით, როდესაც თქვენი ცნობიერება მოვლენების სიღრმეში აღწევს და გვერდს უვლის ჩვეულ სტერეოტიპებს.

ამ ენერგიების წყალობით თქვენ იწყებთ გარემომცველი სამყაროს აღქმას არა უკვე როგორც მესამე განზომილების ადამიანი არამედ როგორც ბრძენი დამკვირვებელი – ყოველგვარი განსჯისა და მიკერძოებულობისა, რომელიც გარედან არის თავსმოხვეული.

ამასთან ერთად, თქვენი ინტუიცია მახვილდება იმდენად, რომ თქვენ თითქმის დაუფიქრებლად იღებთ სწორ გადაწყვეტილებებს, რომლებიც საკეთილდღეოა როგორც თქვენთვის (როგორც ადამიანისათვის, რომელიც ჯერ კიდევ მესამე განზომილებაში ცხოვრობს) ასევე თქვენი სულისათვისაც.

თქვენ პოულობთ იმ ბალანსს თქვენი ცხოვრების ყველა სფეროში, რომელიც ნებას გაძლევთ იყოთ ჰარმონიაში ენერგეტიკული, სულიერი და მატერიალური თვალსაზრისით.

ამის გარდა, თქვენი სულის ეს ახალი ამაღლებული მდგომარეობა თქვენს გარშემო ქმნის სრულიად განსაკუთრებულ ენერგეტიკულ სივრცეს, რომლის ვიბრაციებიც ნებას არ აძლევს ნეგატიურ ენერგიებსა და ასტრალურ არსებებს (რომლებითაც მესამე განზომილება ასე მდიდარია), რომ მანდ შეაღწიონ.

ამიტომაც თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ ეს ენერგია დაცვითი სფეროს ასავსებად, რომელიც გჭირდებათ მანამ, სანამ მესამე განზომილებაში ცხოვრობთ.

საბოლოოდ კი, როდესაც თქვენ იწყებთ ამ ენერგიის გათვითცნობიერებულად გამოყენებას, გრძნობთ მის თქვენს მეექვსე ჩაკრასთან ურთიერთქმედებას, თქვენ გეძლევათ შესაძლებლობა შეხვიდეთ დიალოგში თქვენს ზედა მესთან, თქვენს ღვთაებრივ მესთან და ასევე დედობრივ სულთან.

თქვენ კი შეძლებთ მიმართოთ მათ თქვენი თხოვნებით, ეჭვების გასაქარწყლებლად და ცხოვრებისეული მოვლენების გასააზრებლად.

ხოლო, თუ თქვენ ჯერ კიდევ ვერ ისწავლეთ მათი პასუხების კარგად გაგება, იცედეთ, რომ თქვენი სულის ზედა ასპექტები აუცილებლად მოგისმენენ და ადრე თუ გვიან გამოგიგზავნიან მინიშნებას ფიზიკურ დონეზე.

თუმცა, ჩემო ძვირფასებო, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ არ დააჩქაროთ მოვლენები და გადამეტებულად არ შეეცადოთ დაამყაროთ ორმხრივი კავშირი, რადგანაც ამ შემთხვევაში დიდია იმის ალბათობა, რომ თქვენი სულის ნაცვლად თქვენთან საუბარს დაიწყებენ ასტრალური არსებები, რომლებსაც ძალიან უყვართ ადამიანებთან “ბაასი”.

გახსოვდეთ, რომ ზეციურ ძალებთან საუბარი ყოველთვის ხდება თქვენი ზედა ღვთაებრივი ჩაკრების დონეზე, რომლებიც ფიზიკურ დონეზე გარკვეული სახით მაინც ვლინდებიან.

კარგად მოუსმინეთ თქვენს შეგრძნებებს, რათა ისწავლოთ გაარჩიოთ ნატიფი დონის იმ არსებების ცნობიერების დონის გარჩევა რომლებიც თქვენთან კონტაქტში შემოდიან.

ამაში კი დაგეხმარებათ სამყაროს პირველშემოქმედის ენერგია, რომელსაც უკვე თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ მეხუთე განზომილების ენერგია.

გლოცავთ და მიყვარხართ განუზომლად!

მამა აბსოლუტი საუბრობდა თქვენთან.

სამყაროს შექმნის კოდი

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

დღეს ჩვენ უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ ვიბრაციულ შკალაზე დონის მიხედვით შემდგომ ენერგიაზე, რომელსაც ეწოდება **პირველშემოქმედის სამყაროსეული ენერგია**.

როგორც უკვე ითქვა ჩემს ერთ-ერთ წინა გზავნილში, ეს ენერგია უშუალოდ უკავშირდება თქვენს გირჩისებრივ ჯირკვას.

ამიტომაც მისი გათვითცნობიერებუად გამოყენება ჯერ ბევრს არ შეუძლია, არამედ მხოლოდ იმათ, ვინც სრულიად გაააქტიურა გრძნობის ეს ღვთაებრივი ორგანო.

როგორც ურთიერთქმედებს თქვენთან პირველშემოქმედის სამყაროსეული ენერგია და რა ზეგავლენას ახდენს ის თქვენზე?

დავიწყეთ იქიდან, რომ ამ ენერგიას უნდა მოუხმოთ მხოლოდ მაშინ, როდესაც თქვენს თავებში იგრძნობთ ძალას, რომ შეგიძლიათ პლანეტარული მამტაბის საქმიანობა შეასრულოთ.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მაშინ, როდესაც თქვენ წყვეტავთ გლობალურ ამოცანებს და აკეთებთ მედიტაციებს თქვენი საკუთარი ცნობიერების ან კაცობრიობის კოლექტიური ცნობიერების ტრანსფორმაციის შესახებ.

ეს ენერგია პირდაპირ უკავშირდება სიცოცხლის შექმნის პირველწყაროს და შეიცავს სამყაროს შექმნის თავდაპირველ კოდს – იმ ღვთაებრივ ნაწილს, რომელიც შენახულია ყოველ ადამიანში იმისდა მიუხედავად თუ როგორ სამყაროებში გადიოდა ის თავისი ინკარნაციების გზას.

ეს ენერგია ხელს უწყობს თქვენს აქამდე მძინარე მდოგმარეობაში მყოფ გირჩისებრივ ჯიკრვალ, რომ გააქტიურდეს, ამით კი ეხმარება თქვენს სულს აღადგინოს კავშირი თავის ზედა ასპექტებთან შემოქმედის ჩათვლით.

ხოლო, რადგანაც თქენი გირჩისებრივი ჯირკვალი უშუალოდ უკავშირდება თქვენს მესამე თვალს, რომელიც გადაამუშავებს მის მიერ ნატიფი დონიდან მიღებულ ინფორმაციას, პირველშემოქმედის სამყაროსეული ენერგია უნებლიედ უერთდება სამყაროს პირველშემოქმედის ენერგიას, რომელიც ეხმარება თქვენს მეექვსე ჩაკრადს გააქტიურებაში.

ამგვადარ ის ამაღლებს ამ უკანასკნელი ენერგიის ვიბრაციებს, ხოლო ის თავისი მხრივ ამაღლებს შემოქმედის ენერგიას, რომელიც შემდომ სინათლისა და სიყვარულის ენერგიას ამაღლებს (რომლებიც შეესაბამებიან მეხუთე და მეოთხე ჩაკრებს).

ამგვარად, ერთობლივი ქმედებებით, ეს ღვთაებრივი ენერგიები ”ამოქაჩავენ” ადამიანს მესამე განზომილების მკვირი ენერგიებიდან მაქსიმალურად გაიშვიათებული ენერგიის მეხუთე განზომილების სივრცეში.

მაგრამ ეს ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც თავად ადამიანი მიისწრაფის ამისაკენ – არა მხოლოდ თავისი სუფთა განზრახვით, რომ ამაღლდეს დედამიწასთან ერთად, არამედ ახალ ენერგიებთან მუდმივი მუშაობით, რომლებიც ეხმარებიან მას განიწმინდოს ცნობიერება და ფიზიკური სხეული მესამე განზომილების ნალექებისგან.

როგორც უკვე ბევრჯერ გითხარით ჩემო ძვირფასასებო, ყველა ეს ენერგია გეძლევათ დასახმარებლად.

ხოლო მხოლოდ იმათთვის, ვინც მათ გათვითცნობიერებულად უხმობს და იყენებს ყოველდღიურ ცხოვრებაში, ეს ენერგიები ხდებიან ჭეშმარიტად მოქმედნი.

იმათ, ვინც სრულიად არ არის მზად ამაღლებისათვის, ეს ენერგიები გვერდს ჩაუვლიან, რადგანაც ვიბრაციების მიხედვით ვერ მიიზიდებიან.

თუმცა, მე კიდევ ერთხელ გთხოვთ, ჩემო ძვირფასებო, ნუ იჩქარებთ, არამედ შეისწავლეთ ეს ენერგიები თანდათანობით, აუჩქარებლად ადით ენერგეტიკულ კიბეზე, რომლის პირველი საფეხური არის სინათლისა და სიყვარულის ენერგია.

გლოცავთ და მიყვარხართ განუზომლად!

მამა აბსოლუტი საუბრობდა თქვენთან.

ბუნებრივი გადარჩევა

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

დღეს ჩვენ ვისაუბრებთ იმის შესახებ, თუ თქვენი ცნობიერება და ფიზიკური სხეულები როგორ ურთიერთქმედებენ ამაღლების ენერგიასთან, რომელმაც ამ წლის დასაწყისიდან თქვენს პლანეტაზე მოქმედების სრული უფლება მოიპოვა.

სწორედ მან უნდა ითამაშოს მთავარი როლი ადამიანის ცნობიერების ღვთაებრივისკენ ტრანსფორმაციაში, ხოლო მისი ფიზიკური სხეულისა – სინათლისებურ კრისტალურში.

ამაღლების ენერგიას შეგვიძლია ვუწოდოთ ყველაზე ნატიფად აღქმადი, რადგანაც ის უნივერსალურია და მას არ გააჩნია ვიბრაციული “ლიმიტი”, როგორც სხვა ენერგიებს, რომლების შესახებაც საუბარი ჩემს წინა გზავნილებში მიდიოდა.

ამისდა გარდა, ამ ენერგიას ისეთი მაღალი დონის ცნობიერება აქვს, რომ მას შეუძლია ურთიერთქმედებაში შევიდეს აბსოლუტურად ყველა ადამიანთან, რათა დაასკანიროს ის და გამოავლინოს მისი მზაობა ამაღლებისათვის.

აი როგორ ხდება ეს.

რადგანაც ის არის თქვენი დნმ-ს სტრუქტურის შეცვლის “გამშვები მექანიზმი”, როდესაც ის შეეხება ყოველ ადამიანს პირველ რიგში ის უყურებს მისი სულის გეგმებს.

ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც ზეგონსაც კი არ შეუძლია დაარღვიოს ვინმეს სულის თავისუფალი ნება.

ფიზიკურ სხეულში იკნარნირებულ უმეტეს ადამიანს ჯერ ჯეროებით ამის თავად გაკეთება არ შეუძლია, რადგანაც მათ დაკარგული აქვთ თავიანთი სულების ზედა ასპექტებთან კავშირი, ბევრმა კი საერთოდ დაივიწყა მათი არსებობის შესახებ, რადგანაც მესამე განზომილების ვიბრაციებში ძალზედ დაბლა დაეცნენ.

თუმცა, ამაღლების ენერგია არ სცდება, რადგანაც ნატიფ დონეზე ხედავს ადამიანის ბედის ყველა ჩახლართულობას და პროგრამებს, რომლებიც დაგეგმა სულმა ამ ინკარნაციისათვის.

შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ მიზნისათვის მოვიდა დედამიწაზე ამაღლების ენერგია. მან უნდა გამოარჩიოს მზად არ მყოფები და გააკეთოს ყველაფერი, რათა საჭირო დონეზე აიყვანოს იმათი სულები, ვინც აირჩიეს დედამიწასთან ერთად ცხოვრების ახალ დონეზე გადასვლა.

ახლა კი ასეთი გადარჩევა სრული სიმძლავრით მიმდინარეობს.

რა ხდება მაშინ, როდესაც ამაღლების ენერგია “ხედავს” ადამიანს, რომელიც მთელი გულით ცდილობს გამოვიდეს დუალობის ჩარჩოებიდან და გადავიდეს სულიერი განვითარების ახალ დონეზე?

ის იწყებს მის დახმარებას.

უპირველეს ყოვლისა, ეს დახმარება მდგომარეობს ადამიანის ენერგეტიკული სივრცის ნეგარიუტი ენერგიებისა და მენტალური შაბლონებისგან განწმენდაში, რომლებიც ინახება ადამიანთა ნატიფ სხეულებში ენერგეტიკული გროვების სახით.

ამ ენერგიის დახმარებით მიმდინარეობს ძალზედ ღრმა განწმენდა, რადგანაც იხსნება კარმული ვალებიც.

სწორედ ამ პროცესს შეგვიძლია ვუწოდოთ კარმის განულება.

ამ შემთხვევაში კი ძალიან მნიშვნელოვანია, რომ არ გამოიმუშავოთ ის თავიდან და არ მოიზიდოთ თქვენთვის უკვე მოძველებული მესამე განზომილების სტერეოტიპული აზრები და ემოციები.

სამწუხაროდ მესამე განზომილების სამყაროში ამდენი საუკუნის განმავლობაში ცხოვრების გამო ქცევისა და ქმედების გარკვეული სტერეოტიპები ადამიანს ავტომატურ დონემდე აქვს მიყვანილი და მყარად არის მის ცნობიერებაში გამყარებული.

თავად ადამიანისათვის კი მათგან განთავისუფლება საკმაოდ რთულია.

ამიტომაც დასახმარებლად მოვიდნენ ახალი მაღალვიბრაციული ენერგიები, რომლებიც არა მხოლოდ ანეიტრალეზენ ძველ ბლოკებს თქვენს ნატიფ სხეულებში, არამედ ნერგავენ მათში აზროვნებისა და ქცევის ახალ მოდელებს, რომელთა სათავედაც უკვე სამყაროს საუკუნო კანონები ძევს.

ყველაზე მოქმედი კი ამ ენერგიებისგან არის ამაღლების ენერგია,

ამაზე გავჩერდებით დღეს.

მამა აბსოლუტი, რომელსაც განუზომლად უყვარხართ, საუბრობდა თქვენთან.

ამაღლების სპირალი

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

ამრიგად, გავაგრძელოთ ამაღლების ენერგიის შესახებ საუბარი.

იმისათვის, რომ ამ ენერგიის გათვითცნობიერებულად გამოყენება დაიწყოთ, თქვენ უნდა ისწავლოთ მასთან რეზონანსში შესვლა.

ყოველ ჯერზე, როდესაც უხმოთ ამაღლების ენერგიას, შეეცადეთ მთელი ყურადღება გადაიტანოთ “ოქროს სამკუთხედზე”, რომელიც აერთიანებს თქვენს მეშვიდე და მეექვსე ჩაკრებს და ასევე გირჩისებრივ ჯირკვალს.

ამგვარად თქვენ მომართავთ თქვენს ღვთაებრივ “ანტენას” ამ ენერგიის მისაღებად.

როდესაც იგრძნობთ, რომ ვიბრირებთ ერთ სიხშირეზე, თქვენ შეგიძლიათ გამოხატოთ გაკრვეული განზრახვა.

მაგალითად, სთხოვეთ ამაღლების ენერგიას გაწმინდოს ყველა თქვენი ნატიფი სხეული მესამე განზომილების პროგრამებისგან და ატრანსფორმიროს თქვენი ცნობიერება ღვთაებრივ დონემდე.

ხოლო მაშინ, როდესაც იგრძნობთ, რომ ამ ენერგიის ნაკადი გარს მოგეკვრებათ, დაიწყეთ მისი გაცნობიერებულად მართვა.

გაიხსენეთ, თუ როგორ გამოიყურება ამაღლების ენერგია.

მისი მთავარი თავისებურება არის სამება.

სამი ნაკადი ერწყმის ერთმანეთს და ქმნის მოიისფრო-მოლურჯო-მოვარდისფერო ნაკადს.

თქვენი განზრახვის ძალით დაატრიალეთ ეს სპირალი სათის ისრის მიმართულებით თქვენი სხეულის გარშემო იმგვარად, რომ მან თავისი ნაკადით მოიცვას ის მთლიანად.

სთხოვეთ ამ გონიერ ენერგიას, თავისი ბრუნვის ძალით გაწმინდოს მთელი “ნაკადი” თქვენი ენერგეტიკული სივრციდან: გაანეიტრალოს ნეგატიური ენერგიები, შაბლონები და პოგრამები, რომლებიც ჯერ კიდევ ინახება თქვენს ნატიფ სხეულებში.

შეიგრძენით ეს ბრუნვა, რომელიც უშვებს ღრმა და ყოვლისმომცველი განწყობის პროცესს და გარდაქმნის მთელს თქვენს არსებას.

გამორთეთ თქვენი ეგო.

შეიგრძნენით თქვენი თავი ღვთაებრივ არსებად, რომელიც მომენტში “აქ და ახლა” იმყოფება.

შეერწყით თქვენი ცნობიერებით ამაღლების ენერგიას.

ნაკადი შეწყდება და ბრუნვაც გაჩერდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა თქვენი ნატიფი სხეული განიწმინდება და აივსება ამ ენერგიით.

შემდგომ კი თქვენ შეგიძლიათ გამოხატოთ შემდგომი განზრახვა.

სთხოვეთ ამაღლების ენერგიას დაიწყოს თქვენი ფიზიკური სხეულის სინათლისებურ კრისტალურად ტრანსფორმაციის პროცესი.

იგრძნეთ, თუ თქვენს სხეულზე როგორ იწყება მუშაობა, რათა გარდაიქმნათ მეხუგე განზომილების ახალ არსებად.

თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, თუ როგორ იცვლება თქვენი გენეტიკური კოდი, თუ დნმ-ს ორ სპირალს (ლურჯსა და იისფერს) როგორ უერთდება მესამე (ვარდისფერი), რომელიც სიმბოლიზირებს ღვთაებრივ, უპირობო სიყვარულს.

თქვენი ფიზიკური სხეული შედგება უამრავი მნათობი სამი სპირალისგან, რომლებიც ნელ-ნელა ბრუნავს, თითქოსდა ასრულებენ ცეკვის ლამაზ რიტუალს თქვენი შემოქმედთან დაბრუნებისა და თქვენი დაკარგული ღვთაებრივობის აღდგენის აღსანიშნავად.

დაე ეს მედიტაცია გახდეს თქვენი ერთგული დამხმარე ამაღლების მთელ პერიოდში, ხოლო ამაღლების ენერგია – თქვენი თანამგაზავრი, რომელიც დაგეხმარებათ არ გადაუხვიოთ თქვენი სულის მიერ არჩეული გზიდან.

გლოცავთ ჩემო ძვირფასებო!

მამა აბსოლუტი, რომელსაც განუზომლად უყვარხართ, საუბრობდა თქვენთან.

ახალი ენერგიების დედამიწასთან ურთიერთქმედება

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

ახლა კი ჩვენ განვიხილავთ ენერგიებს, რომლის შესახებაც მე მოგიყვებით ჩემს წინა გზავნილებში, სხვა რაკურსით.

ჩვენ ვისაუბრებთ იმის შესახებ, თუ როგორ ურთიერთქმედებენ ისინი არა ადამიანთან, არამედ თქვენს პლანეტასთან.

რადგანაც დედამიწა არის ცოცხალი ორგანიზმი, მასაც აქვს ნატიფმატერიალური აგებულება.

ისიც გადის ევოლუციის თავის გზას.

მაგრამ ადამიანისგან განსხვავებით, რომელიც ამ გზას ინდივიდუალურად გადის, ინკარნაციიდან ინკარნაციამდე ამდიდრებს თავის სულს ახალი გამოცდილებითა და თანდათანობით სულ უფრო და უფრო მაღლა იწევს სულიერ კიბეზე, დედამიწა დიდწილად დამოკიდებულია მასზე მცხოვრებ ცოცხალ არსებებზე.

ამიტომაც მისი განვითარების ევოლუციურ გზას პირობითად შეგვიძლია ვუწოდოთ “კომპლექსური”.

ახლა კი აგიხსნით, თუ როგორ ხდება ეს პრაქტიკაში.

დედამიწას, ადამიანის მსგავსად აქვს ფიზიკური და ნატიფი სხეულები.

თუმცა მისი ნატიფი სხეულები განსხვავდება ადამიანის ნატიფი სხეულებისგან.

მას აქვს განსხვავებული ჩაკრალური სტრუქტურა და ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ მის სულს აქვს შედარებით განსხვავებული მიზნები – უფრო გლობალური ვიდრე ადამიანის სულს, რომელიც ფიზიკურ სხეულშია ინკარნირებული.

დედამიწას არ აქვს ქვედა ჩაკრები – პირველიდან მესამეს ჩათვლით, რომელიც ადამიანს ეხმარება მესამე განზომილებაში გადარჩენაში.

მაგრამ, ძალიან კარგად აქვს განვითარებული ზედა ჩაკრები, რომლებიც პირდაპირ აკავშირებს შემოქმედთან.

ამგვარად, მისი სიყვარული ყველა მის შვილთან (დედამიწის მაცხოვრებელთან) ჭეშმარიტად ღვთაებრივი და უპირობოა.

ის გამოიხატება მდიდრად, როდესაც ის ჩუქნის მათ ბუნების სილამაზესა და დედამიწის ყველა სიკეთეს.

მისი კავშირი ზედა სამყაროებთან მდგომარეობს მის თანხლებ ციურ სხეულებთან მჭიდრო ურთიერთქმედებაში – მზესთან და მთვარესთან და ასევე სხვა კოსმოსურ ობიექტებთან.

ხოლო მისი შემოქმედთან ურთიერთქმედება მდგომარეობს იმაში, რომ ის მიჰყვება იმ გზას, რომელიც მან მისთვის თავდაპირველადვე დაგეგმა.

ამიტომაც, თუ შევადარებთ მის ენერგეტიკულ აგებულებას ადამიანის ჩაკრალურ სისტემას, შეიძლება ითქვას, რომ მას სრულიად გააქტიურებული აქვს მეოთხე, მეხუთე მეექვსე და მეშვიდე ჩაკრები.

ხოლო, რადგანაც ადამიანების მსგავსად დედამიწაც გადის თავისი სულიერი განვითარების გზას, მისი “ქცევაც” იცვლება.

თუმცა ეს ცვლილებები პირდაპირ უკავშირდება მასზე მცხოვრები არსებების ცხოვრების წესზე, რადგანაც ისინი მის ენერგეტიკულ ველში არიან და ამიტომაც მასში თავიანთი კორექტირება შეაქვთ.

ამგვარად, მისი არსებობის საუკეთესო პერიოდში, როდესაც ადამიანები ჯერ კიდევ ღმერთკაცები იყვნენ, ისინი ცხოვრობდნენ მათ საყვარელ დედამიწასთან სრულ ჰარმონიაში.

ადამიანები მაღლიერები იყვნენ მის მიმართ, ოცდებოდნენ მისი სილამაზით, მაღლობას უხდიდნენ მისი საჩუქრებისათვის, ებყრობოდნენ მას მობრთხილებით და განუზომელი სიყვარულით.

ამგვარად, ენერგეტიკულად ისინი იყვნენ მასთან ერთ ტალღაზე რადგანაც იმ დროის ადამიანების ღვთაებრივი ზედა ჩაკრები დედამიწის მსგავსად სრულიად გახსნილი იყო.

თუმცა, იმასთან ერთად, რაც ადამიანი სულ უფრო და უფრო დაბლა ეშვებოდა მესამე განზომილებაში, იქმნებოდა სულ უფრო და უფრო დიდი ენერგეტიკული დისონანსი ადამიანებსა და იმ პლანეტას შორის, რომელზედაც ცხოვრობდნენ ისინი.

ადამიანის ზედა ჩაკრები ჩაიკეტა, ხოლო ქვედები გააქტიურდა და მის ცხოვრებაში მათ უკვე “წამყვანი” როლი მოირგეს.

დედამიწამ, როგორც ღვთაებრივი დონის არსებამ შეინარჩუნა თავისი ღვთაებრივობა ყველაფრისდა მიუხედავად.

ის მხოლოდ იტანჯებოდა, როდესაც მისი შვილების სულიერ დაცემას ხედავდა, თუმცა მდგომარეობის გამოსწორება მას არ შეეძლო.

მას მხოლოდ შეეძლო მათთვის გაეგზავნა მინიშნებები ბუნებრივი კატაკლიზმების და კლიმატის ცვლილების სახით, ხოლო ბუნებრივი სტიქიები მას ამ საქმეში დამხმარედ მოეწოდებოდა.

თუმცა, იმ პერიოდისათვის ადამიანებმა დაკარგეს კავშირი მათ პლანეტასთან, დაავიწყდათ მისი მოსმენა და მისი ტკივილის შეგრძნებაც.

მათ მის ბატონებად აღიქვეს თავები, რითიც დაამახინჯეს მათი არსებობის არსი და დედამიწასთან ურთიერთქმედება, რომელიც მათთვის წარმოადგენდა სახლს მათი ასობით და ათასობით ინკარნაციის განმავლობაში ამ მშვენიერ პლანეტაზე.

ახლა კი ჩემო ძვირფასო, თქვენ შეგიძლიათ საკუთარი თვალებით იხილოთ, თუ როგორ ტრაგიკულ შედეგებამდე მიგიყვანათ ამან.

მამა აბსოლუტი, რომელსაც განუზომლად უყვარხართ, საუბრობდა თქვენთან.

დედამიწასთან სინათლისა და სიყვარულის ენერგიის ურთიერთქმედება

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

ამრიგად, გავაგრძელოთ საუბარი დედამიწის ახალ ენერგიებთან ურთიერთქმედების შესახებ.

უპირველეს ყოვლისა, მე მსურს შეგახსენოთ, რომ მისი ენერგეტიკული სივრცე შეიცავს მისი ყველა მაცხოვრებლის ენერგიების ერთობას.

ხოლო, რადგანაც დედამიწაზე ენერგეტიკულმა ქაოსმა ახლა უკვე თავის პიკს მიაღწია, იმისათვის, რომ გადარჩეს, მას არ დარჩა სხვა გზა გადრდა მძიმე ბალასტისაგან განთავისუფლებისა, რომელიც მას ბსკერისაკენ – სიკვდილისაკენ – ექაჩებოდა.

განთავისუფლების სწორედ ეს პროცესი მიმდინარეობს ახლა უკვე დაჩქარებული ტემპით.

ამაში მას ეხმარებიან ახალი მაღალვიბრაციული ენერგიები, რომლებიც წმენდენ, ანეიტრალებენ და წვავენ ჭუჭყიან დაბალვიბრაციულ ენერგიებს, რომლებიც წამლავენ მის ნატიფ სხეულებასა და ფიზიკურ სხეულს, რომელზედაც ადამიანება უკვე ყველა შესაძლო ხერხით “იძალადეს”.

ახლა კი ჩვენ განვიხილავთ მის ყოველ ენერგიასთან ურთიერთქმედებას, რომლის შესახებაც ჩემს წინა გზავნილებში მოგიყევით.

დავიწყეთ **სინათლისა და სიყვარულის** ენერგიით, რომელიც ადამიანებისათვის ამაღლებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია.

თუმცა, თუ ადამიანის შემთხვევასი ის შეესაბამება მეოთხე ჩაკრას, დედამიწისთვის ის პირველი ჩაკრის ენერგიაა, რომელიც მისთვის ყველა მაცხოვრებლისათვის გაცემული სიყვარულის სადგურია.

ადამიანისგან განსხვავებით, რომელსაც ეს ენერგია აძლევს შესაძლებლობას გათავისუფლდეს რეალობის დუალური აღქმისგან და შეიგრძნოს უპირბო სიყვარული, დედამიწა უკვე თავდაპირველადვე გრძნობდა და გრძნობს ასეთ სიყვარულს ყველას მიართ.

ახლა კი მის წინ რთული არჩევანია: მას უწევს გააკეთოს ყველაფერი იმათ გადასარჩენად, ვინც შეძლებს მასთან ერთად მეხუთე განზომილებაში გადასვლას და განთავისუფლდეს იმათგან, ვინც არ არის ამისათვის მზად.

ამ სიტუაციაში კი მას ეხმარებიან სამყაროს ზეციური ძალები.

რადგანაც თავად დედამიწას არ შეუძლია განახორციელოს ბუნებრივი გადარჩევა გადარჩენილებსა და დახოცილებს შორის ბუნებრივი კატაკლიზმების დროს (რომლებიც ყოველდღიურად იზრდება თქვენს პლანეტაზე), მის მაგივრად ამას ზეციური ძალები აკეთებენ.

სწორედ მათი ბეჯითი მუშაობა, რომელიც მოისაზრებს პლანეტის მოსახლეობის ვიბრაციების თვალყურს, ქმნის სასწაულებს ფიზიკურ დონეზე.

სწორედ ამით აიხსნება ის, რომ როდესაც ადამიანები ერთ პირობებში ხვდებიან, ზოგი მათგანი იხოცება, ხოლო ზოგი გარადიება ზოგჯერ ამოუცნობი გზითაც.

ეს ხდება იმის წყალობით, რომ სინათლისა და სიყვარულის ენერგია მრავალჯერ ზრდის თქვენი პლანეტის საკუთარ სიყვარულს.

ეს ნებას აძლევს ნატიფი დონის არსებებს (როგორებიც არიან: ანგელოზები, მთავარანგელოზები და თქვენი სულიერი მენტორები), დახმარება გაუწიონ გაჭირვებაში მყოფ ადამიანს და თითქმის ფიზიკურად იურთიერთქმედონ მასთან.

ამგვარად, თავად დედამიწის სიყვარულის ენერგია უერთდება ზეციდან წამოსულ სინათლისა და სიყვარულის ენერგიას, ის ხდება ერთგვარი “უსაბრთხოების ბალიში” იმათთვის, ვისი სულებიც მიისწრაფიან ამაღლებისაკენ, მაგრამ, ვინც უნებლიედ მოხვდა ბუნებრივი კატაკლიზმის სახიფათო ზონაში.

თუმცა, ჩემო ძვირფასებო, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თავადაც გამოავლინოთ სულიერი სიძლიერე და არ აჰყვეთ პანიკასა და შიშს, თუ უეცრად მოხვდებით თქვენი სიცოცხლისათვის სახიფათო სიტუაციაში.

თქვენი რწმენა სასწაულებისა და ზეციური ძალების დახმარების მიმართ თამაშობს გადამწყვეტ როლს თქვენს გადარჩენაში.

გახსოვდეთ, რომ ყველაზე რთულ და გაუთვალისწინებელ სიტუაციებშიც კი უნდა შეეცადოთ გამორთოთ თქვენი ადამიანური გონება, და დაეყრდნოთ ინტუიციასა და ზეციდან მოსულ მინიშნებებს.

ხოლო, იმისათვის, რომ ეს საჭირო დროს გამოგივიდეთ, თქვენ უნდა გმოიმუშავოთ ასეთი ჩვევა თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში უკვე ახლა, თქვენ უნდა გადააწყოთ თქვენი ცნობიერება მესამე განზომილებიდან მეხუთე განზომილების ადამიანის ცნობიერებაზე.

გლოცავთ ჩემო ძვირფაებო!

მამა აბსოლუტი, რომელსაც განუზომლად უყვარხართ, საუბრობდა თქვენთან.

დედამიწა და შემოქმედის ენერგია

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

ახლა კი ვისაუბრებთ იმის შესახებ, თუ როგორ ურთიერთქმედებს დედამიწასთან შემოქმედის ენერგია.

ეს ენერგია ურთიერთქმედებს თქვენი პლანეტის უკვე მეორე ჩაკრასთან, რომელიც შეესაბამება ადამიანის მეხუთე ჩაკრას.

რაში მდგომარეობს დედამიწის თვითგამოხატვა და როგორ ეხმარება ამაში მას შემოქმედის ენერგია?

დავიწყოთ იქიდან, რომ კაცობრიობის ოქროს ხანაში, როდესაც ადამიანები ერთმანეთთან ჰარმონიულად ცხოვრობდნენ, თქვენი პლანეტა ყოველთვის ნაყოფიერი და ადამიანების მიმართ კეთილადგანწყობილი იყო.

კლიმატი იყო რბილი და დედამიწა მის ყველა მცხოვრბს ჩუქნიდა გულიხვ ნაყოფს.

მაგრამ, იმასთან ერთად, რაც ადამიანებმა მასთან ურთიერთქმედება შეცვალეს, დედამიწამ მათ იგივეთი უპასუხა, რაც შეესაბამება საამყაროს კანონს – რასაც დასთესავ იმას მოიმკი.

სწორედ ეს ხდება ახლა.

მოცემულ შემთხვევაში შემოქმედის ენერგია ხელ უწყობს თქვენი პლანეტის მხრიდან ადამიანის მიმართ საპასუხო ზომების მიღებას.

რაც უფრო მეტად ტანჯავენ მას ადამიანები, მით უფრო მეტია საზღაური, რომელსაც ადამიანი იღებს მიწისძვრებით, წყალდიდობებით, ქარიშხლებით, ვულკანების ამობრქვევებითა თუ ცუნამებით.

ერთი შეხედვით დედამიწა ამას ადამიანთა სასიკეთოდ არ აკეთებს.

თუმცა, თუ მივყევით არა ადამიანურ, არამედ ღვთაებრივ ლოგიკას, ის თვალნათლივ ანახებს ადამიანებს, თუ როგორ მუშაობს საამყაროს კანონები.

ის მისი მაცხოვრებლებისათვის ხდება მთავარი მასწავლებელი.

სწორედ ასე ვლინდება მისი “თვითგამოხატვა” მოცემულ მომენტში.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ შეიცვალა მისი “მოღვაწეობის” აქცენტები.

ხოლო ის, ვისაც ჭეშმარიტად უყვარს თავისი დედა-მიწა, შეძლებს მიხვდეს და მიიღოს ეს, რადგანაც იგრძნობს მის ტკივილს და აღიარებს მის უფლებას თავდაცვისა და თავისი შვილების აღზრდის შესახებ.

თუ ვიფიქრებთ ამ ღვთაებრივი ლოგიკით, ყველაფერი, რაც ახლა დედამიწაზე ხდება ატარებს არა ნეგატიურ და დამანგრეველ ხასიათს, არამედ აუცულებელსა და განმწმენდს.

მიმდინარეობს თქვენი პლანეტის ღრმა და სერიოზული წმენდა დაგროვილი ჭუჭყისგან როგორც ფიზიკურ, ასევე ენერგეტიკულ დონეზე.

დედამიწას სხვა გამოსავალი არ აქვს.

ამგვარად ის არა მხოლოდ თავს გადაირჩენს, არამედ სუფთა ადამიანურ სულებსაც, რომლებსაც შეუძლიათ იარონ მასთან ერთად ამაღლების გზაზე.

ამაში კი მას და იმ ადამიანებს, რომელთა ვიბრაციებიც საკარისად მაღალია ეხმარება შემოქმედის ენერგია.

მე მსურს, რომ თქვენ კარგად გაიგოთ, ჩემო ძვირფასებო, რომ მესამე განზომილების ადამიანის თვალთახედვით ტრაგიკულ მოვლენებსაც კი შეიძლება ქონდეს ნათელი საწყისი, რომელიც კაცობრიობის ცნობიერების გამოღვიძლებას მოისაზრებს.

სამწუხაროდ, შექმნილ სიტუაციაში ადამიანს მხოლოდ ასე - ტანჯვის გავლით შეუძლია გადავიდეს სულიერი განვითარების ახალ დონეზე და დაინახოს თავისი ბარბაროსული ქმედებების შედეგები დედამიწის მიმართ, რომელიც მას აწვდიდა საკვებსა და თავშესაფარს კაცობრიობის მთელი არსებობის განმავლობაში.

დედამიწა და სამყაროს პირველშემოქმედის ენერგია

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

დღეს ჩვენ გადავალთ დედამიწის სამყაროს პირველშემოქმედის ენერგიასთან ურთიერთქმედებაზე.

ეს არის ენერგია, რომელიც რეზონირებს ადამიანის მექვსე ჩაკრასთან, ხოლო დედამიწისათვის არის ახლო და ჩვეული, რადგანაც მისი მესამე ჩაკრა ყოველთვის აქტიური იყო.

დედამიწას, ადამიანისგან განსხვავებით, არასოდეს დაუკარგია კავშირი თავის სულთან, სწორედ ამიტომაც მისი გრძნობის ნატიფი ორგანოების ათვლა იწყება გულის ჩაკრიდან, რომელიც ადამიანებისათვის სულიერი განვითარების გზაზე მხოლოდ პირველ საფეხურს წარმოადგენს.

რატომ ვაკეთებ აქცენტს ადამიანისა და დედამიწის ნატიფ აგებულებებს შორის შეუთავლელობაზე?

მე მსურს, ჩემო ძვირფასებო, რომ თქვენ მიხვდეთ, თუ თქვენი პლანეტა თქვენზე რამდენად უფრო დიდი და ბრძენია.

მისთვის არ არის დაბალი ვიბრაციის ენერგიები ჩვეული, ხოლო თუ ის ადამიანს ტანჯავს, ეს დება არა იმის გამო, რომ დედამიწა სამაგიეროს გიხდით, არამედ იმიტომ, რომ ეს არის მისთვის ერთადერთი საშუალება ასწიოს თქვენი ვიბრაციები და დაგანახოთ, თუ როგორ უსამართლოდ ექცევიტ თქვენს პლანეტას – თქვენს საკუთარ სახლს.

ამაში კი მას ძალიან ეხმარება სამყაროს პირველშემოქმედის ენერგია, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის მეექვსე ჩაკრის გააქტიურებას, რითიც მას დაუბრუნებს მომხდარი მოვლენების ღვთაებრივ ხედვას.

იმასთან ერთად, რაც ამ ენერგიის წყალობით ადამიანთა ბუთხიალური სხეულები განიწმინდება, დაიწყება დედამიწის იმ ნატიფი სხეულის განწმენდაც, რომელიც მის მესამე ჩაკრას შეესაბამება, რომელიც მისი სულის ზედა ასპექტებთან პირდაპირ კავშირშია.

სწორედ ასეთ განწმენდის პარალელურ პროცესს უშვებს სამყაროს პირველშემოქმედის ენერგია, რაც ნება აძლევს ადამიანს რეზონანსში შევიდეს დედამიწის ვიბრაციებთან.

ამგვარად ხდება ამ ღვთაებრივი ენერგიის ორმაგი დამიწება: თავიდან დედამიწა მას ატარებს თავისი მესამე ჩაკრისა და შესაბამისი ნატიფი სხეულის გავლით, ხოლო შემდგომ ადამიანი – თავისი მეექვსე ჩაკრისა და ბუთხიალური სხეულის გავლით.

ამის წყალობით სამყაროს პირველშემოქმედის ენერგია ხდება უფრო კონცენტრირებული, ანუ უფრო მოქმედიც, რაც მრავალჯერ აჩქარებს კაცობრიობის ცნობიერების ღვთაებრივობისკენ ტრანსფორმაციას.

ამგვარად დედამიწა თქვენ გეხმარებათ არა მხოლოდ “თვასაჩინო გაკვეთილებით”, არამედ ენერგეტიკულადაც.

ხოლო, როდესაც თქვენ დაიწყებთ სამყაროს პირველშემოქმედის ენერგიასთან გათვითცნობიერებულად მუშაობას, თქვენ შეგიძლიათ დასახმარებლად მოუხმოთ გაიას – თქვენს დედამიწას, რომელიც სიამოვნებით გაგიზიარებთ თავის სულიერ სიტბოსა და სიბრძნეს.

შეეცადეთ იმუშვოთ ყველა ახალ ენერგიასთან, რომლებსაც მე გაძლევთ, შედით არა მხოლოდ მათთან რეზონანსში არამედ მათი გავლით თქვენს პლანეტასთანაც იურთიერთქმედებით.

ეს დაგეხმარებათ უკეთესად იგრძნოთ დედამიწის სული, შეერწყათ მას ვიბრაციულად, რითიც გამოხატავთ მისდამი თქვენს დაფასებასა და სიყვარულს.

გლოცავთ და მიყვარხართ განუზომლად!

მამა აბსოლუტი საუბრობდა თქვენთან.

დედამიწა და პირველშემოქმედის სამყაროსეული ენერგია

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

დღეს ჩვენ ვისაუბრებთ იმის შესახებ, თუ როგორ ურთიერთქმედებას ახდენს თქვენს პლანეტაზე პირველშემოქმედის სამყაროსეული ენერგია.

ის უკვე მეხუთე განზომილების სრულფასოვანი ენერგიაა და სწორედ მან ითამაშა გადაწყვეტი რილი იმაში, რომ დედამიწამ შეძლო თავისი ნატიფი სხეულებით მესამე განზომილების სივრციდან გამოსვლა და უკვე გაიარა ის ადგილი, საიდანაც უკან დაბრუნება აღარ შეიძლება.

ხოლო, აი როგორ ხდება ეს პრაქტიკაში.

დედამიწის ახალ მაღალვიბრაციულ ენერგიებთან (ისეთები როგორიცაა სინათლისა და სიყვარულის, შემოქმედის და სამყაროს პირველშემოქმედის ენერგიები) ურთიერთქმედების შედეგად მისი ნატიფი სხეულები სულ უფრო და უფრო ივრცობა.

ამიტომაც, როდესაც ის პირველშემოქმედის სამყაროსეულ ენერგიათა შევიდა კონტაქტში, მას გაუადვილდა მასთან რეზონანსში შესვლა.

ამის შედეგად დაჩქარდა მისი მესამე განზომილების დაბალვიბრაციული და მძიმე ენერგიებისგან განწმენდის პროცესი, რაც გარდაუვლად აისახა მის მაცხოვრებლებზეც.

ეს გამოვლინდა სულ უფრო და უფრო ზრდად ბუნებრივ კატაკლიზმებში.

ეს აიხსნება იმით, რომ მისმა უკვე განწმენდილმა ნატიფმა სხეულებმა უნდა “აქაჩონ” თავის დომემდე მისი ფიზიკური სხეულიც, რომელიც ჯერ კიდევ დაბალი ენერგიების ტყვებოა.

იგივე ხდება ადამიანის შემთხვევაში.

რაც უფრო მეტად იწმინდება მისი ცნობიერება და ნატიფი სხეულები, მით უფრო მეტ ცვლილებას ითხოვს მისი ფიზიკური სხეული, რადგანაც ვიბრაციებში ძალზედ დიდი განსხვავება შეიძლება მისთვის დამლუპველი იყოს.

რა ხდება ამ შემთხვევაში ადამიანთან?

იცვლება მისი ცხოვრების წესი, კვების რაციონი, ფიზიკური დატვირთვების აღქმა - ანუ ყველაფერი, რაც მისი ფიზიკური სხეულის ვიბრაციულ დონეზე ახდენს ზეგავლენას.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ადამიანი თავისუფლდება “მძიმე” ენერგიებისგან, რომლებიც ხელს უშლიან აწიოს თავისი ფიზიკური სხეული ნატიფ სხეულებთან ერთად არსებობის ახალ დონეზე.

დედამიწისათვის კი ასეთ მძიმე ენერგებზე გადაიქცა ადამიანური ვნებები, რომლებიც წამლავენ მის ენერგეტიკულ სივრცეს ანუ მის ნატიფ სხეულებს.

თქვენი პლანეტა კი ამ ნეგატიურ ენერგიებს წვავს ცეცხლით, რეცხავს წყლით და იშორებს ქარიშხლით.

ის მთელი ძალებით ცდილობს მიმართოს ადამიანის ცნობიერება სხვა კალაპოტში – ის ცდილობს აღადგინოს ის ადამიანური თვისებები, რომელიც ოდესღაც ღმერთკაცისათვის იყო ჩვეული.

ესენია: ერთობის, სიყვარულის, თანაგრძნობისა და მაღლიერების გრძნობები.

ხოლო, როგორც უკვე ბევრჯერ ითქვა ჩემს გზავნილებში, ადამიანებს ამ გრძნობების დაბრუნება შეუძლიათ მხოლოდ ტანჯვის გალის შედეგად.

მხოლოდ სასიკვდილო საბრთხის წინ ისინი აერთიანებენ თავიანთ ძალებს, რათა გადარჩნენ.

მხოლოდ ტრაკიგულ სიტუაციაში მოხვედრისას ისინი იწყებენ არა მხოლოდ საკუთარ თავებზე, არამედ სხვებზე ფიქრსაც.

რადატქმაუნდა, მოცემულ შემთხვევაში საუბარი მიდის ძველსა და ნათელ სულებზე, რომლებიც დიდი რაოდენობით ინკარნირდნენ ახლა დედამიწაზე.

სწორედ მათ მოუწევთ ააშენონ ახალი მსოფლიო ახალ დედამიწაზე, რომელიც მესამე გაზნომილების ჭუჭყისგან განწმენდილი იქნება და გაანათებს მკვეთრად და გახდება თავისი საყვარელი შვილებისათვის მყუდრო სახლი, რბილი კლიმატით, კრისტალურად სუფთა ჰაერით, წყლითა და სხვა ბუნებრივი რესურსებით მდიდარი.

ეს ყველაფერი უკვე ახლოსაა ჩემო ძვირფასებო.

თქვენს ძალებში კი არის ამ პროცესის დაჩქარება, თუ გულმოდგინედ იმუშავებთ თქვენი საკუთარი ცნობიერებისა და კაცობრიობის კოლექტიური ცნობიერის ტრანსფორმაციაზე.

ეს არა მხოლოდ მიგაახლოვებთ ამაღლებასთან, არამედ მინიმუმამდე დაიყვანს თქვენდამი დედა-მიწის მიერ განხორციელებულ გარდაუვალ მკაცრ ზომებს, რომლებითაც ის ცდილობს თავისი ურჩი შვილების “აღზრდას”.

გლოცავთ ჩემო ძვირფასებო!

მამა აბსოლუტი, რომელსაც განუზომლად უყვარხართ, საუბრობდა თქვენთან.

დედამიწა და ამაღლების ენერგია

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

დღეს ჩვენ ვისაუბრებთ ამაღლების ენერგიაზე, რომელიც ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო მეტ ზეგავლენას ახდენს თქვენს პლანეტაზე და მის ყველა მაცხოვრებელზე.

დავიწყოთ დედამიწით, რომელიც თავისი არსით ღვთაებია.

ის იღებს ამ ენერგიას სიყვარულითა და მადლიერებით. ის აღიქვამს მას როგორც მშობლიურს, ახლობელსა და ბუნებრივს.

ის ხვდება, რომ მისთვის ეს ენერგია არის გადამრჩენელი, რადგანაც მისი მესამე განზომილებაში ცხოვრება თავის ლოგიკურ დასასრულამდე მივიდა.

ხოლო, ამ ენერგიის წყალობით თქვენი პლანეტა მთელი მისწრაფებით შედის მეხუთე განზომილების სივრცეში.

ხოლო, როგორ აღიქვავენ დედამიწის მაცხოვრებლები ამაღლების ენერგიას?

რადგანაც, თქვენ, ჩემო ძვირფასებო, უკვე იცით, რომ დედამიწაზე არსებობს მრავალი სახის სიცოცხლის ფორმა ადამიანთა სხეულებში, ისინი ამ ენერგიას გასწავებულად აღიქვამენ.

ხდება ეს გაუთვითცნობიერებულად – ენერგეტიკულ დონეზე.

მსგავსების კანონის მიხედვით ვიღაცა თქვენი პლანეტის მსგავსად მწყურვალე და სიხარულით იღებს მას, ხოლო ვიღაცასთვის ის დამღუპველი ხდება.

ვიღაცის ვიბრაციები მასთან რეზონანსში შედის, ვიღაცის კი მნიშვნელოვნად იცვლება, ხოლო ვიღაცას საერთოდ არ შეუძლია რომ მიიღოს ისინი თავისი ენერგეტიკული აგებულებისდა გამო.

მაგალითად, რეფტილოიდები, რომლებსაც მხოლოდ სამი ქვედა ჩაკრა აქვთ განვითარებული, ხოლო მეოთხე ჩასახვის მდგომარეობაშია, თავისი სურვილისდა მიუხედავად ვერ შეძლებენ ამ ენერგიასთან რეზონანსში შესვლას, რადგანაც მისი მიღება ყველა ადამიანსაც კი არ შეუძლია, არამედ მხოლოდ იმათ, ვისაც სრულიად აქვს გააქტიურებული ზედა, ღვთაებრივი ჩაკერები.

ეს კი მათი დანაშაული არ არის, ყოველ რასას თავისი გზა და თავისი ენერგეტიკული შესაძლებლობები აქვს.

ხოლო, რაც შეეხება სხვა ცივილიზაციების წარმომადგენლებს, რომლებიც ადამიანთა სხეულებში არიან ინკარნირებულნი, დედამიწის ამაღლების შემდგომ ისინი წავლენ თავიანთ პლანეტებზე.

ეს ეხება იმათაც, ვინც სულიერი განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე იმყოფება და იმათაც, ვინც სულიერად უფრო განვითარებულია და ინკარნირდნენ იმიტომ, რომ დაეხმარონ ადამიანებს სულიერი განვითარების ახალ დონეზე რომ გადავიდნენ.

დედამიწიდან წასვლის შემდეგ ისინი მჭიდროდ ითანამშრომლებენ ახალ კაცობრიობასთან უკვე სრულიად ახალ დონეზე – ენერგეტიკულ კონტინიმუმი, სადაც არ არსებობს სივრცე და დრო და სადაც ისინი ადამიანებს გაუზიარებენ თავიანთ გამოცდილებას და მათთან ტელეპატიურად ისაუბრებენ.

მე მსურს თქვენ კარგად რომ გაიგოთ, რომ მეხუთე განზომილების ახალი დედამიწა იქმნება სწორედ ადამიანებისათვის – ძველი და ნათელი ადამიანური სულებისათვის, რომლებიც მრავალი საუკუნის განმავლობაში ინკარნირდებოდნენ ამ მრავალგზისნატანჯ პლანეტაზე, იზიარებდნენ ერთად სიხარულსა და მწუხარებას და რომლებმაც თავიანთი ღვაწლით დაიმსახურეს მისი სიყვარული და პატივისცემა.

სწორედ ასეთ ნათელ ადამიანთა სულებთან ერთად ემზადება თქვენი დედა-მიწა გადავიდეს მეხუთე განზომილების ახალ რეალობაში.

ხოლო, როგორც უკვე ბევრჯერ ითქვა ჩემს გზავნილებში, თქვენ უნდა იყოთ მზად იმისათვის, რომ ყველა თქვენი ახლობელი ვერ აღმოჩნდება ასეთი სული.

თუმცა, ეს არ უნდა გახდეს თქვენთვის ტრაგედია.

მიიღეთ ეს მშვიდად, იმის გაგებით, რომ ამ სამყაროში ყველაფერი მიზანშეწონილია და რომ ნებისმიერი რასისა და ცივილიზაციის სულს აქვს თავისი გზა და განვითარების თავისი დონე.

მოვიდა დრო კონცენტრირდეთ საკუთარ გზაზე, რათა არ გამოტოვოთ საკუთარი ცნობიერებითა და ფიზიკური სხეულებით გარდასახვის უნიკალური შესაძლებლობა, რადგანაც თქვენ არ მოგიწევთ ინკარნაციიდან გამოსვლა, როგორც ეს ხდებოდა მრავალი ათასწლეულის განმავლობაში.

გლოცავთ ჩემო ძვირფასებო!

მამა აბსოლუტი, რომელსაც განუზომლად უყვარხართ, საუბრობდა თქვენთან.

ენერგეტიკული არეულობა

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

დღეს ჩვენ ვისაუბრებთ იმის შესახებ, თუ რა ხდება დედამიწის ნატიფ დონეზე ახლა.

მოკლედ რომ აღვწეროთ, იქ მომხდარ პროცესებს შეგვიძლია ვუწოდოთ ენერგეტიკული არეულობა.

აი რაში მდგომარეობს ის.

დედამიწის მაგნიტურ ველში მომხდარმა ცვლილებებმა დაიწყო დედამიწისა და თქვენი გალაქტიკის ციურ სხეულებთან ენერგეტიკული ურთიერთქმედების შეცვლის პროცესი.

რადატექმაუდა, პირველ რიგში ეს ეხება ციურ სხეულებს, რომლებიც პირდაპირ კავშირში არიან დედამიწასთან – ისეთები როგორიცაა მზე და მთვარე.

მათ შორის ურთიერთქმედების ათასწლოვანმა მექანიზმმა ხარვეზებით დაიწყო მუშაობა, რაც ფიზიკურ დონეზე გამოვლინდა ანომალურ კლიმატურ მოვლენებში.

ამგვარად, დედამიწის იმ ადგილებში, სადაც არასოდეს არ იყო თოვლი, უცებ გაჩნდა დიდი ოდენობით თოვლის ნალექი, ხოლო სადაც ზამთარი უნდა მეფობდეს, უცებ ბუნება აყავდა და გახაფხულის დადგომას რამოდენიმე თვით დაასწრო.

ამის მიზეზი გახდა დედამიწის იგრვლილ სივრცეში არსებული ენერგეტიკული ცვლილება.

ამგვარად მიმდინარეობს მსუბუქი კლიმატის შექმნის პროცესის მომზადება, რადგანაც ასეთი პირობები უნდა იყოს მეხუთე განზომილების დედამიწის ყველა კუთხეში.

ეს შეიძლება შევადაროთ იმას, თუ ერთ ჭურჭელში როგორ ურევთ ერთმანეთს ცხელსა და ცივ წყალს, რათა თქვენთვის კონფორტული ტემპერატურის წყალი მიიღოთ.

მოცემულ შემთხვევაში ასეთ “ჭურჭელს” წარმოადგენს თქვენი პლანეტა.

მძლავრი ენერგეტიკული ნაკადები, რომლებმაც თქვენი დედამიწა მოიცვეს, ატარებენ ბრთხილ ოპერაციას თქვენს პლანეტაზე წყლისა და ჰაერის მასების გადანაწილების შესახებ, როდესაც ისინი გადანაცვლებიან და დადგებიან საშუალო დონეზე, ეს ხელს შეუწყობს მთელს დედამიწაზე მსუბუქი და ზომიერი კლიმატის შექმნას.

იმას, რაც ახლა დედამიწაზე ხდება არა აქვს ანალოგი არა მოლოდ თქვენი პლანეტის, არამედ თქვენი გალაქტიკის ისტორიაში.

თუ ადრე ეპოქების ცვლა მიმდინარეობდა გლობალური კატასტროფებით, რომლებიც ანადგურებდა ცივილიზაციებს, როგორც ეს მოხდა ჰიპერპარიის, ატლანტიდისა და ლემურიის შემთხვევაში, ახლა დედამიწა ახალ ერაში შედის მსუბუქი რეჟიმით.

თუმცა, მთავარი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ თავად დედამიწაც გადადის თავისი არსებობის ახალ დონეზე.

მოცემულ შემთხვევაში მიმდინარეობს მიწიერი ცივილიზაციის არა სრული განადგურება, არამედ ვიბრაციების მიხედვით ბუნებრივი გადარჩევა იმათ შორის, ვინც შეძლებს მასთან ერთად რომ გადავიდეს ახალ ენერგეტიკულ სივრცეში და იმათ შორის, ვინც უნდა დატოვოს ეს პლანეტა იმის გამო, რომ ვერ შეძლებს მიაღწიოს იმ ვიბრაციულ დონეს, რაც ნებას მისცემს, რომ ახალ დედამიწასთან რეზონანსში შევიდეს.

ახლა კი თქვენ ყველანი ხართ ამ თქვენი პლანეტისათვის საბედისწერო მოვლენების ეპიცენტრში.

ალბათ ბევრმა თქვენგანმა უკვე შეამჩნია, რომ მსგავსი ენერგეტიკლი გადაწყობა მიმდინარეობს თქვენს ცხოვრებაშიც.

თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში შეიცვლა ბევრი აქცენტი, რამაც შექმნა ქაოსი თქვენს ცხოვრებაში როგორც პირადული, ასევე საზოგადოებრივი თვალსაზრისით.

ეს ყველაფერი რაღატქმაუნდა არ არის შემთხვევითი, რადგანაც ენერგეტიკული ნაკადები, რომლებმაც დედამიწის ნატიფ დონეზე ქარიშხალი შექმნეს, დაეშვა ფიზიკურ დონეზე და შეეხო მის ყველა მაცხოვრებელს.

ხოლო, იმაზე, თუ როგორ გაივლით თქვენი ცხოვრების ამ რთულ პერიოდს, დამოკიდებულია ძალიან ბევრი.

თუ ის გაამაგრებს თქვენ სულს და გაამყარებს თქვენს რწმენას ამაღლების პროცესის სასიკეთოდ დამთავრებაში, თქვენ მოხვდებით დედამიწასთან ერთ ვიბრაციულ დონეზე.

ხოლო, თუ თქვენ იმოქმედებთ ინერციით, ყველაფერს ემოციონალურად და მენტალურად აღიქვამთ როგორც მესამე განზომილების ადამიანი, თქვენ ბორტს მიღმა აღმოჩნდებით და ამაღლების “გემი” მეხუთე განზომილების მშვენიერ სივრცეში გაცურავს თქვენს გარეშე.

ამიტომაც, ჩემო ძვირფასებო, მე გთხოვთ, რომ მთელი თქვენი ყურადღება აკონცენტრირდეთ საკუთარ თავზე, საკუთარ სულზე და საკუთარ ინტუიციაზე. ნუ დაკარგავთ დროს არასაჭირო ურთიერთობებზე, ფუჭ საუბრებზე და დროის უაზრო ხარჯვაზე.

დასახმარებლად მოუხმეთ ყველა ახალ ენერგიას, რომლების შესახებაც დაწვრილებით მოგიყვებით, ყველა თქვენ ზეციურ მფარველს და თქვენი სულის ზედა ასპექტებს, რათა დაგეხმარონ სწრაფად რომ გარდაქმნათ თქვენი ცნობიერება და თქვენი ფიზიკური სხეულები იმ დონემდე, რომელიც დაგეხმარებათ დედამიწას “ფეხი რომ აუწყოთ”.

გლოცავთ და მიყვარხართ განუზომლად!

მამა აბსოლუტი საუბრობდა თქვენთან.

პრაქტიკები

დედამიწის სინათლისა და ღვთაებრივი სიყვარულით აღსავსების მედიტაცია

მამა აბსოლუტის გზავნილი 27 მარტი 2016 წელი.

ჩემო ძვირფასებო, ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა იმის დანახვა, თუ როგორი გამოხმაურება გქონდათ ჩემს გზავნილზე, იმის შესახებ, რომ საჭიროა გააორმაგოთ და გაასამმაგოთ თქვენი შრომა დედამიწის გადასარჩენად.

მე ასევე ვხედავ, რომ ბევრ თქვენგანს სურს ჩაატაროს მედიტაციები დედამიწის სინათლისა და ღვთაებრივი სიყვარულით აღსავსებად.

ახლა კი მოგიყვებით, თუ რა უნდა გააკეთოთ იმისათვის, რომ ეს მედიტაციები გახდეს რაც შეიძლება მეტად ეფექტური.

ყველასათვის მოსახერხებელი დრო თავადვე შეგიძლიათ აირჩიოთ.

წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ყველანი დადექით წრეზე და ჩაკიდეთ ერთმანეთს ხელები. მომიხმეთ მე დასახმარებლად ასევე მამა ღმერთს, სამყაროს ზეციურ ძლებს და იმათ, ვისთანაც მუშაობას შეეჩვიეთ.

ამის შემდგომ მთხოვეთ რომ სრული სიმძლავრით გაგიაქტიუროთ თქვენი სიყვარულის კრისტალები, რომელიც თქვენს გულის ჩაკრაში მდებარეობს. იგრძენით ამ ადგილას სითბო და მსუბუქი პულსაცია.

შემდგომ თქვენი წრის შუაში წარმოიდგინეთ თქვენი მშვენიერი დედამიწა და მოუხმეთ სინათლისა და სიყვარულის ენერგიას.

თქვენ დაინახავთ, თუ მოვარდისფრო-მოოქროსფრო ნაკადი როგორ წამოვა სამყაროს ცენტრიდან თქვენი მოხმობისას თქვენზე და დედამიწაზე.

გაატარეთ ეს ნაკადი თქვენს გავლით და დაიწყეთ მეშვიდე ჩაკრიდან.

იგრძენით, თუ როგორ გადის ის თქვენი მეექვსე და მეხუთე ჩაკრების გავლით, ხოლო შემდგომ ეშვება თქვენს გულის ჩაკრაში – თქვენს სიყვარულის კრისტალში.

ხოლო უკვე მანდედან თქვენ აგზავნით ამ ენერგიის რბილ ნაკადს, რომელიც პულსირებს, დედამიწის მიმართულებით. თქვენ ავსებთ მას თქვენი სიყვარულით, რომელიც ერწყმის სინათლისა და ღვთაებრივი სიყვარულის საერთო ნაკადს.

რატომ გთხოვთ, რომ სწორედ ასე გააკეთოთ ეს მედიტაცია? იმიტომ, რომ თქვენ ამგვარად შეგიძლიათ შეიტანოთ თქვენი საკუთარი სიყვარული დედამიწის გადარჩენის ამ საკრალურ პროცესში. თქვენ შეიტანთ მასში თქვენს ღვთაებრივობას, რომელიც არის უძლიერესი ძალა, რაც სასწაულებს ჩადის.

და გთხოვთ, რომ გააკეთოთ ეს მედიტაცია რაც შეიძლება ხშირად.

გლოცავთ ჩემო ძვირფასებო და გიხდით მადლობას!

თქვენი ენერგიებთან მუშაობის შესახებ

მამა აბსოლუტის გზავნილები 2016 წლის 24 - 25 ნემბერი

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

დღეს მე მოგიყვებით, თუ როგორ გამოიყენოთ თქვენი ახალი ენერგეტიკული შესაძლებლობები, რომლებიც ყოველ თქვენგანში სულ უფრო და უფრო მეტად იხსნება.

თაღნათანობით ეს ხდება ინსტრუმენტი, რომლითაც შეგიძლიათ ზეგავლენა იქონიოთ თქვენს სხეულებზე, ცნობიერებაზე და თქვენი ცხოვრების მოვლენებზე.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თქვენ სწავლობთ თქვენი სხეულის, ემოციებისა და ცხოვრების მართვას.

მოდით ყველაფერი თანმიმდევრულად განვიხილოთ.

დავიწყოთ თქვენი სხეულებით.

თუ ადრე ენერგეტიკული მკურნალობა თქვენ რთულად, უჩვეულოდ და მიუღწევლად გეჩვენებოდათ, ახლა ბევრ თქვენგანს შეუძლია მოუხმოს ღვთაებრივ ენერგიას და მიმართოს ის საკუთარი სხეულის იმ ნაწილში, რომელშიც გრძნობთ ტკივილს და თქვენ იგრძნობთ, თუ როგორ გისმენთ თქვენ ენერგია, როგორ ათბობს მტკივან ადგილს, ხოლო ზოგჯერ ის პულსაციასაც იწყებს, რადგანაც ასე გამოხატავს მის მიმართ გაგზავნილ ენერგიასთან ურთიერთქმედებას.

ზოგიერთი თქვენგანი, როდესაც ღვთაებრივ ენერგიას უხმობს, მას გრძნობს ხელებში და იღებს მტკივან ადგილას თავის მხურვალე ხელებს.

ძალიან ბევრ ადამიანს უვითარდება მკურნალის შესაძლებლობები და თქვენ, ჩემო ძვირფასებო, იწყებთ არა მხოლოდ საკუთარი თავის, არამედ თქვენი ახლობლების განკურნასაც.

იგივე ხდება თქვენს ცნობიერებასთანაც.

როდესაც გრძნობთ გაღიზიანებას, ბრაზს ან წყენას, თქვენ უხმობთ სინათლისა და სიყვარულის ენერგიას და ანეიტრალურ ნეგატიურ ენერგიებს და არ აძლევთ მათ ნებას, რომ გაბეგრდნენ და ძალა მიიღონ.

ამით კი თქვენ კურნავთ და წმენდავთ თქვენს სულს და არ აძლევთ ნებას, რომ მესამე განზომილების დაბალ ენერგიებში ჩავიდეს.

ასევე, ბევრმა თქვენგანმა უკვე ისწავლა საკუთარი ცხოვრების მართვა, როდესაც თქვენ დასახმარებლად უხმობთ საკუთარი წარმოსახვით მაღალი ვიბრაციის ღვთაებრივ ენერგიებს და მათი დახმარებით აფორმირებთ თქვენს ცხოვრებაში იმ მოვლენებს, რომლებიც თქვენი სულის სურვილს პასუხობს.

დღეს კი მე მსურს მოვაწესრიგო თქვენი ეს მუშაობა და მოგცეთ რამოდენიმე რჩევა. რომლებიც დაგეხმარებათ შეცდომას რომ აარიდოთ თავი და მაქსიმალურად გამოიყენოთ თქვენთვის ბოძებული ღვთაებრივი “ინსტრუმენტი” რომლის გამოყენებაც ოდესღაც თქვენ კარგად იცოდით, თუმცა დროის გავლასთან ერთად დაკარგეთ თქვენი შესაძლებლობები.

ამრიგად, პირველი და უცვლელი წესი ამბობს, რომ “გამოიყენეთ თქვენი ნიჭი რაიმე ეგოისტური მისწრაფებების გარეშე და ყველასათვის სასიკეთო გზით”.

მეორე წესი: არასოდეს გამოიყენოთ ის, როგორც სხვებზე მაღლა დგომის საშუალება, რადგანაც ეს მიგიყვანთ სულიერ ამპარტავნებამდე და დაგხევთ უკან.

მესამე წესი: განკურნეთ სხვა ადამიანები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი გთხოვენ ამის შესახებ და თუ იგრძნობთ, რომ მიიღებენ ამ საჩუქარს იმის სრული გაგებით, რომ ეს არის მათი გათვითცნობიერებული მუშაობისა და სულიერი განვითარებისათვის მხოლოდ დახმარება და პირველი ბიძგი.

მეოთხე წესი: იმუშავეთ ენერგიებთან მხოლოდ მაშინ, როდესაც იმყოფებით მშვიდ და ჰარმონიულ მდგომარეობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი მუშაობა არ იქნება სრულფასოვანი და ზოგჯერ შეიძლება ზიანიც კი მოიტანოს, რადგანაც მაღალი ვიბრაციის ღვთაებრივი ენერგიების ნაცვლად თქვენ ადამიანებს გაუნაწილებთ დაბალვიბრაციულ ენერგიებს, რომეთა ტყვეებაშიც მოხვდით.

მეხუთე წესი: ნურასოდეს ნუ გააზვიადებთ თქვენს შესაძლებლობებს და არ ჩავარდეთ ამპარტავნებაში, რადგანაც ამგვარად თქვენ შეიძლება მოიზიდოთ ქვედა ასტრალის არსებები, რომლებიც იკვებებიან სიამაყისა და ქედმაღლობის ენერგიებით.

მეექვსე წესი: მუდმივად სრულყავით თქვენი მუშაობა, რადგანაც ყოველდღიურად დედამიწაზე მოდიან სულ უფრო და უფრო ახალი ენერგიები, რომლებსაც სასწაულების ჩადენა შეუძლიათ.

მეშვიდე წესი: გახსოვდეთ, რომ თქვენს შესაძლებლობებს საზღვარი არ აქვს. გჯეროდეთ საკუთარი თავებისა და არასოდეს გაჩერდეთ მიღწეულზე.

გლოცავთ ჩემო ძვირფასებო და გისურვებთ წარმატებებს ამ უჩვეულო და საინტერესო მუშაობაში მაღალი ვიბრაციის ენერგიაბთან, რომლებსაც სამყარო გულუხვად გიგზავნით!

თქვენი ენერგეიებთან მუშაობის შესახებ – გაგრძელება

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

დღეს მე მსურს გაგავრძელო თემა თქვენი ენერგეტიკული შესაძლებლობების შესახებ და ამჯერად გავჩერდები იმაზე, თუ როგორ უნდა გამოიყენოთ პრაქტიკაში ახალი ენერგიები, რომლებიც ახლა დედამიწაზე მოდიან.

პირველი: თუ რაც უნდა გააკეთოთ არის, რომ მართოთ ენერგია ისე, რომ თავი კონფორტულად იგრძნოთ. თქვენ არ უნდა იგრძნოთ დოზის გადაჭარბება ან პირიქით მისი უკმარისობა.

ხოლო, რაც მთავარია, თქვენ უნდა ისწავლოთ თქვენს ფიზიკურ სხეულსა და ნატიფ სხეულებს შორის ბალანსის დამყარება, რათა არ გრძნობდეთ დისკონფორტს.

აი როგორ შეგიძლიათ ამის გაკეთება.

შედიით მედიტაციურ მდგომარეობაში, მოუხმეთ ღვთაებრივ ენერგიას და წარმოიდგინეთ, თუ როგორ ავსებს ის თანაბრად თქვენს სხეულებს ფიზიკურის ჩათვლით.

ეს უნდა მოხდეს შემდეგნაირად.

თუ თქვენს თავს მრავალფენიან კვერცხად წარმოიდგენთ, მაშინ დაინახავთ, რომ ენერგია იწყებს თქვენს ავსებას გარე შრიდან - ატმარუნი სხეულიდან. თანდათანობით ის ავსებს სივრცეს მასსა და ბუდბიალურ სხეულს შორის, შემდგომ კი თავად ამ სხეულს და ასე ჩამოდის ის კიდევ დაბლა, სანამ ფიზიკურ სხეულამდე არ მივა.

ეს აიხსნება იმით, რომ მსგავსების კანონისდა მიხედვით ღვთაებრივი ენერგია მიიზიდება ყველაზე “ნატიფ” - თქვენს ყველაზე სულიერ სხეულთან, ხოლო შემდგომ იწყებს ნელ-ნელა სხვებთანაც ასიმილაციას.

შეიგრძენით, თუ როგორ ხდება ეს, ან უკეთესია დაინახოთ ეს თქვენი შინაგანი ხედვით.

ამ პროცესის დროს სთხოვეთ ენერგიას გადანაწილდეს რაც შეიძლება თანაბრად რათა დააბალანსოს თქვენი სხეულები, ანუ თქვენი ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა.

მეორე: თქვენ უნდა ისწავლოთ თქვენთვის საჭირო ადგილას ენერგიის კონცენტრირება.

შეეცადეთ წარმოიდგინოთ თუ როგორ იღებთ თქვენს ნატიფ სხეულებს შემოხველი ენერგიის “კონას” და მიმართავთ მას მტკივნეულ ადგილას და აზრობრიად აძლევთ მას მაქსიმალურ ინჰულსს.

თქვენ აგრეთვე შეგიძლიათ წარმოიდგინოთ სინათლეს გამობრქვევა მისი სხეულთან შეხების მომენტში და “დაინახოთ”, თუ როგორ გაივლის ის კანსა და ანეიტრალებს თქვენს პრობლემას – მუქი ნეგატიური ენერგიის გროვას, რომელიც თანდათან (იმასთან ერთად, რაც მასში ღვთაებრივი ენერგია შედის) ხდება ოქროსფერი, ხოლო ტკივილი უკვალოდ ქრება.

რატატქდამუნდა, ჩემო ძვირფასებო, თქვენ შეგიძლიათ მოიფიქროთ განკურნების სხვა ბევრი საშუალება, რადგანაც, როგორც მე გითხარით, ენერგიებთან მუშაობა ღვთაებრივი შემოქმედებითობა და ძალზედ საინტერესო საქმიანობაა.

ალიქვით ის არა როგორც სამუშაო, არამედ, როგორც ჯადოსნობა. გააკეთეთ ყვეალფერი არა დამაბულად და სერიოზულად, არამედ მხიარულად.

მესამე: თავიდან ისწავლეთ საკუთარი თავების განკურნება, ხოლო შემდგომ დაიწყეთ სხვების დახმარება.

ეს პირველ რიგში დაგეხმარებათ საკუთარი თავის სიყვარულისა და მასზე ფიქრის სწავლაში, ხოლო მეორეს მხრივ, მოგცემთ გამოცდილებას, რათა შეიმუშავოთ კონკრეტული მეთოდიკა, რომელიც შემდგომ შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვა ადამიანების განკურნებისას.

გლოცავთ ჩემო ძვირფასებო და მიყვარხართ განუზომლად!
მამა აბსოლუტი საუბრობდა თქვენთან.

თქვენი სურვილების ასრულების ბურთი

სერაფიმე საროველის გზავნილი 2016 წლის 27 ნოემბერი

მოგესალმებით ჩემო ძვირფასეო ძველო სულებო!

დღეს მე მოვედი თქვენთან, რათა დაგეხმაროთ, რომ გაიაროთ თქვენს მეხუთე განზომილებაში მიმავალ სულიერ გაეზე კიდევ ერთი წინაღობა.

ახლა ძალიან მნიშვნელოვანი დროა, როდესაც თქვენ, დედამიწასთან ერთად, გადიხართ ახალ ვიბრაციულ წინაღობას, რომელიც გიხსნით სულიერი განვითარების წარმოუდგენელ შესაძლებლობებს.

თქვენ გაგიჩნდათ რეალური შანსი შეცვალოთ საკუთარი ცხოვრება, რადგანაც ახლა თქვენ შეგიძლიათ მისი ყველა მოვლენა აფორმიროთ საკუთარი აზრის ძალით და აავსოთ ის შესაბამისი ვიბრაციებით.

მე კი მოგიყვებით დღეს თუ როგორ უნდა გააკეთოთ ეს.

ავილოთ ასეთი მაგალითი. თქვენ ბოლოსდა ბოლოს გადაწყვიტეთ განახორციელოთ თქვენი დიდიხნის წინანდელი ოცნება – ადამიანებს გაუმხილოთ ამაღლების შესახებ ცოდნა რეგულარული სახით, თუმცა თქვენ არ იცით, თუ როგორ მიუდგეთ ამ საკითხს.

ამ შემთხვევაში კი თქვენ შეგიძლიათ გააკეთოთ შემდეგი.

მედიტაციურ მდგომარეობაში წარმოიდგინეთ დიდი, გამჭირვალე ბურთი, მის შიგნით კი თქვენი თავი. შეეცადეთ იგრძნოთ ის მდგომარეობა, რომელშიც იქნებოდით, თუ თქვენი ოცნება უკვე ასრულებული იქნებოდა.

ეს შეიძლება იყოს ბედნიერების, სიხარულის, მაღლიერების, კმაყოფილების, სიმშვიდის ან შინაგანი ჰარმონიის გრძნობა.

წარმოიდგინეთ თქვენი სახე, რომელიც ასხივებს ამ გრძნობებს. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ იგრძენით ეს მდგომარეობა სრულფასოვნად.

შემდგომ კი სთხოვეთ სამყაროს, ჩვენს შემოქმედსა და ყველა ზეციურ ძალას დაგეხმარონ, რომ საუკეთესო გზით განახორციელონ თქვენი ოცნება და აავსონ ეს გამჭირვალე ბურთი, რომლის შიგნითაც თქვენ ხართ, მაღალი ვიბრაციის ენერგიებით.

იგრძენით, თუ ღვთაებრივი ენერგია როგორ შედის ბურთში და თანდათანობით ავსებს მთელს მის სივრცეს, შემდგომ კი იწყებს თქვენს ავსებასაც და თქვენ იგრძნობთ მას თქვენი სხეულის ყველა უჯრედით.

შემდგომ კი წარმოიდგინეთ, თუ ეს ბურთი ნელ-ნელა როგორ ადის მაღლა და მიფრინავს ზეცაში მეხუთე განზომილების სივრცეში – სადაც ყველაფერი აზრის ძალით იქმნება, სადაც არ არსებობს რაიმე შეუძლებელი და სადაც ჯადოსნობა მეფობს.

იქ კი ის ივსება ამ ენერგიით თქვენთან ერთად, ხოლო შემდგომ ნელ-ნელა ეშვებით დაბლა დედამიწაზე იმისათვის, რომ თქვენი ოცნება ასრულდეს უკვე აქ, რადგანაც მეხუთე განზომილებიდან თქვენ ჯადოსნობაც მოიტანეთ.

ხოლო თქვენი ბურთი ამიერიდან არის ამ ღვთაებრივი ენერგიის საცავი, რომელიც ცხოვრებაში ანხორციელებს თქვენს მიერ ჩაფიქრებულ სურვილს. ის დაგეხმარებათ შეინარცუნოთ რწმენა იმის შესახებ, რომ ყველაფერი მოხდება შემოქმედის ნების მიხედვით და ყველასათვის სასიკეთო გზით.

დაე იყოს ასე, ჩემო ძვირფასებო!

სერაფიმე საროველი საუბრობდა თქვენთან ყველა ამაღლებული ოსტატის სახელით.

ენერგეტიკული დაცვა

მამა აბსლუტის გზავნილი 2017 წელი 17 აპრილი

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

დღეს მე მსურს მოგიყვებოთ იმის შესახებ, თუ როგორ დაიყენოთ საიმედო ენერგეტიკული დაცვა თქვენთვის ამ რთულ პერიოდში, როდესაც ბნელი ძალები ჩაერთვნენ ბოლო შერკინებაში ნათელ სულებთან, როგორც ზეცაში, ასევე დედამიწაზე.

ბევრმა თქვენგანმა უკვე გამოსცადა თავის თავზე მათი შეტევები, რომლებმაც დაადაბლეს არა მხოლოდ თქვენი ვიბრაციები, არამედ თვითშეფასებაც.

სწორედ ამის გაკეთებას ცდილობენ ისინი, რომ თქვენ საკუთარი თავების, საკუთარი ძალებისა და შესაძლებლობების რწმენა დაკარგოთ.

ჩემო ძვირფასებო, პირველი, თუ რაც უნდა გახსოვდეთ არის, რომ თქვენ არ უნდა გეშინოდეთ მათი. სინათლე ყოველთვის დაამარცხებს წყვდიად, იმ პირობით, თუ სინათლე იქნება მკვეთრი, თბილი, მოსიყვარულე და ჩაუქრობელი.

ის არ უნდა ციმციმებდეს და დროებითი გასხივოსნების სახით არ უნდა ნათღებოდეს მხოლოდ.

ის უნდა იყოს **მშვიდი, თანაბარი, საკუთარ თავში დარწმუნებული და მუდმივი.**

ასეთი სინათლის დამარცხება, დაფარვა ან ჩაქრობა არავის შეუძლია.

ეს უკვე იქნება **სინათლის მკვრივი კედელი**, რომელთან მიახლოება ბნელ ძალებს არ შეეძლებათ. მის განეიტრალებაზე ან გარღვევაზე კი აღარაფერს ვამბობ.

ხოლო თქვენ, ჩემო ძვირფასებო, როგორ უნდა ისწავლოთ ამ “კედელში” ცხოვრება? როგორ უნდა უზრუნველყოთ თქვენი საიმედო დაცვა?

პირველ რიგში: თქვენ არც კი უნდა იფიქროთ იმის შესახებ, რომ არსებობენ თქვენთვის მტრულად განწყობილი ბნელი ძალები, რათა არ მიიზიდოთ ისინი თქვენი აზრებით.

თქვენ შეიძლება შემეკითხოთ “როგორ არ ვიფიქროთ მათზე, თუ მათგან უნდა დავიცვათ თავები?”

თუმცა მერწმუნეთ: სწორედ ეს იქნება თქვენი მთავარი დაცვა თუ თქვენ მათ მიმართ ნეიტრალურად იქნებით განწყობილნი.

თქვენ უკვე იცით, ჩემო ძვირფასებო, რომ გარეგანი ყოველთვის ასახავს შინაგანს. ხოლო თუ თქვენს შიგნით არ იქნება რაიმე აზრი და ემოცია ბნელი ძალების მიმართ, ისინი უბრალოდ ვერ შეძლებენ თქვენთან მიზიდვას.

მეორეს მხრივ: შეეცადეთ თქვენი ცხოვრება ისე მოაწყოთ, რომ თქვენს გარშემო იყვნენ მხოლოდ თქვენთვის სულიერად ახლობელი ადამიანები, რათა არ აპროვოციროთ არასაჭირო უარყოფითი ემოციები. რომლებმაც შეიძლება მოიზიდონ ის არსებები, რომლებიც ამ ენერიებისგან იკვებებიან.

თუ თქვენ არ გაქვთ ასეთი შესაძლებლობა, თქვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენ მუდმივად იყოთ სიყვარულის არწივში (<https://vozrojdienesveta.com/posobie-po-perekhodu-v-pyatoe-izmerenie-8/>) რომელიც უნდა გააქტიუროთ ყოველდღიურად და შეინარჩუნოთ მთელი დღის განმავლობაში, რასაც მისი აზრობრივი გამოკვებით მოახერხებთ.

მესამეს მხრივ: ისწავლეთ ენერგეტიკული დაცვის “ჩაცმა” ისევე ბუნებრივად, როგორც თქვენ იცვამთ ტანისამოსს სახლიდან გასვლის წინ.

ამისათვის თქვენ უნდა წარმოიდგინოთ მაღალი ვიბრაციის ენერგიების მკვრივი ნაკადი ლენტის, სპირალის ან მკვრივი სხეულის სახით (როგორც ინტუიცია გიკარნახებთ) და “შემოიტაროთ” ის თქვენს გარშემო იმის მსგავსად, როგორც ინდოელი ქალები იცვამენ სარის: რამოდენიმე ფენად, მკვრივად და საიმედოდ.

ხოლო მისი მოქმედების გასაძლიერებლად, ეს უნდა გააკეთოთ საათის ისრის მიმართულებით. ხოლო შემდგომ არ დაივიწყოთ დღის განმავლობაში შეისწოროთ ეს “ტანისამოსი”, რათა ყოველთვის გამოიყურებოდეთ ლამაზად და დაცულად.

გადააქციეთ ეს, ჩემო ძვირფასებო, თქვენი ცხოვრების წესად, თქვენს სასიამოვნო ვალდებულებად, რომელიც დაგეხმარებათ იცხოვროთ მშვიდად, კონფორტულად, ჰარმონიულად და არ იფიქროთ რაიმე ცუდზე. ამასთან ერთად კი თქვენ დაიცავთ თქვენს თავებს თქვენს ენერგეტიკულ ველში უცხო ენერგიებისა და ემოციების შომოსვლისგან.

გლოცავთ და ძალიან მიყვარხართ!

მამა აბსოლუტი საბურობდა თქვენთან.

სამყაროს პირველშემოქმედის ენერგიის სფეროთი დაცვა

მამა აბსოლუტის გზავნილი 2018 წელი 22 ივნისი

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

იმისათვის, რომ დავასრულოთ სუბარი ზედა ასტრალის შუა დონეზე, მე მსურს გავჩერდე მის კიდევ ერთ განმასხვავებელ თავისებურებაზე.

რატომღაც, დიდწილად ეს გეხებათ იმათ, ვისაც გახსნილი გაქვთ ნატიფ სამყაროსთან ურთიერთქმედების არხი.

მე მსურს მოგცეთ კიდევ ერთი ინსტრუმენტი, რომელიც თქვენი “თანამოსაუბრის” ამოცნობაში დაგეხმარებათ.

მე მესმის, რომ განსაკუთრებით რთულია ამის გაკეთება მაშინ, როდესაც თქვენთან კავშირზე გამოდის ზედა ასტრალის არსება, რადგანაც იმათ რეალურად არ სურთ მოგაყენონ ზიანი, არამედ პირიქით ისწრაფიან დაგეხმარონ თქვენი ვიბრაციების აწევაში.

თუმცა, როგორც უკვე გითხარით, ამას აკეთებენ ისინი თავიანთი შესაძლებლობებისა და მიხედვით და თავიანთი გაგებით, თუ რა არის თქვენთვის საჭირო და სასარგებლო.

ამგვარად, ისინი ცდილობენ თქვენი სულის ჭეშმარიტი სურვილების შეცვლას თავიანთი ხედვით.

ხოლო, იმისათვის რომ არ მოხდეთ ამ მახეში, თქვენთვის აუცილებელია შეიმუშავოთ პირობითი ნიშნები თქვენ სულთან კონტაქტისას, რომელიც თქვენგან განსხვავებით შეუცდომლად განსაზღვრავს იმას, თუ ვინ დაეუფლა თქვენი კონტაქტის არხს.

როგორ შეგიძლიათ ამის გაკეთება?

უპიურველეს ყოვლისა, **თქვენ უნდა ისწავლოთ საიმედო დაცვის დაყენება** ყოველ ჯერზე, როდესაც იგრძნობთ, რომ ნატიფი დონიდან წამოვიდა ინფორმაცია.

ჩასვით თქვენი თავი შეულწევად სფეროში, რომელიც შედგება სამყაროს პირველშემოქმედის ენერგიისგან.

ეს არის მნათობი მოთეთრო-მოვერცხლისფრო ენერგია, რომელსაც მაღალი ვიბრაციები აქვს.

წარმოიდგინეთ, რომ მისი გარეგანი ზედაპირი სარკისებულია, ხოლო ეს სარკე შედგება უმარავი ღვთაებრივი ნაწილისგან.

ეს არის უპირობო სიყვარულის ენერგია, რომელიც სამყაროში ყველაზე ძლიერია.

უფრო უკეთესი იქნება, თუ ამ სფეროს დაატრიალებთ საათის ისრის მიმართულებით, რაც მრავალჯერ გააძლიერებს მის მოქმედებას.

სწორედ ის არის თქვენი მთავარი დაცვა, რომლის მიღმა ვერ შეაღწევენ ზედა ასტრალის არსებებიც კი იმიტომ, რომ თქვენ მათთვის უხილავები გახდებით.

როდესაც ამ სფეროში ხართ, თქვენ შემღებთ მიიზიდოთ მხოლოდ სამყაროს ზეციური ძალები, რომელთათვისაც ეს ენერგია არის მშობლიური, ანუ ამ სფეროს ზედაპირი მათთვის იქნება გამჭირვალე.

ხოლო, მხოლოდ იმის შემდგომ, რაც დაიყენებთ საიმედო დაცვას, სთხოვეთ თქვენს სულს, თუ ვის სურს თქვენთან საუბარი.

თუ თქვენ ყველაფერი სწორად გააკეთეთ და კავშირი დაამყარეთ თქვენს სულთან, ის შეუცდომლად გიპასუხებთ, თუ ვინ მოვიდა თქვენთან.

ხოლო თუ თქვენ არ იგრძნობთ პასუხს ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენი არხის გამოყენებას ცდილობდნენ ასტრალური არსებები, რომლებმაც შემდგომ დაგკარგეს, რადგანაც ასეთი მაღალი ვიბრაციის ენერგიებს ვერ გაუძლეს.

ბევრ თქვენგანს თავადაც შეუძლია იგრძნოს თქვენს ენერგეტიკულ სივრცეში სამყაროს ზეციური ძალების ყოფნა.

თქვენ აღივსებით მაღლით, ხოლო თქვენი ზედა ჩაკრები (მეექვსე და მეშვიდე) და ასევე გირჩისებრივ ჯირკვალის იქნება გამთბარი და ივიბრირებს.

ყოველ თქვენგანს ექნება საკუთარი შეგრძნება, მაგრამ აუცილებლად მეხუთე ჩაკრაზე ზემოთ.

ხოლო შემდგომ, თუ თქვენ არ დაგრჩებათ რაიმე ექვი იმაში, რომ თქვენთან საუბრობენ ნათელი ძალები, თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ გზავნილი ისე, როგორც ამის გაკეთებას ხართ შეჩვეული: დაწეროთ, ჩაიწეროთ დიქტაფონზე, ან უბრალოდ ისიამოვნოთ თქვენს ზეციურ დამხმარებებთან კონტაქტით.

გლოცავთ ჩემო ძვირფაებო!

მამა აბსოლუტი, რომელსაც განუზომლად უყვარხართ, საუბრობდა თქვენთან.

მზის ბატარეა

62

მამა აბსოლუტის გზავნილი 2019 წელი 1 აპრილი

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

დღეს ჩვენ ვისაუბრებთ იმის შესახებ, თუ როგორ აფაებთ საკუთარ წვლილს დედამიწის ამაღლების საქმეში.

მე ვხედავ, რომ ბევრი თქვენგანი მზად არ არის გააცნობიეროს ის ფაქტი, რომ თქვენ ხართ ამ პროცესის განუყოფელი ნაწილი.

თქვენ აქამდე გგონიათ, რომ ვიღაცა ძალიან ჭკვიანი, სულიერი და ამაღლებული დგას დედამიწის ამაღლების პროცესის სათავეში, მაგრამ თავად თქვენ აქამდე ვერ მიაღწიეთ და ხართ სულიერი გზის მხოლოდ დასაწყისში.

განსაკუთრებით ეს ეხება იმათ, ვინც ვერ გრძნობენ საკუთარ ჩაკრებს, ფიზიკურ დონეზე ვერ გრძნობენ მათ გავლით წამოსულ ენერგიას და ვერ გრძნობენ თავიანთი ცნობიერებით მეხუთე განზომილებაში გადასვლას, ყველაფერს, რაც ამაღლების შესახებ იციან, აღიქვამენ მხოლოდ რწმენის დონეზე, რადგანაც არ აქვთ ამის რაიმე “ნივთმტკიცება”.

სწორედ ასეთ ადამიანებს ეხება ჩემი დღევანდელი გზავნილი.

ჩემო ძვირფაებო იცოდეთ, რომ სწორედ თქვენ ხართ სულიერად იმდენად ძლიერები, რომ მიუხედავად თქვენი ნატიფ დონის ვერშეგრძნებისა, მაინც მიიმართებით მიზნისაკენ.

თქვენი ამაღლებისადმი რწმენა არც ბრმა და არც გიჟურია. ის დამყარებული თქვენი სულის მინიშნებებზე, რომელმაც შეძლო თქვენამდე თქვენი ინტუიციით მოწვევნა, რომელიც თქვენ სრულიად განვითარებული გაქვთ.

ახლა კი მე მსურს მოგცეთ ერთი რჩევა, რომელიც დაგეხმარებათ განვითაროთ თქვენი ნატიფი ორგანოები. ის დაგასაჩუქრებთ ასმაგად თქვენი რწმენისა და მოთმინებისათვის.

წამოიდგინეთ, თქვენი ყველა სხეული (ფიზიკურის ჩათვლით) როგორც მზის ბატარეა (პანელი), რომელიც მუდმივად იმუხება მზისგან, რომელშიც კონცენტრირებულია მაღალვოლტაჟული ღვთაებრივი ენერგიები.

წარმოიდგინეთ, რომ თქვენი “ბატარეა” არის მასთან მუდმივ კონტაქტში და უხილავი შემაერთებელი არხით შეუწყვეტლივ მოედინება ღვთაებრივი ენერგია.

ის აღავსებს ყველა თქვენს ჩაკრასა და ნატიფ სხეულებს თავისი სითბოთი, სინაზითა და მოსიყვარულე ენერგიით.

ის აღავსებს მთელს თქვენს არსს მეშვიდე ჩაკრიდან პირველ ჩაკრამდე და ჩადის დაბლა დედამიწის ბირთვში, და მიაქვს იქ თქვენი ენერგიის ნაწილიც.

ის აგავსებთ და ნელა ბრუნავს საათის ისრის მიმართულებით, თანდათანობით ზრდის ბგრუნვის რადიუსს, ხოლო თქვენი ნატიფი სხეულები ითვისებენ ამ ენერგიას და ივრცობიან სულ უფრო და უფრო მეტად და დიდ ზომას იღებენ.

თქვენ აგრეთვე გრძნობთ, რომ თქვენი ”მზის პანელი” დაიტენა იმდენად, რომ თქვენ შეგიძლიათ გაუნაწიოთ ეს ენერგია უკვე მთელს კაცობრიობას, მთელს პლანეტასა და მთელს სამყაროს...

მერწმუნეთ, ჩემო ძვირფასებო, ეს პრაქტიკა არ მოითხოვს რაიმე განსაკუთრებულ გარჯას ან სპეციალურ პირობებს.

თქვენ შეგიძლიათ გააკეთოთ ის სადაც გინდათ და როგორც გინდათ.

თქვენთვის მთავარია, რომ იგრძნოთ მზის ენერგიისგან აღვსება და იცოდეთ, რომ თქვენი “ბატარეა” არ დაჯდა.

თანდათანობით თქვენ იმდენად მიეჩვევით ამ გრძნობას, რომ აღარ შეგეძლებათ იცხოვროთ სხვაგვარიად – ენერგეტიკულ სიცარიელეში.

ხოლო, როდესაც თქვენი სხეულები შეეჩვევიან ამ ახალ მაღალვოლტაჟულ ენერგიებს, ისინი დაიწყებენ მათი დანიშნულებისა და მიხედვით გადანაწილებას. ისინი აავსებენ ყოველ თქვენს ჩაკრას იმ ენერგიით, რომლის მიღებისათვისაც იქნება ის მზად და თქვენა მას აუცილებლად იგრძნობთ.

შეეცადეთ, ჩემო ძვირფასებო, გააკეთოთ ეს მარტივი, მაგრამ ძალიან ეფექტური პრაქტიკა რაც შეიძლება ხშირად.

მამა აბსოლუტი, რომელსაც განუზომლად უვარხართ, საუბრობდა თქვენთან.

სიყვარულის დაცვითი სფერო

მამა აბსოლუტის გზავნილი 2019 წელი 25 სექტემბერი

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

სულიერი განვითარების ცენტრი “აღორძინება”

დღეს ჩვენ განვიხილავთ ადამიანის ფიზიკური სხეულის სინათლისებურ კრისტალურად ტრანსფორმაციის კიდევ ერთ ასპექტს.

საუბარი წავა მის შესაძლებლობაზე იარსებოს ერთდროულად ორ სამყაროში – მესამესა და მეხუთეში.

თუ ამაღლების გზაზე დამდგარი ადამიანის ცნობიერება უკვე ადაპტირდა ასეთ ძლიერ ვიბრაციულ ცვალებადობასთან და გამოიმუშავა დუალური სამყაროს ასეთი ნეგატიური ენერგიებისგან დაცვის საშუალება, თქვენს ახალ, ჯერ კიდევ გაუმყარებელ სინათლისებურ კრისტალურ სხეულს ჯერ კიდევ მოუწევს ამ დავალების შესრულება.

ახლა კი მოგიყვებით, თუ პირველ რიგში როგორი ნაბიჯები უნდა გადადგათ.

უპირველეს ყოვლისა, უნდა გააძლიეროთ თქვენი დაცვა და საკუთარი თავი მოათავსოთ (დილით და საღამოთი) სფეროში, რომელიც ავსებულია სამყაროს პირველშემოქმედის ენერგიით. დღის განმავლობაში კი შეამოწმეთ ხოლმე შესუსტდა თუ არა დაცვა ან წარმოიქმნა თუ არა მასში “ზვრელები”.

იმისათვის, რომ თქვენი დაცვა უფრო საიმედო გახდეს, თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ იგივე მეთოდი, რომელსაც ვიყენებდით პრაქტიკაში “ღვთაებრივი ქვეცნობიერი” (<https://vozrojdенийsveta.com/perekhod-v-pyatoe-izmerenie-bozhestvennoe-podsoznanie/>).

წარმოიდგინეთ, რომ დაცვითი სფეროს კედლები უფრო მკვრივი და უფრო ნათელია, ვიდრე ის ენერგია, რომლითაც თქვენი სფეროა არის ავსებული.

მათ გავლით ვერ შემოაღწევს გარეგანი სამყაროს ვერცერთი ნეგატიური ენერგია.

ხოლო, რაც შეეხება სამყაროს პირველშემოქმედის ენერგიას, მას ადვილად შეუძლია გაიაროს ამ მაღალვიბრაციული ბარიერის გავლით და აავსოს თქვენს ირგვლივ არსებული ენერგეტიკული სივრცე.

მერწმუნეთ ჩემო ძვირფასებო, ამ სფეროს მკვრივი გარსის ასეთი ორგანოგი ეფექტი ძალიან მოქმედია როგორც თქვენი დაცვისათვის, ასევე თქვენი გარემომცველი ადამიანების ენერგეტიკული სივრცისა და ცნობიერების გასაწმენდად.

თუმცა, იმისათვის, რომ მისი შესაძლებლობები სრულაიდ გამოვლინდეს, თქვენ უნდა გამოხატოთ მკვეთრი განზრახვა – აზრობრივად გააგზავნოთ მითითება მესამე განზომილების ენერგიების განეიტრალების შესახებ, რომლებშიც ჯერ კიდევ ცხოვრობთ.

ამ შემთხვევაში, როგორც უკვე ითქვა ჩემს წინა გზავნილში (<https://vozrojdенийsveta.com/perekhod-v-pyatoe-izmerenie-priglasenie-na-tanets/>), თქვენ გახდებით ნეგატიური ენერგიების მაღალვიბრაციულ მეხუთე განზომილების ენერგებად ტრანსფორმაციის “კატალიზატორები”.

ამისდა გარდა, როდესაც სამყაროს პირველშემოქმედის ენერგია გაივლის თქვენს დაცვით სფეროს გარსს, რომელიც წარმოადგენს მაღალვიბრაციული ღვთაებრივი სიყვარულის ენერგიის კონცენტრაციას, ის მიიღებს უფრო მეტ ძალასა და სიმძლავრეს, რისი წყალობითაც შეძლებს დიდი სივრცისა და მრავალი ადამიანის ცნობიერების მოცვას.

ამგვარად, თქვენ დაიცავთ თქვენს ახლად დაბადებულ სინათლისებურ კრისტალურ სხეულს და ამასთან ერთად დაეხმარებით მრავალ ადამიანს განვითარდნენ სულიერად.

საბოლოოდ კი მსურს მოგცეთ კიდევ ერთი რჩევა თქვენი ახალი სხეულის დასაცავად.

არასოდეს არ უთხრათ გაუთვითცნობიერებულ ადამიანებს იმის შესახებ, თუ რა ხდება თქვენს თავს.

ბოლო მომენტამდე საიდუმლოდ შეინახეთ ეს საკრალური ღვთაებრივი პროცესი, რომელიც თქვენი არსის გარდასახვას მოისაზრებს.

ექვებმა, დაცინვამ და ზოგჯერ გარემომცველი ადამიანების მხრიდან შურმა შეიძლება ნეგატიური ზეგავლენა იქონიოს თქვენს ცნობიერებაში და თქვენს ხეულში მომხდარ ცვლილებებზე.

ეს იმის მსგავსია, როდესაც ვიღაცას უზიარებთ თქვენს ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ გეგმებსა და ოცნებებს, თქვენ ჯერ კიდევ გაუმყარებელ ენერგეტიკულ კონსტრუქციაში უშვებთ უცხო ენერგიებს და ამით რისკავთ, რომ კრაზი განიცადოთ.

იგივე შეიძლება მოხდეს თქვენს ჯერ გაუმყარებელ ნატიფმატერიალურ სხეულისა და მეხუთე განზომილების ახალი ცნობიერების შემთხვევაში.

საკრალური ენერგეტიკული მუშაობა ყოვეთვის ითხოვს დაფარულობასა და სიმშვიდეს.

გახსოვდეთ ამის შესახებ ჩემო ძვირფასებო.

გლოცავთ და მიყვარხართ განუზომლად!

მამა აბსოლუტი საუბრობდა თქვენთან.

რატომ არ მუშაობს ენერგეტიკული დაცვა

65

მამა აბსოლუტის გზავნილი 2019 წელი 3 ნოემბერი

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

დღეს მე მსურს შევაჯამო ჩემი გზავნილები ენერგეტიკული სივრცის ტრანსფორმაციის შესახებ და გამოვყო მთავარი პუნქტები, რომლების შესახებაც ყოველთვის უნდა გახსოვდეთ.

დავიწყეთ თქვენი საკუთარი ენერგეტიკული სივრცის განწმენდით.

რა შეიძლება გახდეს მისი დაბინძურების მიზეზი?

პირველ რიგში: თქვენი აზრები და ფიქრები, რომლებსაც ნეგატიური ხასიათი აქვს.

ამიტომაც, ყოველ ჯერზე, როდესაც იგრძნობთ რომ ყველაფერი რიგზე არ არის, შეეცადეთ დისჰარმონიის მიზეზი იპოვოთ თქვენს თავებში.

ხოლო, როდესაც გამოავლენთ ამ მიზეზს, გადაითამაშეთ სიტუაცია და სთხოვეთ პატიება თქვენს თავსად და ყველა იმ ადამიანს, რომლებთანაც ნებსით თუ უნებლიედ “გაინაწილეთ” ეს ნეგატიური ენერგიები.

მეორეს მხრივ: სრულიად შესაძლებელია, რომ თქვენ დაგავიწყდეთ ენერგეტიკული დაცვა, რადგანაც გჯეროდათ, რომ თქვენი ვიბრაციები იმდენად მაღალია, რომ ვერ მიიზიდავდა რაიმე დაბალი ვიბრაციის ზნელ ენერგიას.

თუმცა, ჩემო ძვირფასებო, თქვენ ჯერ კიდევ ცხოვრობთ მესამე განზომილების სამყაროში და ყოველდღიურად თქვენს ცხოვრებაში ჩნდება განსხვავებული და მოულოდნელი სიტუაციები, რომლებზედაც თქვენ ჯერ კიდევ შეიძლება სპონტანურად, ინერციით ირეაგიროთ, რადგანაც ვერ მოახერხეთ თქვენი გაუცნობიერებელი რეაქციის შეკავება.

თუმცა, თუ თქვენ იქნებით სფეროს შიგნით, რომელიც აღვსებულია სამყაროს პირველშემოქმედის ენერგიით, თქვენ იქნებით დაცული როგორც შიგნიდან, ასევე გარედანაც.

ერთის მხრივ, თქვენ ნებას არ მისცემთ საკუთარ ნეგატიურ ენერგიას, რომ გამოვიდეს თქვენს გარემომცველ სივრცეში, ხოლო მეორეს მხრივ, ეს სფერო დაგიავთ უცხო ნეგატიური ენერგიებისგან, რომ ისინი არ შემოვიდნენ თქვენ ენერგეტიკულ ველში.

ეს მოხდება იმიტომ, რომ როდესაც გააცნობიერებთ თქვენს საკუთარ ნეგატიურ აზრებსა და ემოციებს, თქვენ შეძლებთ მაშინვე გაანეიტრალოთ ისინი ღვთაებრივი ენერგიებით, რომლებითაც ავსებულია თქვენი დაცვითი სფერო, ხოლო უცხო ნეგატიური ენერგიები, როდესაც ვერ იპოვიან რეზონანსს თქვენ ენერგეტიკულ ველში, ვერ შეძლებენ შეაღწიონ მის სარკისებულ კედლებში, ანუ ვერ გაარღვევენ თქვენს ნატიფ სხეულს.

მესამეს მხრივ: საკამოდ ხშირად თქვენს ახლობლებს (მეგობრებს, კოლეგებს, ოჯახის წევრებს, ერთი სიტყვით ისინი, ვისთანაც ხშირი ურთიერთობა გაქვთ) შეაქვთ თავაინთი “კორექტივები” თქვენს ენერგეტიკულ სივრცეში.

ამასთან ერთად, მნიშვნელობა არ აქვს, ისინი თქვენს გვერდი არიან ფიზიკურად, თუ დაშორებით, რადგანაც აზრებისა და ემოციებისათვის არ არსებობს დაშორება.

რადგანაც თქვენი ახლობლები თქვენს მიერ არ აღიქმებიან “უცხოებად”, რომლებსაც თქვენთვის ზიანის მოყენება შეუძლიათ, თქვენ ქვეცნობიერულად არ იკეტებით მათგან და ამიტომაც ისინი ადვილად იჭრებიან თქვენს ენერგეტიკულ ველში.

ამგვარად, თქვენი დაცვა არ მუშაობს და მათი კონტროლის, განსჯის, მღელვარებისა და შიშის ენერგიები აღწევენ თქვენი ენერგეტიკული დაცვის კედლებში, რაც ზეგავლენას ახდენს თქვენს ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობაზე.

ეს ხდება იმ მარტივი მიზეზისდა გამო, რომ თქვენი ახლობლები და ნათესავები არიან თქვენთან ერთ ენერგეტიკულ სივრცეში და მათსა და საკუთარ თავ შორის “გამყოფი ხასის” გავლება ყველას არ გამოსდის.

განსაკუთრებით რთულია, როდესაც ურთიერთობა ჭეშმარიტად კარგია და თქვენ გაკავშირებთ არა მხოლოდ ნათესაობა, არამედ სულიერი სიახლოვეც.

თუმცა, ჩემო ძვირფასებო, ამ შემთხვევაშიც მოგიწევთ დაიცვათ ენერგეტიკული “ჰიგიენა”, რადგანაც ყველაზე ახლობელი ადამიანიც კი არის ცალკე აღებული “სამყარო” და მისი სულის საიდუმლოებები თქვენთვის ბოლომდე მაინც არ იქნება ცნობილი.

ამიტომაც მე გირჩევთ, რომ არ უგულვებელყოთ პრაქტიკა “ოქროს მაკრატელი” (<https://vozrojdeniesveta.com/perekhod-v-pyatoe-izmerenie-zolotyie-nozhnitsy/>) და გადაჭრათ ყველაენერგეტიკული მიჯაჭვულობა, რაც დაგეხმარებათ დაიცვათ თავი ზედმეტი

“ზრუნვისგან” თქვენი ახლობლების მხრიდან, რომელიც თქვენთვის ზოგჯერ ენერგეტიკულ “ტყვეობად” იქცევა.

ამაზე გავჩერდებით დღეს.

მამა აბსოლუტი, რომელსაც განუზომლად უყვარხართ, საუბრობდა თქვენთან.

ამაღლების ენერგიის ნათელი

მამა აბსოლუტის გზავნილი 26 ივნისი 2020 წელი

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

დღეს მე მსურს გასწავლოთ კიდეც ერთი პრაქტიკა, რომელიც დაგეხმარებათ უფრო გაცნობიერებულად შეხედოთ იმას, რაც თქვენს გარშემო ხდება.

ახლა ძალიან მნიშვნელოვანია, რომ არა მხოლოდ ადევნოთ თვალყური მსოფლიოს მოვლენებს, რომლებიც სულ უფრო და უფრო სწრაფად ვითარდება, არამედ დაეხმაროთ მას საჭირო მიმართულებით რომ განვითარდეს.

როგორც უკვე მიხვდით, სიტუაცია, რომელიც ბოლო დროს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში არსებობს, მიდის აბსურდამდე და ეს აიხსნება იმით, რომ ბნელი ძალები, რომელთა ინტერესიც ემთხვევა მმართველი ელიტის ინტერესებს, იბრძვიან ყოველი გამოდვიმებული სულის ხელებში ჩასაგდებად.

რაში გამოიხატება ეს?

როგორც კი ადამიანში გაიელვებს ექვები, გაღიზიანება ან საკუთარი თავის რწმენა შემცირდება, ასტრალური არსებები, რომლებიც თვალყურს ადევნებენ ადამიანის ემოციონალურ მდგომარეობას და მისი ქმედების ყველა ნიუანსს, ცდილობენ ყველა ხერხით “გააღვივონ” ნეგატიური ენერგიების ეს პატარა “ნაპერწკლები” და აქციონ ნამდვილ “კოცონად”. ამას იმიტომ აკეთებენ, რათა “მოწამლონ” ადამიანის ცნობიერება და სულიერი გზიდან გადაახვევინონ.

ამაში განსაკუთრებით ეხმარება მათ მასმედია, რაც ხელს უწყობს ფიზიკურ (აზრობრივ) აღვსებას და ეხმარება ბნელი ძალების ენერგეტიკულ მუშაობას. ისინი ცდილობენ ყველა შესაძლო გზით დაფარონ ადამიანებისგან სიმართლე იმის შესახებ, თუ რაც ხდება რეალურად და დააბრუნონ ადამიანები უკან ბრბოში, რომლის მართვაც ასე იოლია.

თქვენ კი ასე შეგეძლებათ ამ ზემოქმედებისგან თავის დაცვა.

შეეჩვიეთ, რომ გააკეთოთ შემდგომი პრაქტიკა ყოველ ჯერზე, როდესაც გრძნობთ, რომ თქვენზე მოდის ენერგეტიკლი შეტევა თქვენი ახლობლებისგან, ნაცნობებისგან ან მასმედიისგან, ასეთი ზემოქმედების ნიშანი ისაა, რომ რაიმეში თქვენი ღრმა რწმენა შეირყა, ხოლო სულში გრძნობთ ექვებს, მაგრამ ინტუიციურად ხვდებით, რომ ეს ფიქრები თქვენი არაა.

სწორედ ამ დროს მოუხმეთ ამაღლების ენერგეცა. სთხოვეთ მას “გაანათოს” თქვენი ცნობიერება, გაწმინდოს ის შემოჭრილი უცხო პროგრამებისაგან.

წარმოიდგინეთ, თუ როგორ შემოდის ის თქვენს სხეულში გვირგვინოვანი ჩაკრის გავლით, ავსებს მას სითბოთი და შემდეგ ეშვება ქვემოთ. ის ავსებს ასეთივე სითბოთი

სულიერი განვითარების ცენტრი “აღორძინება”

თქვენს მეექვსე ჩაკრას და ეპიფიზს. თქვენი “ოქროს სამკუთხედი” თბება და პულსაციას იწყებს. თქვენი ვიბრაციები იწვევს იმ სიმაღლეზე, სადაც ნეგატიური ენერგიები და მესამე განზომილების პროგრამები ვერ მისწვდება. თქვენ შეგიძლიათ დაატრიალოთ ენერგიის ნაკადი საათის ისრის მიმართულებით და სულ უფრო და უფრო გაზარდოთ მოქმედების რადიუსი.

ეს დაგიცავთ არა მხოლოდ თქვენ არამედ თქვენს გარემოცვასაც ნეგატიური ენერგიებისგან, რომელიც მოედინება მგალითად ტელევიზორის ეკრანიდან ან ადამიანებისგან, რომლებიც ცდილობენ ჩაგითრიონ ნეგატიური ხასიათის საუბარში.

ეს პრაქტიკა, რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ “ამაღლების ენერგიის ნათელი”, არის დედამიწაზე ღვთაებრივი ენერგიის “დამიწება” თქვენი ცნობიერების გავლით. მერწმუნეთ, ჩემო ძვირფასებო, რომ ეს პრაქტიკა ძალიან ეფექტურია და შეუძლია თქვენი გავლით ადამიანების კოლექტიურ ცნობიერებაზე იქონეოს ზეგავლენა, რომელსაც ძალიან სჭირდება გამოღვიძებაში დახმარება, რადგანაც დედამიწის ამაღლების პროცესი სრული ტემპით მიმდინარეობს.

გლოცავთ, ჩემო ძვირფასებო, და მიყვარხართ განუზომლად!

მამა აბსოლუტი საუბრობდა თქვენთან.

სამყაროს სიყვარულის ცეცხლის ფილტრი

მამა აბსოლუტის გზავნილი 25 ივლისი 2020 წელი

68

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

დღეს მე მოგიყვებით, თუ როგორ დაიყენოთ დაცვა არა მხოლოდ ნეგატიური ხასიათის ინფორმაციისგან, არამედ მის მიმართ თქვენი გარემოცვის კრიტიკული განწყობისგანაც.

ყოველ ჯერზე მანამ, სანამ ჩართავთ ვიდეოს ან გახსნით სტატიას, რომელიც მსოფლიო მმართველობის დანაშაულებებსა და კორონავირუსთან დაკავშირებულ მოვლენებს აშკარავებს, თქვენთვის აუცილებელი დაიყენოთ **ენერგეტიკული დაცვა სამყაროს სიყვარულის ცეცხლით** და სთხოვოთ სამყაროს ზეციურ ძალებს დაგეხმარონ მშვიდად და გაწონასწორებულად რომ მიიღოთ მათში არსებული ინფორმაცია, რათა სასურველ დონეზე შეინარჩუნოთ ვიბრაციები.

ეს დაცვა ცოტათი განსხვავებული იქნება იმათგან, რომლებსა შეეჩვიეთ.

ამჯერად, ენერგეტიკული გარსი, რომელშიც საკუთარი თავი უნდა მოათავსოთ, უნდა შედგებოდეს მცირე უჯრედებისგან (ან გისოსებისგან), რომელთა გავლით გაიფილტრება თქვენთვის საჭირო ინფორმაცია სუფთა სახით და დაიბლოკება ის, რაც ატარებს ძალიან მძიმე და ნეგატიურ ენერგიებს.

წარმოიდგინეთ, მაგალითად ჩაის გამფილტრავი, რომელიც ფილტრავს ჩაის ფოთლებს და თქვენ იღებთ სუფთა და არომატულ სასმელს.

დაე ყველა აღმაშფოთებელი დეტალი, რომელიც შეიცავს ნეგატიურ ენერგიებს, დარჩეს ამ გისოსებზე, არ შეაღწიოს თქვენი ცნობიერების სიღრმეში და მასში დარჩეს

მხოლოდ მომხდარის არსი, რაც აუცილებელია თქვენი შემდგომი პრაქტიკული მუშაობისათვის.

თუმცა, ნაკლებად მნიშვნელოვანი არ არის დაცვა მომხდარის მიმართ კრიტიკული განწყობისგანაც, რომელიც თქვენ ან თქვენი ახლობლებისა და მეგობრების მხრიდან ჩდნება.

თუ მესამე განზომილებაში ნებისმიერ ნეგატიურ მოვლენაზე ადამიანების მხრიდან კრიტიკა არის ბუნებრივი რეაქცია და შეიცავს არა ნაკლებ ნეგატიურ ენერგიებს (შიშის, ბრაზის, აგრესიისა და განსჯის სახით), თქვენ, როგორც სულიერად განვითარებულმა არსებებმა, უკვე აღარ შეგიძლით თავს ასეთი ემოციების გამოფრქვევის უფლება მისცეთ.

თავდაპირველად, თქვენ უნდა ისწავლოთ ხელშეუხებლად შეინარჩუნოთ თქვენი ენერგეტიკული სივრცე ამ ცხელი თემებზე საუბრებისას.

გამოიყენეთ იგივე გისოსებიანი სფერო, რომელიც ამჯერად იქნება ორმხრივი ფილტრი. ის არ შემოუშვებს თქვენს ენერგეტიკულ სივრცეში ნეგატიურ ენერგიებს, რომელსაც თქვენი თანამოსაუბრე ასხივებს და ამასთან ერთად, ის დაიცავს მას, რომ თქვენგან არ დაუბრუნდეს ნეგატიური ენერგიები.

ამ სფეროსა და სარკისებული ზედაპირის სფეროს შორის განსხვავება ისაა, რომ უკანასკნელი არ იცავს სხვას თქვენგან გასული ნეგატიური ენერგიებისგან.

თუმცა, თუ სფერო შედგება მცირე გისოსებისგან, რომლებიც იჭერს და ანეიტრალებს ნეგატიური ენერგიების “მსხვილ ნაწილაკებს”, თქვენ და თქვენი თანამოსაუბრე არ მიიღებთ ამ ენერგიების “ზედმეტ დოზას” და საუბარი ჩაივლის უფრო რბული და დადებითი კუთხით, ზედმეტი ემოციებისა და ვნებების გარეშე.

იმისათვის, რომ თქვენი დაცვის დადებითი ეფექტი გააძლიეროთ, აავსეთ თქვენი სფერო ამაღლების ენერგიით, რომლისათვისაც არ არსებობს წინაღობა და რომელიც იცირკულირებს არა მხოლოდ თქვენი სფეროს შიგნით, არამედ მისი საზღვრების გარეთაც. ის განწმენდს თქვენს გარემომცველ სივრცესა და ადამიანებს.

მე დარწმუნებული ვარ, ჩემო ძვირფასებო, რომ სწრაფად აითვისებთ დაცვის ამ ახალ მეთოდს და იგრძნობთ მის უპირატესობას არა მხოლოდ თქვენთვის, არამედ თქვენი ახლობლებისათვისაც.

გლოცავთ და მიყვარხართ განუზომლად!

მამა აბსოლუტი საუბრობდა თქვენთან.

ენერგეტიკული კასკადი

მამა აბსოლუტის გზავნილი 21 ოქტომბერი 2020 წელი

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

სულიერი განვითარების ცენტრი “აღორძინება”

ჩვენ გავაგრძელებთ საუბარს იმის შესახებ, თუ როგორ შეგიძლიათ გამოიყენოთ ახალი მაღალვიზიონული ენერგიები თქვენი ინტუიციის განსავითარებლად.

მე გასწავლით ამ ენერგიების გადანაწილებას იმგვარად, რომ მათ მოუტანონ მაქსიმალური სიკეთე თქვენ ცნობიერებასა და სხეულს და გარდაქმნან ისინი ღმერთკაცის დონემდე.

დავიწყოთ იქიდან, რომ თქვენ რაც შეიძლება ხშირად უნდა მოუხმოთ **სამყაროს პირველშემოქმედის ენერგიას, რომელიც არი მეხუთე განზომილების ენერგია.**

თქვენ შეგიძლიათ გააკეთოთ ენ ნებისმიერ მომენტში და სადაც გსურთ.

მნიშვნელოვანია იგრძნოთ, თუ ეს ენერგია როგორ ჩამოედინება თქვენი მეშვიდე ჩაკრის გავლით.

ხოლო ამ მომენტში, როდესაც ის შეეხება თქვენ ენერგეტიკულ ველს, თქვენ შეგიძლიათ გააკეთოთ შემდგომი.

აზრობრივად შეაჩერეთ ეს ნაკადი და მიმართეთ ის თქვენს მესამე თვალსა და გირჩისებრივ ჯირკვალში.

სთხოვეთ ამ ცოცხალ, გონიერსა და ღვთაებრივ ენერგიას თავიდან აავსოს თქვენი ზედა ჩაკრები (თქვენი “ოქროს სამკუთხედი”) იმისათვის, რომ ისინი გახდნენ ქვედა ჩაკრების მაქსიმალურად გააქტიურების “გამშვები მექანიზმი”.

ამგვარად, როდესაც ეს ენერგია შეეხება თქვენს ღვთაებრივ ასპექტს, რომელსაც წარმოადგენს თქვენი მეშვიდე და მეექვსე ჩაკრები და ასევე გირჩისებრივ ჯირკვალი, ის მიიღებს უკვე ახალ ხასიათს.

ის გახდება უფრო კონცენტრირებული და უფრო “დამიწებული” ხოლო როდესაც ის დაბლა ჩავა, ის არ გაივლის თქვენს სხეულებს ტრანზიტად, არამედ ის ნელ-ნელა ჩავა დაბლა და ყველა თქვენი ჩაკრა მიიღებს მისთვის საჭირო ენერგიას.

ეს ხდება იმის გამო, რომ როდესაც ის შეეხება და შეერწყმება თქვენს ზედა ჩაკრებს, სამყაროს პირველშემოქმედის ენერგია ხდება ნაკლებად გაიშვიათებული, რადგანაც მესამე განზომილებაში მყოფი ადამიანის ზედა ჩაკრების ენერგიაც არის ჯერ კიდევ საკმაოდ მკვრივი მეხუთე განზომილების სუფთა ენერგიასთან შედარებით.

თუმცა, ადამიანის ქვედა ჩაკრებისათვის შეცვლილი სამაროს პირველშემოქმედის ენერგია მაინც მაღალვიზიონული იქნება და შეძლებს დადებითად იმოქმედოს მათზე.

ამგვარად, ეს პრაქტიკა დაგეხმარებათ თანდათანობით “აქაჩოთ” თქვენი ქვედა ჩაკრები და ნატიფი სხეულები თქვენი ზედა ჩაკრებისა და სხეულების დონემდე.

ამიტომაც თქვენთვის აუცილებელია გათვითცნობიერებულად მართოთ მეხუთე განზომილების ენერგიის ნაკადები.

პრაქტიკაში ეს შეიძლება შემდეგნაირად მოხდეს.

როდესაც მოუხმობთ სამყაროს პირველშემოქმედის ენერგიას და იგრძნობთ, თუ როგორ იწყებს ის თქვენი მეშვიდე ჩაკრიდან ჩამოსვლას, სთხოვეთ მას ჯერ აავსოს თქვენი მეშვიდე და მეექვსე ჩაკრები და ასევე გირჩისებრივ ჯირკვალი.

როდესაც ამ ენერგიის კონცენტრაციას იგრძნობთ თქვენს თავში (“ოქროს სამკუთხედის” ირგვლივ), სთხოვეთ მას თანმიმდევრულად ჩავიდეს ქვემოთ, აავსოს თქვენი ქვედა ჩაკრები და შესაბამისი ნატიფი სხეულები, რათა გაანეიტრალოს მათში დარჩენილი მესამე განზომილების პროგრამებს და ამგვარად გადააღვთაებრივოს

თქვენი ცნობიერება, ხოლო ფიზიკური სხეულები გარდაქმნას სინათლისებურ კრისტალურად.

დააკვირდით თქვენს შეგრძნებებს.

ჩვენ აუცილებლად იგრძნობთ მთელს თქვენს არსში მომხდარ ენერგეტიკულ პროცესებს, რომლებიც ფიზიკურ დონეზე ყველას განსხვავებულად შეიძლება გამოუვლინდეს.

ამგვარად, ჩემო ძვირფასებო, თქვენ დაეხმარებით არა მხოლოდ თქვენს თავებს, არამედ მთელს კაცობრიობას, რომ თანდათანობით განთავისუფლდეს მემსამე განზომილების პროგრამებისგან იმიტომ, რომ ყოველი თქვენგანი არის მისი განუყოფელი ნაწილი, ანუ მისი კოლექტიური ცნობიერების წევრიც.

გლოცავთ და მიყვარხართ განუზომლად!

მამა აბსოლუტი საუბრობდა თქვენთან.

ენერგეტიკული დამუხტვა

მამა აბსოლუტის გზავნილი 8 მაისი 2021 წელი

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

ამრიგად, იმის შემდგომ, რაც ჩვენ დაწვრილებით განვიხილეთ თანამედროვე მედიცინის ყველა ასპექტი, მე მსურს დავიწყო მომავლის მედიცინის ერთგვარი შესავალი კურსი.

საუბარი წავა გარდამავალი პერიოდის მედიცინის შესახებ, როდესაც ბევრი თქვენგანი ცნობიერებით უკვე მეხუთე განზომილებას იქნებიან, თუმცა თქვენს სხეულებს ჯერ კიდევ არ ექნებათ მისთვის ჩვეული პარამეტრები.

ჩვენ უკვე ბევრი ვისაუბრეთ სინათლისებურ კრისტალური სხეულების თავისებურებებზე, რომლებსაც თქვენ შეცვლით საკუთარი აზრისა და განზრახვის ძალით.

თუმცა, იქამდე, სანამ ეს მოხდება, თქვენ მოგიწევთ გაიაროთ საკუთარი ფიზიკური სხეულების ტრანსფორმაციის რამოდენიმე ეტაპი.

ახლა კი მოვიდა დრო დაწვრილებით განვიხილოთ ყოველი მათგანი.

პირველი ეტაპი გახდება თქვენს სხეულებთან ენერგეტიკული ურთიერთქმედება როგორც მთლიანად, ასევე ცაკლე აღებულ ორგანოების შემთხვევაში იმ შემთხვევისათვის, თუ იგრძნობთ, რომ რომელიმე მათგანი არ არის წესრიგში.

ახლა კი მოგვემთ პრაქტიკას, რომლის მიზანიცაა თქვენი ფიზიკური სხეულის აღდგენა რთული დღის შემდგომ, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ დაღლილობის მოსახსნელად.

დავარქვათ ამ პრაქტიკას “ენერგეტიკული დამუხტვა”.

დასაწყისში, მანამ, სანამ არ დაეუფლებით მას იმ დონებმდე, რომ თქვენ შეძლებთ თქვენი სხეულების “დამუხტვას” რამოდენიმე წუთში, თქვენ უნდა გააკეთოთ ის მედიტაციურ მდგომარეობაში.

როგორც ყოველთვის, მოუხმეთ თქვენს ზეციურ დამხმარეებს და შედით ღრმა მედიტაციურ მდგომარეობაში.

დაიწყეთ მუშაობა თქვენი ნატიფი სხეულების უცხო ენერგიებისგან განწმენდის შესახებ, რომლებიც შეიძლება შემოსულიყვნენ დღის განმავლობაში სხვადასხვა ადამიანებთან ურთიერთქმედების დროს ან იმ ადგილებში სტუმრობისგან, სადაც დაბალი ვიბრაციის ენერგიები მეფობენ.

ამისათვის მოუხმეთ სამყაროს სიყვარულის ცეცხლს და სთხოვეთ მას ზედმიწევნით დაასკანიროს თქვენი ნატიფი სხეულების სივრცე და გაანეიტრალოს მათში დაგროვილი ნეგატიური ენერგიები.

იგრძენით ეს მუშაობა და მთელი გულით გადაუხადეთ მადლობა მას ამისათვის.

უკვე ამ ეტაპზე, თქვენ იგრძნობთ თქვენი მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, რადგანაც თქვენი მხრებიდან მოიხსნება სხვების პრობლემებისა და ენერგიების “ტვირთი” და თქვენ დაგრჩებათ მხოლოდ მოაწესრიგოთ თქვენი ნატიფი სხეულები, ანუ მიიყვანოთ ისინი ბალანსის მდგომარეობაში, რომელიც მათ დაკარგეს რადგანაც დაბალვიბრაციულ სივრცეში მოხვდნენ.

ამისათვის, თქვენ რაც შეიძლება მკვეთრად უნდა წარმოიდგინოთ თქვენი ნატიფი სხეულები და იგრძნოთ მათი პულსაცია.

შემდგომ ნებისყოფის ძალით გაათანაბრეთ ისინი, შეასწორეთ ისინი დაჭიმული იალქნების მსგავსად და მიეცით მათ ერთნაირი რიტმი, რომელიც თქვენთვის ყველაზე კონფორტული იქნება.

იგრძნეით, თუ თქვენი ნატიფი სხეულები, ფიზიკურის ჩათვლით, როგორ ვიბრირებენ ერთ რიტმში.

ხოლო, მხოლოდ ამის შემდგომ მუხმეთ ამაღლების ენერგიას და სთხოვეთ მისცეს მან ჰაეროვნება თქვენს ნატიფ სხეულებს და მაქსიმალურად გაავრცოს ისინი.

შეეცადეთ თქვენი შინაგანი ხედვით დაინახოთ, თუ როგორ ივრცობიან ისინი და იზრდებიან ზომამში...

მათ უკვე აავსეს მთელი ოთახი, მთელი სახლი, და მთელი ქალაქი...

მათ უკვე გაახწიეს თქვენი ქვეყნის, პლანეტისა და გალაქტიკის ფარგლებს...

მათ მოიცვეს მთელი სამყარო, რომელსაც თქვენ შეერწყით...

თქვენ ხდებით მასთან ერთი მთლიანი...

თქვენ გრძნობთ წარმუდგენელ სისმუბუქეს, უწონობასა და ფრენას...

ხოლო, როდესაც მედიტაციიდან გამოხვალთ, შეეცადეთ რაც შეიძლება დიდი ხნის განმავლობაში შეინარჩუნოთ ეს მდგომარეობა.

თანდათანობით, პრაქტიკასთან ერთად, თქვენ ისწავლით ამ მდგომარეობაში სწრაფად შესვლას რაც დაგეხმარებათ რამოდენიმე წუთში მოიხსნათ დაგროვილი დადლილობა და ფიზიკური დისკონფორტი.

სამყაროსეული პლაზმის ენერგია

მამა აბსოლუტის გზავნილი 10 მაისი 2021 წელი

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

მოდით გავაგრძელოთ თქვენი და თქვენი სხეულის (მისი სისტემებისა და ცალკეული ორგანოების) ენერგეტიკული ურთიერთქმედების თემა.

თუმცა, მანამდე მე მუსრს მოგცეთ ახლი ენერგია, რომელსაც ადამიანები ფართოდ გამოიყენებენ, როდესაც მათი ვიბრაციები გაიზრდება.

საუბარი წავა სამყაროსეული პლაზმის ენერგიაზე.

რითი განსხვავდება ის სხვა ენერგიებისგან, რომლებიც ადრე მოგეცით?

უპირველეს ყოვლისა თავისი შემადგენლობით.

ვიბრაციულად ეს ენერგია ახლოს არი ამაღლების ენერგიასთან, თუმცა მისგან განსხვავებით ის არ არის მისნაირი მსუბუქი და ჰაეროვანი.

მას სხვა სიმკვრივე აქვს და აიხსნება ეს იმით, რომ ის შეიცავს სამყაროს ცეცხლოვან ნაწილაებს, რომელთა შემადგენლობაშიც არის დიდებული ცენტრალური მზის ენერგია.

თუ ამაღლების ენერგია პირობითად შეგვიძლია მივაკუთნოთ ჰაერის სტიქიას, სამყაროსეული პლაზმის ენერგია არის ცეცხლის სტიქიის.

ამიტომაც, ზემოქმედება, რომელსაც ის ახორციელებს თქვენს ორგანიზმზე, იქნება უფრო შერგრძნობითი როგორც ენერგეტიკულად, ასევე ფიზიკურადაც.

ამგვარად, თუ სინათლისა და სიყვარულის, სამყაროს პირველშემოქმედისა და ამაღლების ენერგიები მსუბუქად ზემოქმედებენ თქვენს სხეულებზე და ამუშავებენ მათ ნატიფ, ღრმა დონეზე, სამყაროსეული პლაზმის ენერგია “წვავს” იმ ადგილებს, რომლებსაც სჭირდებათ განკურნება, შედეგად კი მისი მუშაობის შედეგები ფიზიკურ დონეზე უფრო სწრაფად ვლინდება ფიდრე უფრო ნატიფი ენერგიებისა.

თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სხვა ენერგიები ნაკლებად მოქმედები არიან. უბრალოდ, ყოველ მათგანს საკუთარი სპეციფიკა და მოვალეობა აქვს.

ხოლო, რაც შეეხება სამყაროსეული პლაზმის ენერგიას, მისი ზემოქმედების ძალა შეგვიძლია შევადაროთ ქირურგს სკალპელს, რომელიც გამბედავად ამოებს დეფექტებს თქვენი სხეულიდან.

თუმცა, ფიზიკური (თანამდროვე სამედიცინო მეთოდებით) ზემოქმედებისგან განსხვავებით, ის ზემოქმედებს მასზე უჯრედულ დონეზე.

როდესაც უხმობთ ამ ენერგიას და სთხოვთ ამა თუ იმ ორგანოს განკურნებას ის იწყებს მის ზედმიწევნით სკანირებას და გადრაქმნის ავადმყოფ უჯრედებს ჯანმრთელად.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის ცვლის დაზიანებული უჯრედების სტრუქტურას და ათანაბრებს მათ დანარჩენებთან (ჯანმრთელ უჯრედებთან), რითიც აპარმონიზირებს ამა თუ იმ ორგანოს მუშაობას.

რატომ გიყვებით ამ ენერგიის შესახებ მხოლოდ ახლა?

საქმე ისაა, რომ მასთან მუშაობა ყველას არ შეუძლია, არამედ მხოლოდ იმათ, ვისი ცნობიერებაც ამისათვის მზადაა და ვისი ვიბრაციებიც ამის საშუალებას იძლევა.

ხოლო, რადგანაც სამყაროსეული პლაზმის ენერგია, როგორც ყველა სხვა ღვთაებები ენერგია, ფლობს საკუთარ ცნობიერებას, ის შეიძლება გამოეხმაუროს

მხოლოდ მათ, ვინც შეძლებს მის მიზიდვას ვიბრაციებისა და მიხედვით (მსგავსი იზიდავს მსგავსს).

ნუ დაღონდებით, ჩემო ძვირფასო, თუ თქვენ ჯერ მზად არ იქნებით ამ ენერგიასთან მუშაობისათვის.

ყველაფერს თავისი დრო აქვს და ანუ თქვენ გაქვთ მიზანი, რისკენაც შეგიძლიათ მიისწრაფოდეთ და თქვენს სულიერ მუშაობას გამოუჩნდება კიდევ ერთი სტიმული – ახალი დაუბყრობელი “მწვერმავალი”.

შემდეგ ჩემს გზავნილში კი მოგიყვებით ამ ენერგიასთან მუშაობის ყველა დეტალის შესახებ.

მამა აბსოლუტი, რომელსაც განუზომლად უყვარხართ, საუბრობდა თქვენთან.

პლაზმური სხივი

მამა აბსოლუტის გზავნილი 11 მაისი 2021 წელი

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

ამრიგად, გავაგრძელოთ საუბარი სამყაროსეული პლაზმის ენერგიის შესახებ და მოგიყვებით როგორ და რომელ შემთხვევებში უნდა გამოიყენოთ ის.

პრინციპში ეს ენერგია უნივერსალურია და აქვს მოქმედების დიდი სპექტრი.

ხოლო იმისათვის, რომ მისი გამოყენება ისწავლოთ და რაც მთავარია საკუთარი წამრატების რწმენა გაგიზარდოთ, მე გთავაზობთ დაიწყოთ მცირეთი, რათა დაინახოთ მისი მუშაობის შედეგები.

დაიწყეთ იქიდან, რომ მაგალითად მოიმოროთ თქვენი კანიდან მცირე დეფექტები, რომლებიც ალბათ ყველა თქვენგანს მოეძებნება.

ხოლო, რადგანაც მოცემულ მომენტში განიხილება წერტილვოვანი მუშაობა, თქვენ უნდა ისწავლოთ ამ ენერგიის “კონად” შეკვრა და შემდგომ მიმართოთ ის კანის დაზიანებულ ნაწილას.

აი როგორ შეიძლება მოხდეს ეს პრაქტიკაში.

მოუხმეთ თქვენს ზეციურ მფარველებს და შედით მედიტაციურ მდგომარეობაში, სთხოვეთ სამყაროსეული პლაზმის ენერგიას განკურნოს კანის მოცემული ნაწილი და მისცეს მას თავდაპირველი სისუფთავე.

თუ თქვენ ენერგიებთან მუშაობას ხელებით შეეჩვიეთ, მაშინ შეგიძლიათ მიუშვიროთ ამ ადგილას თქვენი ხელის გულები თქვენთვის კონფორტულ დისტანციაზე ან მიადოთ ხელი მოცემულ ადგილას.

მაშინ კი როდესაც სამყაროსეული პლაზმის ენერგია გაივლის თქვენი ხელების გავლით, ის გარდაიქმება მათ ერთგვარ გაგრძელებად და როდესაც მიაღწევს კანის ნაწილს ფოკუსირდება ნატიფი ენერგეტიკული სხივის სახით.

ხოლო იმას, ვისაც ენერგიებთან მუშაობის უნარები არ აქვს, შეუძლია ვიზუალურად წარმოიდგინოს სამყაროსეული პლაზმის ენერგია, თუ როგორ მოდის ის თქვენს მოხმობაზე და მიემართება ზუსტად იქ, სადაც აზრობრივად მიმართეთ.

თქვენ გრძნობთ, თუ როგორ იწყებს თქვენს მიერ მითითებული კანის დაზიანებული ნაწილის სკანირებას და შემდგომ იწყებს მუშაობას.

თქვენ აუცილებლად იგრძნობთ ამ ადგილას რაიმე მოძრაობას, თითქოსდა ვიღაცა გიტარებდეთ ენერგეტიკულ მინი ოპერაცას.

სხვა ღვთაებრივი ენერგიებისგან განსხვავებით სამყაროსეული პლაზმის ენერგია თითქმის თავიდანვე იწყებს ეთერულ სხეულთან მუშაობას და გვერდს უფლის დანარჩენ ნატიფ სხეულებს.

სწორედ ამიტომ აღიქმება ის თქვენს მიერ როგორც უფრო მკვრივი და თითქმის ფიზიკური სუბსტანცია.

შეგრძნებები ყველას განსხვავებული შეიძლება გქონდეთ: სითბო, სიცივე, ჩხვლეტა, პულსაცია, ვიბრაცია..

აგრეთვე, ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესში თავად არ ჩაერთოთ – არ “დაეხმაროთ” ამ ენერგიას და აზრობრივად არ დააჩქაროთ ის. თქვენ უნდა დარჩეთ ენერგეტიკულ არხად და ამასთან ერთად გარეშე მაყურებლად.

ამგვარად თქვენ არ შეიტანთ ამ ენერგეტიკულ ნაკადში საკუთარ ვიბრაციებს, რომელთაც სამყაროსეული პლაზმის ენერგიის ვიბრაციებთან შედარებით საკამოდ დაბალია.

სრულიად საკმარისია ის განზრახვა, რომელიც გამოხატეთ სეანსის დაწყებისას, როდესაც მას მოუხმეთ დასახმარებლად.

ამგვარად, როდესაც თქვენ არ ჩაერთობით ამ პროცესში როგორც ადამიანი, თქვენ ნებას აძლევთ ამ გასაოცარ გონიერ ენერგიას იმუშავოს თქვენს სხეულთან მშვიდად, მზრუნველად და დოზირებულად გადაანაწილოს ენერგია კანის მთელს ზედაპირზე, რაც მას ნებას მისცემს განკურნოს მტკივანი უჯრედები, ჰარმონიაში მოიყვანოს ისინი ჯანმრთელ უჯრედებთან და გაათანაბროს კანის ეს ნაწილი.

ძალიან კარგია, თუ ამ სეანსის დროს თქვენ დაამუშავებთ ამ პრობლემის ფსიქოსომატურ მიზეზს და ახალი რწმუნებულებით შეცვლით მას.

თუ ვისაუბრებთ კანის შესახებ, ის არის ადამიანის დამცავი გარსი და ნებისმიერი მისი დაავადება კავშირშია შიშთან, ხიფათისა და დაუცველობის შეგრძნებასთან.

ამიტომაც განკურნებისათვის ახალი აფირმაცია შეიძლება იყოს:

“მე ყოველთვის ვარ შემოქმედისა და სამყაროს ზეციური ძალების დაცვის ქვეშ.

მე სამუდამოდ ვთავისუფლდები ყველა სახის შიშისგან.

მე ვარ ყოვლის შემჯლე, თავისუფალი და ბედნიერი არსება რომელსაც წინ ელოდება მშვენიერი მომავალი მეხუთე განზომილების დედამიწაზე”.

ამგვარად, ჩემო ძვირფასებო, თქვენ მიაღწევთ იდეალურ შეწყობას: თქვენი ცნობიერების მენტალურ და ენერგეტიკულ კორექტირებას, რითიც განკურნების პროცესს დააჩქარებთ.

მე მოგიტანეთ კანთან მუშაობის მაგალითი, თუმცა მჯერა, რომ ყოველი თქვენგანი თავად იგრძნობს, თუ რითი უნდა დაიწყოს სამყაროსეული პლაზმის ენერგიასთან “გაცნობა”.

გააკეთეთ ეს აუჩქარებლად და მშვიდად, ყურადღება მიაქციეთ თქვენს შეგრძნებებს და რეაქციას ახალ ენერგიაზე, რათა მიხვდეთ, თუ რამდენად ორგანულად ურთიერთქმედებთ მასთან თქვენი სულიერი განვითარების მოცემულ მომენტში.

ამაზე გავჩერდებით დღეს.

მამა აბსოლუტი, რომელსაც განუზომლად უყვარხართ, საუბრობდა თქვენთან.

რეალობის შეცვლა

მამა აბსოლუტის გზავნილი 12 მაისი 2021 წელი

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

დღეს ჩვენ გავაგრძელებთ საუბარს სამყაროსეული პლაზმის ენერგიის შესახებ და განვიხილავთ მისი გამოყენების კიდევ ერთ შესაძლებლობას.

მკურნალობითი თავისებურებებისდა გარდა, ამ ენერგია აქვს მოვლენებზე ზემოქმედების უნარი, რომლებიც პროგრამირდება მაღალი დონის არსებების მიერ.

რადგანაც ეს არის ძალიან მაღალ ვიბრაციის ენერგია, მასთან ურთიერთქმედება შეუძლიათ იმათ, ვისი ცნობიერებაც მეხუთე განზომილებებზე დაბლ არ დგას.

ბევრი თქვენგანი მას უკვე იყენებდა გაუთვითცნობიერებლად.

მაგალითად, როდესაც წარმოიდგენდით ცხოვრებას ახალ დედამიწაზე და ავსებდით მას ნათელი ფერებითა და ხატსახეებით, სრულიად შესაძლებელია, რომ დასახმარებლად თქვენთან მოდიოდა სამყაროსეული პლაზმის ენერგია.

თუმცა, ახლა თქვენი მოვალეობაა ისწავლოთ მისი გამოყენება გაუთვითცნობიერებულად, რაც მრავალჯერ გაზრდის თქვენს შესაძლებლობებს და დაგეხმარებათ სწრაფად არეალიზოთ ჩანაფიქრი.

რას ემყარება ამ ენერგიასთან მუშაობის პრინციპი?

პირველ რიგში ადამიანის სამყაროსეულ პლაზმის ენერგიასთან ვიბრაციულ ურთიერთქმედებას.

თუ თქვენ რაიმეს “დახატავთ” თქვენს წარმოსახვაში და დასახმარებლად მოუხმობთ ამ ენერგიას, ის დაიწყებს ამ ხატსახეებისთვის “ხორცშესხმას”, რითიც დაეხმარება, რომ რაც შეიძლება სწრაფად გამოვლინდეს ფიზიკურ დონეზე.

ეს შეიძლება შევადაროთ იმას, რომ თქვენ ფანქრით აკეთებთ სურათის კონტურებს, ხოლო სამყაროსეული პლაზმის ენერგია ნათელი ფერებით აფერადებს მას და ავსებს სიცოცხლით.

ეს რომ მოხდეს აუცილებელია ორი პირობა.

პირველი – ადამიანსა და ამ ენერგიას შორის ენერგეტიკული რეზონანსი, ანუ მათი ვიბრაციები ჰარმონიულად უნდა ეწყობოდნენ ერთმანეთს.

რას ვგულისხმობ ამაში?

რადგანაც სამყაროსეული პლაზმის ენერგიის ვიბრაციები ძალზედ მაღალია იმ ადამიანის ვიბრაციებთან შედარებითაც კი, რომელიც ცნობიერებით მეხუთე განზომილებაშია, მათ შორის ჰარმონიის შექმნა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში. თუ ადამიანის სურვილს არ აქვს დუალობა და მიმართულია ყველასთვის სასიკეთო გზით.

ასეთი “მოთხოვნა” განპირობებული იმით, რომ ეს არის სამყაროსეული მაშტაბის ენერგია, ანუ ის ერთპოლარულია და მას არ შეუძლია შევიდეს იმ ადამიანთან ურთიერთქმედებაში რომლის სურვილსაც აქვს დუალური ხასიათი.

მაგალითად, თუ თქვენ მას სთხოვთ რაიმე ეგოისტური მიზნის მიღწევაში დახმარებას, ის ვიბრაციულად ვერ შეძლებს თქვენთან მოზიდვას.

თუმცა, თუ თქვენი სურვილი მიმართული იქნება მთელი კაცობრიობის სასიკეთოდ, მაშინ ის გამოეხმაურება თქვენს მოხმობას.

გამონაკლისს მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს თხოვნები განკურნებს შესახებ, თუმცა ამ შემთხვევაშიც ძალიან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ გააცნობიეროთ თქვენი დაავადების მიზეზი, არამედ თქვენი გამოჯანმრთელებისა და ზოგადად თქვენი ცხოვრების მიზანი.

ამგვარად, თუ ადამიანი დუალური აზროვნებით ითხოვს გამოჯანმრთელებას, რათა გააგრძელოს მისი არსებობა მესამე განზომნიებაში და საკუთარ თავში არაფერი არ შეცვალოს, სამყაროსეული პლაზმის ენერგია მის დასახმარებლად არ მივა.

თუ ადამიანმა უკვე დაიწყო მსახურება და მთელი ძალებით ცდილობს კაცობრიობის ახალ ერაში გადასვლა დააჩქაროს, მისი ავადმყოფობის შემთხვევაში დასახმარებლად მასთან მივა სამყაროს ყველა ზეციური ძალა და რაღატქმაუნდა სამყაროსეული პლაზმის ენერგიაც, რომელიც შეძლებს მის ვიბრაციებთან ჰარმონიულად შეწყობას.

მეორე პირობაა ადამიანის ვიბრაციული დონე.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანი უნდა იმყოფებოდეს საკმაოდ მაღალ ვიბრაციებში არა სპონტანურად ან პერიოდულად, მაგალითად მედიტაციის დროს, არამედ პრაქტიკულად მუდმივად.

ეს აუცილებელია იმისათვის, რომ არ დაირღვეს ვიბრაციული კავშირი ადამიანსა და სამყაროსეული პლაზმის ენერგიას შორის, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი მუშაობის შედეგი “დამუხრუჭდება” ადამიანის ვიბრაციული დაცემის დროს.

ამგვარად, მაგალითად, ის, თუ რისი შექმნაც შეგიძლიათ ჰარმონიულ და ბალანსირებულ მდგომარეობაში რამოდენიმე დღის განმავლობაში, თქვენი ვიბრაციული დაცემის შემთხვევაში შეიძლება გაიწელოს რამოდენიმე თვეზე და თქვენ აქ უკვე ვეღარ დაგეხმარებათ ასეთი მოქმედი სამყაროსეული პლაზმის ენერგია.

როგორც ხედავთ, ჩემო ძვირფასებო, ყველა და ყველაფერი დამოკიდებულია თქვენს შესაძლებლობაზე შეინარჩუნოთ მაღალი ვიბრაციები რაც შეიძლება დიდი ხნის განმავლობაში ხოლო იდეალური იქნება, თუ გამუდმებულად შეძლებთ ამას.

ამაში კი სამყაროსეული პლაზმის ენერგიამ შეიძლება გაგიწიოთ დიდი დახმარება.

მოუხმეთ მას რაც შეიძლება ხშირად, რათა მუდმივად იყოთ მის ნაკადში.

ამგვარად თქვენ შეძლებთ რეზონანსში შეხვიდეთ მასთან და ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო მეტი ხანი გაჩერდეთ მაღალ ენერგეტიკულ დონეზე, რომელიც ამ ენერგიას აქვს.

გლოცავთ ჩემო ძვირფასებო!

მამა აბსოლუტი, რომელსაც განუზომლად უყვარხართ, საუბრობდა თქვენთან.

სამყაროსეული პლაზმის ენერგია უცხოპლანეტურ ტექნოლოგიებში

მამა აბოსლუტის გზავნილი 13 მაისი 2021 წელი

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

დღეს მე მსურს მოგიყვებთ სამყაროსეული პლაზმის ენერგიის კიდევ ერთ თავისებურებაზე.

საუბარი წავა მის სხვადასხვა უცხოპლანეტურ ტექნოლოგიებში გამოყენებაზე.

თუმცა, ჩვენ არ ჩავუღრმავდებით მის ტექნიკურ მახასიათებლებსა და მის ამა თუ იმ გამოგონებაში დანერგვის საშუალებებს.

მე შეგიქმნით მხოლოდ ზოგად წარმოდგენას მის შესახებ, თუ რამდენად ფართოა მისი გამოყენების სპექტრი.

რადგანაც, ჩვენ უკვე ვისაუბრეთ მის მკურნალობით შესაძლებლობებზე, თქვენ ალბათ უკვე მიხვდით, რომ სწორედ ამ ენერგიას დაეყრდნობა თქვენი მომავლის მედიცინა.

მის საფუძველზე გამომუშავებული ტექნოლოგიები, რომლებიც ადამიანს ეხმარება მისი ორგანიზმის აღდგენაში და ცალკეული ორგანოს რეგენერაციაშიც კი, გამოიყენება ეგრეთ წოდებულ სამედიცინო “საწოლებში”, რომლების თქვენთვის გადმოცემაც სურთ თქვენი მეგობრულად განწყობის უცხოპლანეტური ცივილიზაციების წარმომადგენლებს.

ეს არის ის, რაც თქვენ უახლოეს მომავალში გელოდებათ.

რა პრინციპით ამოირჩევიან პაციენტები მკურნალობის ამ ახალი მეთოდისათვის?

რადატექმაუნდა, უპირველეს ყოვლისა ვიბრაციებისა და მიხედვით, რადგანაც როგორც უკვე ითქვა ჩემს წინდანდელ გზავნილში, სამყაროსეული პლაზმის ენერგიას შეუძლია რეზონანსში შევიდეს მხოლოდ იმ ადამიანებთან, ვისი ვიბრაციები მაქსიმალურად უახლოვდება ამ ენერგიის ვიბრაციებს.

თუმცა, სწორედ ასეთ ადამიანებს შეეძლებათ ამაღლდენე და ანუ სწორედ ისინი არიან ასეთი გამოჯანმრთელებისათვის პოტენციური პრეტენდენტები.

ამისდა გარდა, სამყაროსეული პლაზმის ენერგია მონახავს ფართო გამოყენებას საწვავისა და ენერგეტიკულ სფეროში, რადგანაც სწორედ ის არის ულიმოტო და უკაბელო ენელექტო ენერგიის წყარო, რომლის შესახებაც უკვე ბევრი ითქვა თქვენს სამეცნიერო სტატიებში.

იმისათვის, რომ თქვენ უკეთესად მიხვდეთ მისი გამოყენების პრინციპს, წარმოიდგინეთ ის ადამიანის აზრის კატალიზატორის სახით, რომელიც ხელს უწყობს მის ფიზიკურ დონეზე გამოჩენას მისი ერთდროულად დედამიწის ნატიფ დონესთან და ადამიანის (ვისშიც ეს აზრი დაიბადა) ნატიფ სხეულებთან ურთიერთქმედების წყალობი.

სწორედ ის არის ენერგია, რომელიც “ზორცს შეასხავს” თქვენს წარმოსახვაში არსებულ რეალობას. ის ითამაშებს “პლაზმური ტელევიზორის ეკრანის” როლს და გადასცემს თქვენს აზრებს, ემოციებსა და მოქმედებებს გარემომცველ სამყაროში.

იმის მსგავსად, როგორც თქვენი მკურნალობითი სიანსების დროს ის პირდაპირ ურთიერთქმედებს თქვენს ეთერულ სხეულთან (რომელიც ყველაზე ახლოსაა თქვენს ფიზიკურ სხეულთან, რის წყალობითაც ხდება მისი განკურნება), ამგვარადვე ის უერთდება დედამიწისა და ადამიანის ეთერულ სხეულს რის შედეგადაც ფიზიკურ დონეზე ძალიან სწრაფად ვლინდება ის განზრახვა, რაც ადამიანმა აფორმირა ნატიფ დონეზე.

სწორედ ეს პრინციპი უდევს სათავედ რეპლიკატორების ტექნოლოგიას, რომლებიც ადამიანის მიერ წარმოსახულ ობიექტს ფიზიკურ დონეზე ქმნის.

მე ვიცი, ჩემო ძვირფასებო, რომ ეს ყველაფერი ჯერ-ჯერობით ფანტასტიკად გეჩვენებათ, მაგრამ უკვე უახლოეს მომავალში ეს გახდება ისეთივე ჩვეული, როგორიც გახდა მაგალითად მობილური ტელეფონები, რომლების შესახებაც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ოცნებაც კი არ შეიძლებოდა.

ხოლო, თუ მომცემულ მესამე გაზნომილების სამყაროში ზოგიერთი ასეთი ტექნოლოგია ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ გამორჩეულებისათვის (ეგრეთ წოდებული ამა სოფლის ძლიერთათვის), მეხუთე გაზნომილების სამყაროში ისინი გახდება ყოველდღიურობის ნაწილი ყველა მაცხოვრებლისათვის, რადგანაც ამ მაღალვიბრაციულ სივრცეში დაყოფა შეუძლებელი იქნება მისი ენერგეტიკული დონისდა გამო.

გლოცავთ და მიყვარხართ განუზომლად!

მამა აბსოლუტი საუბრობდა თქვენთან.

პლაზმური სხეული

მამა აბსოლუტის გზავნილი 14 მაისი 2021 წელი

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

დღეს მე მსურს დავასრულო საუბარი სამყაროსეული პლაზმის ენერგიის შესახებ და მოგცეთ კიდევ ერთი მარტივი პრაქტიკა, რომელიც დაგეხმარებათ იურთიერთქმედოთ ამ ენერგიასთან მუდმივად.

ეს პრაქტიკა დაგეხმარებათ უკეთესად რომ იგრძნოთ ის, რათა თქვენი ცნობიერება და სხეულები მეტად შეეჩვიონ მას. ამით კი მოახლოვდით იმ მომენტს, როდესაც ის გახდება თქვენი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი.

დავარქვით ამ პრაქტიკას “პლაზმური სხეული”.

ის არ მოითხოვს ღრმა მედიტაციურ მდგომარეობას, თუმცა, როგორც ყოველთვის, მოუმზემთ თქვენს ზეციურ დამხმარეებს.

ხოლო, აი რაში მდგომარეობს თავად პრაქტიკა.

დილით, როდესაც გაიღვიძებთ, მოუხმეთ სამყაროსეული პლაზმის ენერგიას და სთხოვეთ მას, რომ მთელი დღის განმავლობაში თქვენთან იყოს და აავსოს თქვენი ცნობიერება და ნატიფი სხეულები.

შეიგრძენით მისი თქვენთან ყოფნა და დაიმახსოვრეთ ეს შეგრძნებები მენტალურად და ფიზიკურად.

სრულიად შესაძლებელია, რომ თქვენი შეგრძნებები ფიზიკურ დონეზე იქნება საკმაოდ ძლიერი, რადგანაც ეს ენერგია მარტივად აღწევს ადამიანის ეთერულ სხეულში.

თქვენ შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ ხართ ენერგეტიკულ სკაფანდრში, რომელიც კანის მსგავსად იმეორებს თქვენი სხულის კონტურებს.

ეს “სკაფანდრი” არის ცოცხალი, რადგანაც თქვენ გრძნობთ მის თქვენთან ყოფნას მსუბუქი ჩხვლეტის, ვიბრაციის ან პულსაციის სახით...

ამასთან ერთად, ეს შეგრძნებები შეიძლება იყოს განსხვავებული სხეულის სხვადასხვა ნაწილებში – ზოგან სუსტი, ზოგან კი ძლიერი...

ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ სამყაროსეული პლაზმის ენერგია მუდმივად ასკანირებს ადამიანის სხეულებს, რათა იპოვოს მათში სუსტი ან დაზიანებული ნაწილები. ის ცდილობს მათ ჰარმონიზაციას, ნეგატიური ენერგიებისა ა უცხო პროგრამების განეიტრალებას.

თუმცა, ნუ შეეცდებით მომხდარის ანალიზებას.

გამორთეთ თქვენი ადამიანური გონება და ნება მიეცით ამ გონიერ ენერგიას იმუშავოს დამოუკიდებლად.

სრულიად ენდეთ მას.

ხოლო რაც შეეხება ამ ენერგიის თქვენს შეგრძნებას ზედა ჩაკრებზე, ის ყველას განსხვავებულად გამოუვლინდება.

ვიღაცას შეიძლება მკვეთრად გაუაქტიურდეს მესამე თვალი, ვიღაცას კი მეშვიდე ჩაკრა ან გირჩისებრივ ჯირკვალი.

ნებისმიერ შემთხვევაში მათში ცვლილებები წავა იმ ტემპსა და იმ ინტენსიობით, რომელიც აუცილებელია სწორედ თქვენთვის.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს გონიერი ენერგია მოძებნის ოფტიმალურ “კონპრომისს” თქვენს ამჟამინდელ და მის საკუთარ ვიბრაციებს შორის, რათა ენერგეტიკულ დოზის გადაჭარბებას ავარიდოთ თავი.

თქვენი მიზანია შეეჩვიოთ სამყაროსეული პლაზმის ენერგიას თქვენს ენერგეტიკულ სივრცეში, ხოლო სამომავლოდ კი იცხოვროთ მასში.

ის არის თქვენთვის არა მხოლოდ უცხო გარემოსგან დამცველი, რომელსაც ბევრი თქვეგანი უკვე მკვეთრად გრძნობს, არამედ დამატებითი ინსტრუმენტი ახალი საცხოვრებელი სივრცის შექმნისათვის, რომელიც მოისაზრებს ახალი რეალობის შექმნას აზრის ძალით და ასევე თქვენი სხეულის თანდათანობით ტრანსფორმაციას სინათლისებურ კრისტალურად.

უნარი შეინარჩუნოთ სამყაროსეული პლაზმის ნაკადი გახდება თქვენთვის სულიერ გზაზე გადადგმული დიდი ნაბიჯი და ამასთან ერთად მოგცემთ საიმედო დაცვას თქვენთვის უკვე უცხო მესამე განზომილების პროგრამებისგან.

ეს ენერგია არის ის ხიდი, რომელიც აერთებს მესამე განზომილების სამყაროს მეხუთე განზომილებასთან.

მის ნაკადში თუ იქნებით, თქვენ ვერ შეძლებთ მეოთხე განზომილებაზე დაბლა ვიბრირებას, ანუ თქვენი აზრები, ემოციები და მოქმედებები საკმაოდ გაცდება მესამე განზომილების საზღვრებს.

სწორედ ეს არის თქვენთვის აუცილებელი.

გლოცავთ, ჩემო ძვირფასებო, და მიყვარხართ განუზომლად!

მამა აბსოლუტი საუბრობდა თქვენთან.

ჯადოსნური პლედი

მამა აბსოლუტის გზავნილი 19 მაისი 2021 წელი

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

დღევანდელი ჩემი გზავნილი მიმართულია იმ ადამიანების მიმართ, ვინც ჯერ სრულიად ვერ გააცნობიერა ენერგიის მნიშვნელობა საკუთარ ცხოვრებაში.

იმისდა მიუხედავად, რომ უკვე ხუთ წელიწადზე მეტია ჩვენ ვსაუბრობთ სხვადასხვა სახის ენერგიებზე, ზოგიერთი ადამიანი ჯერ კიდევ ვერ გრძნობს მათ, ამიტომაც ადამიანებზე ენერგიის ზეგავლენასთან დაკავშირებული მსჯელობები მათთვის რჩება უფრო თეორიად, რომელიც ბოლომდე არ არის გამყარებული პრაქტიკით.

ამიტომაც, მე მსურს შეგახედოთ ამ საკითხს ცოტა სხვა კუთხით, რათა თქვენ შეძლოთ დაინახოთ ენერგიებთან თქვენი მუშაობის შედეგები იმისდა მიუხედავად გრძნობთ თუ არა მათ ფიზიკურად.

ამისათვის, წარმოიდგინეთ სხვადასხვა სახის ენერგიები არა როგორც უხილავი ნაწილაკების ნაკადი, არამედ, როგორც ფერადი პლედი, რომელსაც აფარებთ ამა თუ იმ ადამიანს ან საკუთარ სახლს, ქალაქს ან პლანეტას.

რატომ ავირჩიე პლედის ხატსახება?

მხოლოდ იმიტომ, რომ ის უფრო მატერიალურია და თქვენთვის ადვილი იქნება მისი წარმოდგენა, თუ ეს მკვრივი მატერია როგორ ფარავს ამა თუ იმ ობიექტს, ან ადამიანს და იცავს მას ნეგატიური ენერგიების ზეგავლენისგან.

რატომ ავირჩიე ეს “პლედი” არ არის ჩვეულებრივი.

მისი ქსოვილი შეადგენს ნატიფ გისოსებს, რომლებიც წარმოადგენს ერთგვარ ენერგეტიკულ “ტრანსფორმატორებს”.

ის გზას უღობასვ დაბალვიბრაციულ ენერგიებს და არ აძლევს ნებას შეაღწიონ შიგნით. ამასთან ერთად, ის სკუთარი სინათლით ანეიტრალებს იმას, რასაც შეუძლია ასეთი ტრანსფორმაციის გავლა და აგრეთვე საკუთარი თავის გავლით ზედმეტ ნეგატიურ ენერგიას უშვებს გარეთ.

ეს პროცესი შეგვიძლია შევადაროთ ბროუნის ქაოტურ მოძრაობას იმ განსხვავებით, რომ მოცემულ შემთხვევაში ხდება ბუნებრივი დაყოფა ნათელ და ბნელ ნაწილაკებს შორის.

ისინი გადანაწილდებიან იმგვარად, რომ პლედის ქვემოთ რჩებიან მხოლოდ ნათელი ნაწილაკები, ხოლო ბნელები, მაგნიტის მსგავსად მიიზიდებიან გისოსებისაკენ, მისი გავლით გადიან გარეთ და განიზიდებიან ამ პლედის მიერ შექმნილი მაღალვიბრაციული ველისგან.

ამგვარად ხდება ვიბრაციების მიხედვით ბუნებრივი გადარჩევა, რომელიც ჩვეულია არა მხოლოდ დედამიწაზე არსებული არსებებისათვის, არამედ მთელს სამყაროში.

თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ თქვენი “პლედი” ისეთი, როგორსაც დახატავს თქვენი წარმოსახვა, თუმცა უკეთესია, რომ ის იყოს მსუბუქი და ჰაეროვანი, რაც უფრო მეტად უახლოვდება მაღალვიბრაციულ ღვთაებრივ ენერგიებს.

ამგვარად, როდესაც თქვენ ისწავლით ენერგიების “მკვრივ ხატსახებად” წარმოდგენას, თქვენს დაიწყებთ მათ უფრო ნატიფად აღქმას.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ენერგიებთან ასეთი ურთიერთქმედება დააეხმარება ზგიერთ ადამიანს მკვეთრად დაინახოს ენერგიებთან თავისი მუშაობის შედეგები.

აგრეთვე, ეს საშუალება უფრო მოქმედი იქნება იმ შემთხვევაში, თუ თქვენს წარმოსახვით პლედს მისცემთ იმ ენერგიის ფერს, რომელთანაც მუშაობთ მოცემულ მომენტში.

ამგვარად, ამაღლების ენერგიისგან შემდგარი “პლედი” შეიძლება შეიცავდეს ცისარტყელას ყველა ფერს, ხოლო სამყაროსეული პლაზმის ენერგიის “პლედს” ექნება მონარინჯისფრო ცეცხლის ფერი ელფერით.

რატატქმაუნდა, თქვენ აქაც შეგიძლიათ გამოავლინოთ შემოქმედებითობა და შექმნათ ენერგეტიკულ “პლედებთან” მუშაობის სკუთარი მეთოდები. თქვენ შეგიძლიათ შექმნათ ისინი სხვადასხვა ფერებისა და გამოიყენოთ საკუთარი სურვილისდა მიხედვით და სხვადასხვა მიზნებით.

მუშაობის მთავარი პრინციპი არის იმის გათვითცნობიერება, რომ თქვენი პლედი გარდაქმნის წყვდიადს სინათლედ და ამასთან ერთად იცავს მოცემული ობიექტის ან პიროვნების ენერგეტიკულ სივრცეს მასში დაბალვიბრაციული ენერგიების შეღწევისგან.

გლოცავთ და მიყვარხართ განუზომლად!

მამა აბსოლუტი საუბრობდა თქვენთან.

ახალი ენერგიების ფიზიკურ დონეზე გამოვლინება

(მართასა და ედვარდის ჩანაწერები)

8 სექტემბერი 2020 წელი. მე და მართას გვხვდა ბედნიერება წილად გაგვეკეთებინა კაცობრიობის კოლექტიურ ცნობიერებაში რეფტილოიდური პროგრამების განეიტრალების სეანსი ბუნებაში.

ჩვენ ამ ადგილას მედიტაციები უკვე რამოდენიმეჯერ გვქოქნდა გაკეთებული, თუმცა, ამჯერად, მე “შემატყობინეს”, რომ საჭიროა ერთმანეთისთვის ფოტოების გადაღება: ალბათ სურათებისათვის განათება შესაბამისი იყო.

თავიდან მე ვთხოვე მართას ჩემთვის რომ გადაეღო სურათები, ხოლო შემდგომ მე გადავუღე მას რამოდენიმე სურათი.

საერთო ჯამში აი რა გამოგვივიდა ჩვენ. ცისარტყელასებური ნაკადი, როგორც თქვენ ხვდებით, არის ამაღლების ენერგია. ხოლო შავი “ლაქა”, რომელიც ფორმით გველს გავს არის ის, რის განეიტრალებასაც ვცდილობდით. აგრეთვე, თუ ფოტოსურათს გავადიდებთ, ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ ენერგიის მოქმედების მთელს რადიუსზე მაკონცენტრირებული წრეები.

მართა შეეკითხა მამას, თუ რა არის ეს და მან უპასუხა: “ისინი არის სპირალისებური წრეები, რომლებიც შეიცავს ენერგიის განსაკუთრებულ კონცენტრაციას და რომლებიც ასრულებენ მისი გავრცელების დამაჩქარებლის როლს. როგორც მე მესმის, ესენი არის “ჩაკრებისმაგვარი” (ენერგეტიკული ცენტრების მაგვარი) ინსტრუმენტები რომლებიც ატრიალებენ ენერგიას და ეხმარებიან მოიცვან დიდი სივრცე.

—

აი ნატიფმატერიალური სამყარო სულ ურო ახლოსაა და ენერგიებს აფიქსირებს მობილური ტელეფონის კამერაც კი, რაცას ყველას მოგილოცავთ!



ედვარდი მედიტაციაში

ახალი ეპოქის ენერგიები

თავდაპირველად “საბრძოლო ველზე” მართასაც ძლიერი “შერკინებები” ჰქონდა.



მართა მედიტაციაში

სულიერი განვითარების ცენტრი “აღორძინება”

ახალი ეპოქის ენერგიები

აქ კი გვაქვს სინათლის უკვე სრული გამარჯვება



მართა მედიტაციაში

სულიერი განვითარების ცენტრი “აღორძინება”

შემდგომ ენერგეტიკული ნაკადი მცირდება



მარტა მედიტაციაში

სულიერი განვითარების ცენტრი “აღორძინება”

ახალი ეპოქის ენერგიები
ენერგეტიკული ცენტრები



11 სექტემბერი 2020 წელი. ჩვენ გადავწყვიტეთ გაგვეგრძელებინა ჩვენი მცდელობები ენერგიის კამერით დაფიქსირების შესახებ.


ამჯერად ჩვენ გვსურდა **სამყაროს სიყვარულის ცეცხლის** გადაღება, თუმცა აღმოჩნდა, რომ ის მუშაობს **ამაღლების ენერგიასთან** ერთად, რაც ჩვენი აზრით შესანიშნავია.

თუმცა, სურათებზე ჩვენ მაინც დავინახეთ ამ ენერგიებს შორის განსხვავება და თუ როგრო ერწყმიან ისინი ერთმანეთს.

ახალი ეპოქის ენერგიები
სამყაროს სიყვარულის ცეცხლის სფერო



მართა და სამყაროს სიყვარულის ცეცხლი




მართა

სულიერი განვითარების ცენტრი “აღორძინება”

ახალი ეპოქის ენერგიები

აქ კი მოვუხმეთ მთავარანგელოზ მიქაელს. მართამაც შინაგანი ხედვით ასეთივე დაინახა, როგორც მრავალფენოვანი სფერო (წრე) ძირითადად ინდიგოს ფერით და სხვა ელფერების დამატებით.



აქ კი ყველაფერი ერთადაა: სამყაროს სიყვარულის ცეცხლისა და ამაღლების ენერგიები, მთავარანგელოზი მიქაელი, ხოლო მათ მიღმა პორტალი მეხუთე განზომილებაში.

ახალი ეპოქის ენერგიები



მართა

ჩემს შემთხვევაში კი ეს ასე ჩანს.




ედვარდი

ენერგეტიკული ნაკადები კადრში ჩვენს გარეშე...

სულიერი განვითარების ცენტრი “აღორძინება”

ახალი ეპოქის ენერგიები





ვატიკანი – ქრისტიანული ეგრეგორი განეიტრალება

26 სექტემბერი 2020 წელი. საიტზე გამოქვეყნებული გზავნილთან - “**ამტარ შერანისა და მთავარანგელოზი მიქაელის კავშირი**” – დაკავშირებით გვსურს გაგიზიაროთ ჩვენი კიდევ ერთი მოგზაურობა, რომელიც ენერგიების ფიზიკურ დონეზე გამოვლენას შეიცავს.

—

2018 წლის გაზაფხულს ჩვენ მივიღეთ კიდევ ერთი დავალება. ვხუმრობ რაღათქმაუნდა, არავითარ ბრძანებას ჩვენ არავინ არ გვაძლევდა, უბრალოდ მართას ძალიან მოუნდა რომის მონახულება, ხოლო მე არ ვიყავი წინააღმდეგი მისთვის კონპანიონობა რომ გამეწია. ასევე გაჩნდა იდეა ვატიკანის მუზომი რომ მოგვენახულებინა.

აქ კი ჩვენი ნათელი დამხმარეები ყველანაირად გაისარჯნენ. ჩვენი სასტუმრო რამოდენიმე ათეული მეტრით იყო დაშორებული ვატიკანის ლობისგან, ხოლო მასში შესასვლელამდე ფეხითაც ადვილად შეიძლებოდა მისვლა.

სწორედ ჩვენი იქყოფნისას, რამოდენიმე დღის განმავლობაში მუზეუმში გაიხსნა ღამის ექსკურსიები და ჩვენ გამოგვივიდა შეგვეკვეთა ბილეთი მათი დაწყების დღეს, ხოლო ყველა დანარჩენი ასევე წინააღმდეგობების გარეშე მიდიოდა.

თუმცა, თავად ვატიკანში ჩვენ გარკვეული პრობლემები შეგვექმნა. “მშვდ” კუთხეებში მედიტაციის ორი მცდელობა ჩაგვიშალეს გვერდით მომსხდარმა ხალხმა და შესვენების გარეშე მსტვენარმა ბავშვებმა (დიდი ალბათობით არაადამიანისებმა), ასევე მხცოვანი ასაკის ხმამაღლა მოსაუბრე ქალებმა, თუმცა ყველგან ეკიდა განცხადებები, რომლებიც მოუწოდებდა სიმშვიდისაკენ “ღმერთის” ტაძარში.

ნუ, მოგესალმებით “სიწმინდისა და ღვთისმოსაობის” სახლში. ეს მოხდა დღით, თუმცა ჩვენ უკვე ვიცოდით, რომ ძირითადი სამუშაო იქნებოდა ღამით, ამიტომაც არ დავღონებულვართ.

იმ დროისათვის, ჩვენ უკვე მიგვანიშნეს, რომ რადგანაც უკვე აქ მოვხვდით, კარგი იქნებოდა, თუ მონაწილობას მივიღებდით ნათელი ძალების ოპერაციაში, რომელიც არც მეტი არც ნაკლები - ქრისტიანული ეგრეგორი განეიტრალებას მოისაზრებდა. დაწყება კი არ იქნებოდა ცუდი კათოლიციზმისგან, რომელიც ყველაზე ძლიერ ქრისტიანულ მიმდინარეობას წარმოადგენს.

ხოლო ღამის წყვილიაღს ამოფარებულნი, ჩვენ ყველასგან შეუმჩნევლად შევადწიეთ წმინდათა წმინდაში... ვხუმრობ, შიგნით ჩვენ აბსოლუტურად ლეგალურად მოვხვდით იმ ბილეთების წყალობით, რომლებიც ვატიკანი მუზეუმში ექსკურსიისათვის შევიძინეთ. ჩვენ ვათვალიერებდით ხელოვნების ნამუშევრებსა და სხვადასხვა საინტერესო არტიფაქტებს და ჩვენ მივაღიქეთ სიქსტეტის სამლოცველოს, სადაც უნდა “დაგვემიწებინა” ენერგიები, რომლებიც ამ ადგილას მიმართული იყო სინათლის გალაქტიკური ფედერაციის წარმომადგენლების მიერ (როგორც ფიზიკური სხეულებში მყოფებისა ასევე ინკარნაციიდან გასულების მიერ).

ეს ისტორიაც აგრეთვე წარმოადგენს აშტარ შერანისა და მთავარანგელოზი მიქაელის ერთობლივი მუშაობის მაგალითს, თუმცა მარტო ისინი არ მონაწილეობდნენ ამ შემთხვევაში.

—

როდესაც “მითითებულ ობიექტს ვუახლოვდებოდით” მართას ფეხზე სპეციალურად და საკმაოდ აგრესიულად აბიჯებს ერთ-ერთი “ჩურჩულით მლოცველი” რეფტილოიდი.

ის გაღიზიანდა რათქმაუნდა, თუმცა მე მას ვუთხარი, რომ თუ ახლა ამის გამო ჩვენ აურზაურს ავტეხავდით, ჩვენი მისიაც ჩაიშლებოდა და შემდეგის შესრულებას შენგენის ზონაში უკვე ვეღარ მოვახერხებდით, ამიტომაც... ნუ თქვენ ალბათ უკვე მიხვდით. საერთო ჯამში კი ოპერაცია შედგა და საკმაოდ წარმატებით დასრულდა.

—


როდესაც მუზეომიდან გამოვედით, ჩვენ ცაში შევამჩნიეთ საკმაოდ ბევრი ხომალდი აშტარის “ზრიგადიდან”. ღამის ცის გადაღება ტელეფონის კამერით არც ისეთი ადვილი საქმეა, თუმცა ჩვენ (უნებლიედ) გადავუღეთ სურათი წმინდა პეტრეს კათედრალის განათებულ გუმბათს და ჩვენდა გასაკვირად ვატიკანის ტერიტორიაზე აღმოვაჩინეთ ენერგეტიკული სფეროები, რომლებიც გამოჩნდნენ ჩვენი ოპერაციის შედეგად. ფოტოსურათებზე ისინი გაკრვეული კუთხიდან უფრო კარგად ჩანს, ამიტომაც დაათვალიერეთ ისინი ყველა მხრიდან.

—


შემდგომ დღეს ჩვენ ისევ ვსეირნობდით ღამის რომში და კიდევ ერთ შემთხვევით გადაღებული მონუმენტის თავზე გამოჩნდნენ ეს სფეროები. შეკითხვაზე, თუ რას ნიშნავს ეს გვიპასუხეს, რომ ჩვენი მონაწილეობით გაშვებული პროცესი ახლა ვრცელდება დედამიწაზე არსებული ყველა რელიგიის ეგრეგორზე.

—

ამ მოგზაურობაში კიდევ იყო სხვა ძალიან საინტერესო მომენტებიც. მაგალითად, ჩვენ რომში ვიპოვეთ საკუთარი გამოსახულებები, უფრო სწორად რომ ვთქვათ ჩვენი ინკარნაციების (ორივემ საკუთარის), თუმცა ამის შესახებ სხვა დროს მოგიყვებით...







2021 წლის აგვისტოს ენერგიები

2021 წლის აგვისტოს ბოლო რიცხვებში ჩვენ მოვახერხეთ მივსულიყავით ჩვენს “სამედიტაციო ადგილას”, სადაც გადავიღეთ ენერგიების წინა სურათები.

მაღალვibrაციული ენერგიების პიკი მოდის სექტემბრის ათ რიცხვში, თუმცა ენერგეტიკული აქტიურობა ახლაც ძალიან შესამჩნევია.

ჩვენ “შევხვდით” განსხვავებულ ენერგეტიკულ ნაკადებს და თვალყურს ვადევნებდით მათ ურთიერთქმედებას ერთმანეთთან.

ზოგიერთ მომენტს გიზიარებთ თქვენც.


ფერის სპექტრში უმეტესად ლურჯი და იისფერია, თუმცა ცისარტყელას სხვა ფერებიც გვხვდება.






ახალი ეპოქის ენერგიები

აქ კი ჩანს ნახევრადგამჭირვალე “ფიალა”





სულიერი განვითარების ცენტრი “აღორძინება”




სამყაროს სიყვარულის ცეცხლიც კი იღებს მოლურჯო ელფერს. ადრე ის თეთრი სახით ვლინდებოდა







გარკვეულ მომენტში გამოჩნდა ენერგეტიკული “კვერცხი”, რომელსაც აინტერესებდა, თუ რას ვაკეთებდით აქ



ახალი ეპოქის ენერგიები

პლაზმის სხივი შეხვდა ამაღლების ენერგიას




მათ მიღმა აგრეთვე ჩანს “თვალები” - პორტალები

106




სულიერი განვითარების ცენტრი “აღორძინება”

ახალი ეპოქის ენერგიები



კიდევ ერთი საინტერესო ენერგეტიკული “კონსტრუქცია”

107





სულიერი განვითარების ცენტრი “აღორძინება”



2021 წლის სექტემბრის ენერგია

ჩვენ კიდევ გსურთ გაგიზიაროთ საკუთარი შთაბეჭდილებები ენერგიებთან მუშაობის შემდგომ.


ამჯერად ფოტოსურათებს დამატებულია მცირე ვიდეო.
გადაღებულია 2021 წლის 5 სექტემბერს.









ახალი ეპოქის ენერგიები










ახალი ეპოქის ენერგიები


რამოდენიმე სურათი სამყაროს სიყვარულის ცეცხლთან. ახალ ის ვლინდება ლურჯი ელფერით.











ახალი ეპოქის ენერგიები

ენერგიები ვიდეოზე

2021 წლის სექტემბრის ენერგიები <https://www.youtube.com/watch?v=L2xI3BiYgYQ>

2021 წლის სექტემბრის ენერგიები (ნაწილი 2)
<https://www.youtube.com/watch?v=WDSlhICjDDM>

2021 წლის სექტემბრის ენერგიები (ნაწილი 3)
<https://www.youtube.com/watch?v=nZK1wygQ3Fc>

წყაორები

საიტი “ამაღლების” წიგნების ბიბლიოთეკა: <https://vozrojdенийsveta.com/book/>

კატალოგი: <https://vozrojdенийsveta.com/book/katalog.html>

საიტი: <https://vozrojdенийsveta.com/>